ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ქართული ლიტერატურა

სალომე სუხიაშვილი

„სხვა ქვეყანა“ ქართულ ფოლკლორში

ნაშრომი შესრულებულია ქართული ლიტერატურის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ხვთისო მამისიმედიშვილი,
ფილოლოგის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ფოლკლორისტიკაში ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან და პრობლემურ საკითხს ხალხური ნაწარმოების სივრცის თემა წარმოადგენს. ეპიკური ჟანრის ტექსტებში ძირითადი მოქმედებები ხდება ადამიანთა ჩვეულებრივი საცხოვრისიდან შორს, ე. წ. „სხვა სამყაროში“.

სამაგისტრო ნაშრომში განვიხილე ქართული ზეპირსიტყვიერების ის ნიმუშები, რომლებშიც აისახა „სხვა ქვეყანა“ და „მიღმურ სამყაროს“ ბინადართა ცხოვრება. ფოლკლორულ შემოქმედებაში „სხვა სამყაროს“ თემა იმდენად პოპულარული აღმოჩნდა, რომ მან შეაღწია როგორც მწერლობაში, ასევე ფილმოგრაფიაშიც. ამ მხრივ გამოირჩევა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები, რომლებიც ამ თემაზე ქმნიან მანგებს ე.წ. კომიქსებსა და ანიმაციურ ფილმებს - „ანიმეებს“.

კვლევის შედეგად, ფოლკლორულ ტექსტებში გამოიკვეთა ბინალური ოპოზიცია: სამოთხისებური და ჯოჯოხეთური ყოფა, საკრალური და დემონური სივრცე, როგორც „სხვა სამყაროს“ გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება. ეპიკურ გმირს გადაადგილება უხდება და ზოგჯერ ის აღმოჩნდება ადამიანთა საცხოვრისიდან შორს: საიქიოში, წმინდა ადგილზე, ღვთაებრივ არსებათა გვერდით, დემონურ არსებათა შესაკრებელში და ზღაპრულ სივრცეში, რომელიც ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი ზეპირსიტყვიერებაში.

ნაშრომში არ შემოვფარგლულვარ ქართული ფოლკლორის მხოლოდ ერთი რომელიმე ჟანრის ტექსტებით. გარდა ამისა, ნაშრომში გამოვიყენე ოსური და ჩეჩნური ეპიკური ტექსტებიც, რადგან კვლევამ აჩვენა, რომ „სხვა“ სამყაროს თემაზე შექმნილ ქართულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს მნიშვნელოვანი პარალელები მოეპოვება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ფოლკლორულ შემოქმედებასთან. სამაგისტრო ნაშრომში გავაანალიზე, აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფოლკლორის არქივში დაცული ტექსტებიც. გარდა ამისა, მოვიძიე მნიშვნელოვანი პარალელები შორეული აღმოსავლეთის ხალხურ ტექსტებთან.

Annotation

One of the most important and problematic issues in folklore studies is the topic of folk work space. In epic genre texts, main actions are happening far from the ordinary living space of humans, in so called "other world."

In my MA's work, I discussed such folklore works in which action is happening in "another world" and lives of people of "beyond world". The theme of "other world" in folklore was so popular that it penetrated both literature and filmography. Countries of Far East Asia are distinguished in this respect, they create "mangas", so called comics and animated films - "animes".

Research of folklore works gave banal results: paradise and hell, sacral and demonic space, are one of the means of depicting "other worlds". The hero of Epic work has to move around and sometimes he finds himself far away from peoples' normal living space: In afterworld, in the Holy Place, beside the divine beings, in the hallmark of demons and in the fairy tale, which is represented by greatest diversity of oral telling.

The work is not limited to the words of one of the genres of Georgian folklore. Besides Georgian, I used Ossetian and Chechen epic texts, as the study has shown that the samples of Georgian oral artifacts on the "other" world have significant parallels with the folklore of the peoples of the North Caucasus. In my master's thesis, I also used the texts preserved in the folk archive of the Tbilisi State University. In addition, I found important parallels with the folk texts of the Far East.

სარჩევი

შესავალი.....6

I თავი

სამოთხისა და ჯოჯოხეთის მოტივი ქართულ ლიტერატურაში და მისი ფოლკლორულ-მითოსური პარადიგმები.....8

1.1. მაყვლოვანი.....10

1.2. მგელი „კარაულთა“ მწყემსად.....12

1.3. ირემი - წმინდანთა და უფლისწულთა მკვებავი.....15

1.4. ჯოჯოხეთური დრო-ჟამისა და სივრცის რეპრეზენტაცია ქართულ აგიოგრაფიაში.....17

II თავი

სამოთხისებური სივრცე მითოლოგიურ გადმოცემებში.....20

2.1. დაკარგული და საფარველდადებული საკრალური სივრცე.....21

2.2. საიდუმლო სამალავები.....26

2.3. საკრალურის დაარსება.....28

2.4. საკრალური ადგილები, რომლის აღმოჩენაშიც რჩეული ადამიანები მონაწილეობენ.....33

III თავი

დემონურ არსებათა სამოქმედო სივრცე.....36

3.1. ქაჯავეთი.....37

3.2. ნაძრახი ადგილები 42
3.2.1. წიქვილი 43
3.2.2. ხიდი 45
3.2.3. კაკლის ხე 46
3.3. ტაბაკონის მთა და აჩხოტის მინდორი დემონოლოგიურ გადმოცემებში 48
IV თავი
საიქიოს რეპრეზენტაცია ხალხურ ტექსტებში.....55
4.1. სამოთხის მითოსური სახე ქართულ პოეზიაში 55
4.2. ჯოჯოხეთის მითოლოგემა ქართულ ფოლკლორში.....64
V თავი
„სხვა სამყარო“ ქართულ ხალხურ ჯადოსნურ ზღაპრებში 73
დასკვნა.....86
გამოყენებული ლიტერატურა 89

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სივრცის პრობლემას ხალხურ ნაწარმოებებში. ნაშრომში განვიხილე ისეთი სიუჟეტები, რომლებიც ასახავენ პერონაჟთა მოქმედებას ჩვეულებრივი ადამიანური სამყაროდან განსხვავებულ სივრცეში. „სხვა“ / „მიღმა“ სამყარო/ სამეფო, უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია როგორც „The Other World“-ის ან „Иное“, „Небывалое“, „Тридесятое“ სახელმწიფოს სახელით. ნაშრომში მოვიაზრებ, აგრეთვე, ისეთ ვირტუალურ სამყაროს, სივრცეს, რომელშიც გვხვდება ადამიანთა ყოველდღიური ყოფისგან განსხვავებული სივრცე, ან ისეთი სამყარო, რომელიც არცერთ გეოგრაფიულ რუკაზე არ არსებობს (მაგალითად, საიქიო, ქვესკნელი, ქაჯავეთი, ჯვარ-ხატთა შესაკრებელი) და ადამიანს უწევს იქ ზებუნებრივი საშუალებებით მისვლა, როგორც ეს ხდება ზღაპარში. „სხვა სამყარო“, რა თქმა უნდა, სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი მითოლოგიურ გადმოცემებში, ხალხურ ლექსებსა და ზღაპრებში. კვლევისას ხალხურ ნაწარმოებებში გამოვყავი სივრცული თვალსაზრისით განსხვავებული ადგილები, მოვახდინეთ მათი კლასიფიკაცია და გავარკვიეთ მათი საზრისი. ასევე კვლევის პროცესში ქართული მასალის გარდა გამოვიყენეთ კავკასიის ხალხთა, კერძოდ, ჩეჩნური, ინგუშური, ოსური ხალხური ტექსტები და რწმენა-წარმოდგენები. საკითხის კვლევისას ვიხელმძღვანელეთ კომპარატივისტული და ისტორიულ-შედარებითი მეთოდით.

თემის წერის პროცესში შევისწავლე როგორც ქართული, ასევე უცხოენოვანი ფოლკლორული სამეცნიერო ლიტერატურა და გამოვიყენე ინტერნეტ-რესურსები. ნაშრომში განვიხილე სხვადასხვა ჟანრის ფოლკლორული ნაწარმოებები, ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომეულში დაბეჭდილი ლექსები, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მითლოგიური გადმოცემები, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა თქმულებები ნართ გმირებზე. ასევე ქართული ხალხურ ზღაპრები, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები და ფოლკლორის არქივში დაცული მასალები.

ფოლკლორულ ტექსტებში „სხვა ქვეყანის“ განხილვით დავინტერესდი, რადგან „სხვა სივრცის“ საზრისი, როგორც ხალხური მაწარმოების სტრუქტურული ერთეულის

როლი, სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებოდ ჯერ არ დამუშავებულა. არსებობს ცალკეული ჟანრის ტექსტების ქრონოტოპის დახასიათება. „სხვა სივრცის“ კვლევისას მეცნიერები ყველაზე მეტად საზღაპრო ჟანრით დაინტერესდნენ, რადგან „სხვა ქვეყანა“ ისე მძაფრად და მრავალფეროვნად სხვაგან არსად არ არის წარმოდგენილი, როგორც ზღაპარში. ზღაპარში ყველაფერი იწყება მაშინ, როცა გმირი გადის სახლიდან. რადგანაც მისი სამყოფელი ეს არის არადინამიკური სივრცე, სადაც არაფერი ხდება, არ მიმდინარეობს დროის ცვლილება. დროის ათვლა კი იწყება მას შემდეგ, როცა ის მოხვდება სხვა სამყაროში.

რას წარმოადგენს ზღაპარში დრო და სივრცე? ამაზე მეცნიერებს სხვადასხვა მოსაზრებები აქვს. ზ. კიკნაძის აზრით, ზღაპრის დრო და სივრცე ერთიანია, განუსაზღვრელი და უსახელო, ისევე როგორც ზღაპრის მთავარი გმირია უსახელო (კიკნაძე 2007:90). ზღაპრების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სივრცე რომელშიც გმირი მოძრაობს, მოიცავს მთელ ზღაპრულ სამყაროს. იგი მოძრაობს როგორც შუასკნელში, ასევე ქვესკნელსა და ზესკნელში და როგორც ზღაპრის ქართველი მკვლევარი რ. ჩოლოყაშვილი წერს, ამ სამ განზომილებაში გმირის მიმოსვლა იგივეა, რაც მიმოსვლა ცოცხალთა და მიცვალებულთა სამყაროებს შორის (ჩოლოყაშვილი 2004:69).

რა ხდება ამ მხრივ სხვა ფოლკლორული ჟანრის ნაწარმოებებში, მაგალითად მითოლოგიურ გადმოცემებში. სხვა სივრცე თუ ზღაპარში ვირტუალურია, გაურკვეველია, მითოლოგიურ ტექსტებში მას აქვს კონკრეტული მდებარეობა და ეს შეიძლება იყოს აჩხოტის ველი, ტაბაკონის მთა. ოსური რწმენა-წარმოდგენებით დემონურ არსებათა შეკრების ადგილს ჰქვია ქურისი/ ბურქუსი. ან ეს განსხვავებული სივრცე შეიძლება წარმოდგენილი იყოს ღვთისშვილების შეკრების ადგილით, ამას ქვემოთ ვნახავთ, ან ძუარების შერკების ადგილი. მაგალითად, როდესაც ღვთაებები სოსლანს ასაჩუქრებენ. ამ დროს ყველა ღვთაება იკრიბება ერთად, მართავენ ნადიმს.

ქართულ ხალხურ პოეზიაში კი ეს სხვა სივრცე, წარმოდგენილია საიქოს სახით, სადაც გმირები მოგზაურობენ მხოლოდ სიზმარში. არ ვიცით ის ტერიტორიულად სად მდებარეობს, თუმცა მას, თუ როგორა არის მოწყობილი, ხალხური ტექსტები

თვითმხილველთა ნაამბობით გადმოგვცემენ. სხვა სივრცე, „სხვა ქვეყანა“ გვხვდება ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში.

I თავი

სამოთხისა და ჯოჯოხეთის მოტივი ქართულ ლიტერატურაში და მისი ფოლკლორულ-მითოსური პარადიგმები

სამოთხისა და ჯოჯოხეთის თემა აქტუალურია ზეპირსიტყვიერებაში. ადამიანს, ერთი მხრივ, ცხოვრება უწევს დაცემულ წუთისოფელში, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს „სხვა“ სამყარო, რომელიც არცთუ იშვიათად გვხვდება ბიბლიურ-სასულიერო ლიტერატურასა და ფოლკლორულ ნაწარმოებებში. ბინალური ოპოზიცია, სამოთხე და ჯოჯოხეთი, ზოგჯერ მთავარ თემას წარმოადგენს როგორც მითოლოგიურ გადმოცემებში, ასევე წმინდანთა ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდში. რ. სირაძე მიიჩნევდა, რომ აგიოგრაფიამ და აგიოგრაფიულმა გმირებმა მითოლოგიიდან ისესხეს ისეთი ელემენტები როგორიცაა ზებუნებრივ ძალთა ფლობა, რადგანაც მითოსურ გმირთა ზებუნებრიობას მათი ფიზიკური ძალა განაპირობებდა. აგიოგრაფიამ ფიზიკური ძლიერების კულტი ჩაანაცვლა სულიერი ძლიერებით, რამაც აგიოგრაფიულ გმირს მიანიჭა სულიერი სასწაულმოქმედების უნარი (სირაძე 1982:86), ამიტომაცაა, რომ აგიოგრაფიული ნაწარმოების მთავარი გმირი მხოლოდ იდეალური ადამიანის განსახიერებაა, რომლის ცხოვრებაშიც მომხდარი ცვლილებები, პრობლემები დამხმარე მასალაა, რათა ისინი იქცნენ სახე-იდეებად და არა სახე-ხასიათებად (სირაძე 1982:88). ასეთ დროს წმინდანი ერთ საერთო იდეას ემსახურება, რომელთათვისაც ცხოვრებით ტკბობა არაფერია. წმინდანი თავისი ცხოვრებით ცხადყოფს თავის შინაგან ძალას, რწმენის სიძლიერეს (სირაძე 1987:15), რასაც მივყავართ იქამდე, რომ მათ ცხოვრებაში ვხვდებით სამოთხისებური ყოფის ანარეკლს, რომელსაც ადამიანებს სიწმინდის კლების შედეგად გაუქრათ.

მაშასადამე, ამ თავში განვიხილავთ სამოთხისა და ჯოჯოხეთის მითოსს ქართულ ჰაგიოგრაფიაში, როგორაა ის წარმოდგენილი წმინდანთა ცხოვრებაში.

1.1. მაყვლოვანი

აგიოგრაფია და მითოლოგია რომ ზოგჯერ ერთად თანაარსებობენ ამის კარგ მაგალითს გვაძლევს „წმინდა ნინოს ცხოვრება“. როგორც რ. სირაძე წერდა, „ნინოს ცხოვრებაში“ შეჭრილია მითოსური ნაკადი, ქრისტიანული მოდელირებით, ხან კიდევ პირიქით (სირაძე 1987:81).

სამოთხის მოტივი „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ წარმოდგენილია სამეფო ბაღის ეპიზოდით. აქ ბაღი გადააზრებულია ედემად. წმინდა ნინომ ქართლში მოსვლისას, არმაზის კერპის დამსხვრევის შემდეგ, სამეფო ბაღში დამკვიდრებამდე ნახა ჩვენება. „და სამგზის ვიხილე ჩუენებასა შინა მცირედსა მას მირულებასა ჩემსა მუჴლთა ზედა, მოვიდიან მფრინველნი ცისანი, შთავიდიან მდინარესა, დაიბანნიან და მოვიდიან სამოთხესა მას, და ბაბილოსა მას მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან, და მოწლედ ჩემდამო ღაღადებედ, რეცა ჩემი არს სამოთხჷ იგი. გარე მომადგიან ჟღავილით და ჴმობედ ჩემდა მომართ მრავალფერად“ (აბულაძე 1963:123).

სამეფო ბაღი არ არის ჩვეულებრივი გეოგრაფიული სივრცე, ის წარმოადგენს საკრალურ სივრცეს, სადაც წმინდა ნინომ უნდა აღასრულოს თავისი სასწაულები. ძველ აღთქმაში სამოთხის ბაღი შემდეგნაირადაა აღწერილი: „უფალმა ღმერთმა ბაღი გააშენა ედემში. აღმოაცენა უფალმა ღმერთმა მიწიდან ყოველი ხე, სანახავად საამო და საჭმელად ვარგისი, შუაგულ ბაღში კი ხე სიცოცხლისა და ხე კეთილის და ბოროტის შეცნობისა. მდინარე მოედინება ედემიდან ბაღის მოსარწყავად, მერე იტოტება და იქმნება ოთხი ნაკადი“ (დაბად.2:8-10).

„ნინოს ცხოვრებაში“ სამეფო ბაღი, სამოთხედაა გააზრებული, რასაც რ. სირაძე მიიჩნევდა ტიპიურ ქრისტიანულ სიმბოლიკად, ხოლო წარმართობასთან აკავშირებდა ფრინველებს და მათ საქციელს. ფრინველები თავისი ქცევით ნინოს უთმობდნენ ბაღს (სირაძე 1987:85). საინტერესოა, რატომ აკავშირებს რ. სირაძე ფრინველებს წარმართობასთან. ამასთან დაკავშირებით შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, ასე იმიტომ ფიქრობდა, რომ ძველი რწმენა-წარმოდგენებით სამყარო დაყოფილია სამ სკნელად: ზესკნელად, შუასკქნელად, ქვესკნელად და არსებობენ ისეთი ფრინველები,

რომლებიც ამ სამივე სკნელში გადაადგილდებიან, მაგალითად ფასკუნჯი. ასევე უნდა გავიხსენოთ, რომ ბაბილო, რომელსაც ავტორი „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ახსენებს, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის ხის ვენაჯი, ან გრძელი ვაზი (ორბელიანი 1991:87). მითოლოგიაში კი ვაზი ღვთაებრივი მცენარეა და იგი უკავშირდება დიონისეს კულტს, ხოლო რ. სირაძე წიგნში „ქართული კულტურის საფუძვლები“, წერს რომ ვაზი ქართველთა წარმოდგენით იყო „სიცოცხლის ხე“ (სირაძე 2000:148).

წმინდა ნინო, სანამ ნახავდა ჩვენებას, რომელიც განუცხადებდა, რომ სამოთხის ბაღი მისია, ნინომ იხილა ჩვენება: „ჩუენებით ვხედევდ, მოვიდა კაცი ნათლისა ფერი და მრქუა მე: „სამოთხესა შევედ, ნაძუთა ქუეშე ბაბილოთა ადგილი არს მცირე საყუარელად შემზადებული, მიწაჲ აღიღე ადგილსა მისგან და შეაჭამე კაცთა მაგათ, და ესუას შვილი“(აბულაძე 1963:123). სხვა ვარიანტში ნაძვის ნაცვლად გვხვდება კვიპაროზი: „ხოლო ხე იგი იყო კვიპაროზი და ქვეშე მისსა - მრავალფერი ყვავილი“(ქართული პროზა 1981:197). კვიპაროზი/ნაძვი აქ უნდა გადავიაზროთ, როგორც ცისა და მიწის, როგორც სხვადასხვა სივრცის კავშირი. ცისა და მიწის კავშირს ქართულ ფოლკლორში, კერძოდ, ხევსურულ გადმოცემებში გამოხატავს მირომდინარე ხმალას ალვის ხე და ფშაურ თქმულებებში ოქროსშიბიანი ლაშარის მუხა. ეს ალვის ხე ძალიან მაღალი იყო და მას მირონი გადმოსდიოდა. ალვის ხეს ძირში დარანი ჰქონდა და ხიდან გამოსული მირონი იქ მდგარ სამ ქვევრში ჩადიოდა. ალვის ხეზე ღვთისშილებსა და ანგელოზებს გაბმული ჰქონდათ ოქროს შიბი და იმაზე დადიოდნენ. ეს რომ ცისა და მიწის კავშირი იყო, მტკიცდება იმით რომ ალვის ხე ზურაბ არაგვის ერისთავმა მოაჭრევინა, მას შემდეგ რაც ხეს კატის სისხლი წაუსვეს, მაშინ ღვთისშვილები აეხსნენ/ მიატოვეს ჯაჭვი და „გაბმული ოქროს შიბი მოწყდა და მაღლა ცაში წავიდა. როცა მიდიოდა, შიბი ისე ხმამაღლა წიოდა, რომ მთელმა ხევსურეთმა გაიგონა“ (ანდრეზები 2009:13-15).

ბაღში, სადაც ნინომ დაიდო ბინა, კვიპაროზის ხესთან იდგა მაყვლის ბუჩქი, რომელიც კვიპაროსზე იყო გადასული და ფარავდა მას. ამ მაყვლოვანში დაიდო ბინა წმინდა ნინომ და იქ ლოცულობდა და კურნავდა ხალხს. მაყვლოვანს ბიბლიაში საკრალური დატვირთვა აქვს: როდესაც მოსე თავისი სიმამრის ცხვარს მწყემსავდა იგი მიადგა ღვთის მთას, მას „გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ

მაყვლოვანში. ხედავს უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი“. მოსემ გადაწყვიტა მისულიყო და ენახა. უფალმა კი უთხრა: „ ახლოს ნუ მოხვალ! გაიძრე ფეხსამოსი, რადგან ეს ადგილი, სადაც შენ დგახარ, წმინდა მიწაა“(გამოს.3:5). სწორედ იქ აღუთქვა ღმერთმა მოსეს ებრაელების ეგვიპტიდან გამოყვანა.

მ. ელიადე წიგნში „მარადიული დაბრუნების მითი“ ერთ-ერთ ქვეთავში განიხილავს „ცენტრის“ სიმბოლურ მნიშვნელობას და წერს, რომ კოსმოსის ცენტრი შეიძლება იყოს ქალაქი, რომელიც ითვლება სამი კოსმიური სამეფოს შესასვლელად. ესაა: ცაში, მიწაზე და ჯოჯოხეთში. ებრაელებისთვის ცისა და მიწის შემაერთებელ ჯაჭვს წარმოადგენს ქალაქი იერუსალიმი, იგი დედამიწის ცენტრია, რადგანაც იქაა მთა- გოლგოთა, სადაც ეწამა იესო ქრისტე და იქვეა დაკრძალული ადამი, სადაც შეიქმნა (ელიადე 2017:37). ვიცით, რომ ქალაქი მცხეთა მიჩნეულია მეორე იერუსალიმად, მაშასადამე, ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ მცხეთის წმინდა ნინოს მაყვლოვანი ბიბლიური მაყვლოვანის ალუზიაა და იგი ნაწარმოების ერთგვარ საკრალურ ცენტრს წარმოადგენს, საიდანაც იწყება მცხეთის ხალხის რჯულზე მოქცევა და შემდეგ უკვე მთლიანად საქართველოსი

1.2. **მგელი „კარაულთა“ მწყემსად**

წმინდა მამები, აგიოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით, ჩვეულებრივ, პროფანულ სივრცეს საკრალურ სივრცედ გარდაქმნიან, ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს „შიოსა და ევაგრეს ცხოვრება“.

შიო მღვიმელი, როდესაც დაშორდა ასურელ მამებს ის სულიწმინდის წინამძღოლობით დაემკვიდრა მცხეთის დასავლეთით. ეს ადგილი იყო ღრმა ხევი, რომელიც იყო ძალიან ცხელი, უდაბური და უწყლო, საცხოვრებლად იქ არაფერი არ იყო. შიომ ბინა დაიდო იქვე გამოქვაბულში. ის ლოცულობდა და როცა იხილა ღმერთმა მისი მოთმინება, რომ უდაბნოში არაფერი იყო საკვები, მაშინ ღმერთმა, რომელიც ყველაფერ დაფარულს ხედავს, „ღმერთმან, რომელმან გამოზარდა ელია და უდაბნოსა შინა ყორნისა მიერ, ეგრეთვე წმინდაი ესე მამაი ჩუენი გამოზარდა, რამეთუ ტრედისა

მიერ დღითი-დღე უბოძებდა საზრდელსა“ (აბულაძე 1963:217-218). სახარებაში უფლის მიერ ელია წინასწარმეტყველის გამოკვება ასეა აღწერილი: „ და გამოეცხადა უფლის სიტყვა: წადი აქედან და აღმოსავლეთისაკენ იარე, ჩაიმალე ქერითის ხევში, იორდანეს გასწვრივ. ამ ხევიდან სვი წყალი; ყორნებს ვუბრძანებ, რომ გკვებონ მანდ. მოჰქონდათ მისთვის ყორნებს დილაობით პური და ხორცი, და საღამოობითაც პური და ხორცი“(მესამე მეფეთა.17:1-6). პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ მტრედი ეს არის სულიწმინდის სიმბოლო. „ მოვიდა იესო გალილეის ნაზარეთით და ნათელ იღო იორდანეში იოანესაგან. და წყლიდან ამოსვლისთანავე, იხილა ცანი გახსნილნი და სული ღმრთისა მტრედივით გადმომავალი“(სახ. მარკ.1:9-10). გარდა ამისა, მტრედი, ძველი აღთქმის მიხედვით არის მშვიდობის სიმბოლო, რომელიც ნოეს წარღვნის დასრულებას აუწყებს. „შვიდ დღეს დაიცადა და ხელახლა გაუშვა მტრედი კიდობნიდან. დაბრუნდა მტრედი საღამოჟამს და, აჰა, ზეთისხილის ნედლი რტო ეჭირა ნისკარტით. მიხვდა ნოე, რომ დამწყდარიყო წყალი დედამიწაზე“(დაბად.8:10-11).

შიო მღვიმელს მალევე გამოუჩნდნენ მოწაფეები და შეიკრიბა ძმობა. ძმები საკვებისა და წყლის მოსატანად, ასევე სხვა საჭიროებებისთვის იყენებდნენ სახედრებს. ის ადგილი სადაც ძმები ცხვრობდნენ მთიანი ადგილი იყო, ამიტომაც იქ ბევრი იყო გარეული ნადირიც. ნადირი შეეჩვია „კარაულთ“, რამაც ბერები ძალზედ დაამწუხრა. მაშინ შიომ ილოცა და მხეცნიც მის წინ მივიდნენ, ბერმა მხეცებს უბრძანა, რომ ყველა მხეცი წასულიყო, გარდა ერთისა. მართლაც, ყველა მხეცი წავიდა გარდა მგლისა: „მგელი დგა მოწიწებით, ვითარცა მონაჲწინაშე მისა, და რქუა: „სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა გიბრძანებ შენ, მჴეცსა მაგას, რაჲთა ვითარცა მწყემსი კეთილი აძოებდე კარაულთა ჩუენთა, რაჲთა ვჴრი რომლითაცა ჩუენ ვიზარდებით. ხოლო განასხემდი დილასა და ჟამსა მწუხრისასა მოასხემდი, და იყავ მწყემს და მცველ საჴედართა ჩუენთა, ხოლო მგელი იქმნა მორჩილ, ვითარცა მონაჲ და ჰყოფდა ბრძანებისაებრ ბერისა“ (აბულაძე 1963:221).

ბერები ახდენენ სივრცის კოსმიზირებას, სადაც მგელი და სახედარი ერთად თანაარსებობენ. ერთად თანაარსებობენ ისევე როგორც ეს იყო „მას ჟამსა შინა“, როცა ღმერთმა შექმნა „მიწის ყველა მხეცი, ცის ყველა ფრინველი, ყველა ქვემძრომი, რასაც

კი სიცოცხლის სული უდგას“(დაბად.1:29) და ყველა ერთად დაასახლა, მაგრამ ხდება ეპოქალური ცვლილება, რომელიც ადამიანის დაცემულმა ბუნებამ განაპირობა. ადამის ცოდვით დაცემის შემდეგ ცხოველები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ადამინებისთვის კი მთავარი საზრისს წარმოადგენს პირვანდელ ქმნილ სამყაროს დაუბრუნდეს, რაც ხდება წმინდანთა ცხოვრებაში, რადგანაც ისინი ახდენენ სივრცის კოსმიზირებს, ამ შემთხვევაში კი ეს მოხდა „შიო მღვიმელის ცხოვრებაში“.

მგელისა და ცხვრის/ თხის თანაარსებობა არაა უცნობი არც სხვა ქართული ლიტერატურული ნაწარმოებისათვის თუ ბიბლიისათვის. ამგვარ სამოთხისებურ ყოფას იყენებს შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“, როდესაც ასრულებს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილის ამბავს:

„ყოვლთა თოვლთა წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,

ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,

ავის მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,

შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოდეს“(1664).

ტარიელისა და ნესტანის ქორწილით დამყარდა სამოთხისებური ყოფა და ქვეყანა დაემსგავსა პირველქმნილ სამყაროს. მოხმობილი სიუჟეტის მსგავსი ეპიზოდი გვხვდება ესაია წინასწარმეტყველთან, როდესაც ის ქადაგებს იესოს ამქვეყნად მოვლინების შესახებ.

„დადგება მგელი ცხვართან ერთად და ვეფხვი დაბინავდება ციკანთან ერთად, ხბო, ლომი და ნასუქალი პირუტყვი ერთად იქნებიან და ჩვილი ბავშვი წაუძღვება მათ. ძროხა და დედადათვი ერთად მოსძოვენ და მათი შვილები ერთმანეთის გვერდით დაწვებიან, ლომი ძროხასავით შეჭამს ჩალას“(ესაია წინასწარმეტყ.11:6-7). სხვა ადგილას კი ამბობს: „ მგელი და კრავი ერთად დაიწყებენ ძოვას და ლომი ძროხასავით შეჭამს თივას, გველს კი საჭმელად მტვერი ექნება; არ იბოროტებენ და არც რასმე წაახდენენ მთელს ჩემს წმინდა მთაზე, ამბობს უფალი“(ესაია წინასწარმეტყ.65:25).

ამ ეპიზოდში მგლის ბუნება გარდაიქმნება, იგი უარყოფს თავის ბუნებითობას, მაგრამ ამის შესახებ ზ.კიკნაძე წერს, რომ მგლის მწყემსობა დროებითი და ეფემერულია, რადგანაც თვითონ ასურელი მამა გაანთავისუფლებს მგელს მითვის უჩვეულო

საქმიანობისაგან. ასე იმიტომ იქცევა შიო მღვიმელი, რომ მგლისთვის განსაცდელი აეცილებინა (კიკნაძე 2016:227).

შიო მღვიმელის ცხოვრებაში, ჩვენ ვხვდებით, იმ პირველქმნილი მდგომარეობის, in illo tempore-ში დაბრუნებას, როდესაც ქვეყნიერებამ არ იცოდა თუ რა იყო ბოროტება, მაგრამ ეს ყოფა დროებითია, რადგანაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ და უარი არ უთქვამთ ადამიანებსა თუ ცხოველებს ბოროტების ჩადენაზე, ამიტომაც შიო ათავისუფლებს მგელს მასზე დაკისრებული მოვალეობისგან, ხოლო რაც შეეხება მტრედის ეპიზოდს, ვიცით, რომ მტრედი სულიწმინდის ფრინველია და მისი გამოჩენით, უფალი უცხადებს შიოს, ისევე როგორც ხევსურულ ანდრეზებში მკადრეს, რომ უფალი მის გვერდითა იქნება და ერთგულ ყმას არ მიატოვებს.

1.3. **ირემი - წმინდანთა და უფლისწულთა მკვებავი**

„დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ ვხვდებით უდაბნოს გარდაქმნას სამოთხისებურ სივრცედ, როცა წმინდა მამებსა და გარეულ ცხოველებს შორის ისპობა გაუცხოება, რომელიც სამყაროში ცოდვით დაცემის შემდეგ შემოვიდა. განდეგილი ბერის მოწაფე ლუკიანე გარეჯის უდაბნოში ჯავრობს იმის გამო, რომ მათ არ აქვთ არც საკვები, არც წყალი. მამა დავითი მას გამუდმებით ამხნევებს, მაგრამ ლუკიანე მაინც შფოთშია. ერთხელაც მამა დავითი ამშვიდებს ლუკიანეს და როცა მან დაასრულა თავისი სიტყვა, „მეყსეულად მოვიდეს სამნი ირემნი, რომელთა უკუანა სდევდეს ნუკრნი მათნი და წარმოუდგეს წინაშე მათსა ვითარცა ცხოვარნი დამშვდებულნი“(აბულაძე 1963: 231). ირემი ღვთაებრივი ცხოველია, რომელიც გვხვდება ფსალმუნში „ ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართა წყალთასა, ეგრე სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“(41-ე ფსალმუნი), ასევე წყაროს დაწაფებული ორი რქაბორჯღალა ირემი გამოსახულია ატენის სიონის შესასვლელ კედელზე. მითოლოგიას ახსოვს ის დრო, როცა ირემი თავისი ნებით მიდიოდა სალოცავში და მას მსხვერპლად ეწირებოდა. მეცნიერთა აზრით, ირემს უნდა მიეღო მონაწილეობა კოსმოგონიურ პროცესში. იგი თავისი რქებით ცისა და მიწის კავშირის ცოცხალი განსახიერებაა. მითოლოგიაში, მხოლოდ ზებუნებრივ

არსებებს შეუძლიათ ირმად ქცევა. ირემი ყოველთვის დადებითი პერსონაჟია. ის სიკეთის განსახიერებაა, რომელიც ასევე სიამაყის, დიდებულებისა და სიმშვიდის განსახიერებაცაა თავის თვინიერებასთან ერთად. ის სამეფო ცხოველია და თავისი ბუნებით უნდა ემსახურებოდეს ხალხს (კიკნაძე 2016:207). ირემი ქართულ მითოლოგიაში უფლისწულთა მკვებავია, ისევე როგორც მგელი რომაულ მითოსში.

„ბატონიშვილს ერეკლესა

ირმის ძუძუ უწოვნია“ [ქართ.ხალხ.საისტ.სიტყვ. 1964:9].

ტექსტში „ლეგენდა თამარზე“, ნათქვამია რომ თამარმა უკანონო ვაჟი მოსამსახურეს მთაში დაატოვებინა. ბავშვი ტიროდა და მის ტირილზე მოვიდა ირემი. ნახა ბავშვი, შეებრალა და დაუწყო ძუძუს წოვება. ირმის რძით ბავშვი გაიზარდა (ქართ. ხალხ. საისტ. სიტყვ.1961:81), ფურ-ირმის რძითაა გაზრდილი შუმერული ეპიკური თქმულებების გმირი ენმერქარიც. ზ.კიკნაძე ირემის საკუთარი ნებით მსხვერპლად შეწირვის თვისებაზე წერს, რომ ირემს თითქოს სურს უფრო ახლოს მივიდეს ადამიანთან, ამიტომაც ნებაყოფლობით მსხვერპლადაც კი იღებს თავის თავს სალოცავში, როგორც შინაური ცხოველები იქცევიან, მაგრამ ადამიანი ნაცვლად იმისა, რომ მიიღოს მისგან ნებაყოფლობითი მსხვერპლი ნანადირევად აქცევს მას. საკრალურ დროს ირემი მოვიდა მსხვერპლად შესაწირად, მაგრამ ადამიანებმა შეურაცხყოფა მიაყენეს მას და ღმერთმა საგვარეულოს დააკისრა ვალი, რომელსაც იმ დროიდან მოყოლებული დღესაც ასრულებენ, თუ არ შეასრულებენ ამ ვალს, მაშინ საგვარეულო დაისჯება (კიკნაძე 2016:208). ირმის შეწირვა ხშირად, წმინდა გიორგის სახელთანაა დაკავშირებული. იგი გზავნის სალოცავში მსხვერპლად ირემს, რომელიც თავისი ნებით მიდის მათთან და ეწირება. ასეთ ირემზე თქმულებები გავრცელებულია საქართველოს სხვადახვა კუთხეში. ირმის ნებაყოფლობით მსხვერპლად შეწირვა ინახავს ხსოვნას საკრალურ დროზე, რომელიც ადამიანებმა სიწმინდის დაკლების შედეგად დაკარგეს. მას შემდეგ ირემს ხარი ჩაენაცვლა. მოხდა ეპოქალური ცვლილება და ეს ადამიანებს დღესაც ახსოვთ, რაზეც მოწმონს ხალხში გავრცელებული თქმულებები. მაგალითად, ზემო იმერეთში, ბაღდათის რაიონ სოფელ ხანში, დღესაც სულთმოფენობის დღესასწაულზე, აღნიშნავენ ველაობას, სადაც ტაბეშაძეებისს გვარის

წარმომადგენლები კლავენ სამი წლის კურატს. ეს ტრადიცია მოდის სწორედ იმ უხსოვარი დროიდან, როცა ირემი მოდიოდა და თავისი ნებით ეწირებოდა მსხვერპლად, შემდეგ კი ადამიანთა შეცოდების გამო, მათ თავიანთ თავზე იდვეს ამ მოვალეობის შესრულება და ამიტომაც ირემს ჩაანაცვლეს ხარი.

1.4. ჯოჯოხეთური დრო-ჟამისა და სივრცის რეპრეზენტაცია ქართულ აგიოგრაფიაში

წუთისოფელში სამოთხისებური სივრცის გვერდით გვხვდება ჯოჯოხეთური სივრცე და დრო-ჟამი. როგორც სამოთხის მოტივები აისახა ჰაგიოგრაფიაში, ასევე მოხდა ჯოჯოხეთის შემთხვევაშიც. ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ის ეპიზოდები ქართულ აგიოგრაფიაში, სადაც გვხვდება ჯოჯოხეთური სივრცე. პირველი ტექსტი, რომელიც ამ მხრივ ჩვენს ყურადღებას იპყრობს არის იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“. საპყრობილის ეპიზოდში ვკითხულობთ: „ ციხესა მას შინა, ტილი მოუგონებელი ადგილსა მას დასხმულ იყო. ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუელი იგი მჭურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკჳდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღე-მოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებულნი არავინ არს მათ ქუეყანათა“ (აბულაძე 1963: 25). „შუშანიკის წამების“ აღნიშნული ეპიზოდი წარმოადგენს იმქვეყნიური ჯოჯოხეთის ალუზიას.

„დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ ჯოჯოხეთის ალუზიას წარმოადგენს ის ეპიზოდი, რომელშიც მონაწილეობს გველეშაპი, იგივე ვეშაპი, რომელიც თავისი სახით ჯოჯოხეთს განასახიერებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავით გარეჯელთან მოდიოდა ირემი, რომელიც ღვთის განგებით მას და მის მოწაფეს კვებავდა, მაგრამ ირმების ფარეხთან ახლოს ბინა დაიდო გველეშაპმა: „იყოფებოდა ვეშაპი დიდი და საზარელი, რომელსა ესხნეს თუალნი სისხლის ფერნი და რქაჲ იყო შუბლსა და ფაჩარი ფრიად ქედსა მისსა“ (აბულაძე 1963:231), გველეშაპმა ირმის ნუკრი შეჭამა. დამფრთხალმა ირმებმა მამა დავითთან მიირბინეს, ხოლო ლუკიანემ წმინდანს უთხრა, რომ ირმები იყვნენ

შეშინებულები და თან მათთან მარტოებიც მივიდნენ, მაშინ დავით გარეჯელმა, რომელსაც ხელში კვერთხი ეჭირა ნახა ირმების სადგომი და დაინახა იქ გველეშაპი და მიმართა მას: „აწ გამოვედ ადგილთა მაგით და წარვედ შორთა უდაბნოთა, და უკუეთუ არა ისმინო ჩემი, ძალითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა ჩემითა ამით კუერთხითა მუცელი შენი განვხეთქო და საჭმელ მატლტა გყო შენ“ (აბულაძე 1963:232), მაშინ გველეშაპი დასთანხმდა წასვლაზე, მაგრამ წმინდანს პირობა წაუყენა: „აღმომყევ თავადმდე ამის მთისა და თავს-მდებ მექმენ, რაჲთა არა მიაქცივნე თუალნი შენნი ჩემგან, ვიდრე არა შთავიდე წყალსა მას, რომელი დის სამხრით კერძო მთისა ამის, რამეთუ მეშინის მე მეხის-ტეხისაგან და მით ვერ გამოვალ მე“(აბულაძე 1963:232). დავით გარეჯელმა პირობა მისცა და ის წინ გაუძღვა გველეშაპს. მამა დავითი მიდიოდა და თან ფსალმუნს კითხულობდა, მაგრამ უფლის ანგელოზმა დავითი უკან მიახედა და მისი მეხედვისთანავე გველეშაპიც დაითრგუნა, დაეცა მას მეხი და დაიწვა. ამით განადგურდა ჯოჯოხეთური სივრცე უდაბნოში.

ასევე ჯოჯოხეთის განმასახიერებელად უნდა მივიჩნიოთ გველეშაპი ამირანის თქმულების მოხეურ ვარიანტში, „გაქვავებული გველეშაპი“, სადაც გველეშაპი ცდილობდა მყინვარწვერის ფერდობზე მიჯაჭვული ამირანის შეჭმას. ის მყინვარის წვერიდან გადმოცოცდა და დაბმულ ამირანს შეჭამდა რომ არა წმინდა გიორგი, რომელმაც მისი განზრახვა გაიგო, მაშინვე ამირანთან გაჩნდა და გველეშაპი გააქვავა (ჩიქოვანი1947: 346), ასევე ამირანის ეპოსის სხვა ვარიანტი „მყინვარის გველეშაპი“, მოგვითხრობს, თურმე მყინვარის კალთაზე ბუდობდა ერთი გველეშაპი. მყინვარის ამ კალთაზე იყო თბილი წყალი და გველეშაპი მასთან არავის უშვებდა, ხალხისგან მსხვერპლს მოითხოვდა. სოფელმა ხატს შესთხოვა გველეშაპისგან გათავისუფლება და ხატს თან ძღვენიც მიართვა. მაშინ იესო ქრისტემ გააქვავა გველეშაპი (ჩიქოვანი 1947: 347). წმინდა გიორგის/იესო ქრისტეს მიერ გაქვავებული გველეშაპი თავის თავში ატარებს ჯოჯოხეთურ სახეს და ყოფას არა მხოლოდ აგიოგრაფიულ ლიტერატურასა და ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში, არამედ ქრისტიანობაშიც. როგორც ვიცით, წმინდა გიორგი გვევლინება გველეშაპთან მებრძლოდად და იგი ხატებზე გამოსახულია, როგორც გველეშაპის დამთრგუნველი.

გარდა ხალხური გადმოცემებისა და ლიტერატურული წყაროების, ასევე იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში წერია: „და ვიხილე ანგელოზი, ჩამომავალი ზეცით, რომელსაც ჰქონდა გასაღები უფსკრულისა, და ხელთ ეპყრაჯაჭვი გრძელი. და შეიპყრა ურჩხული, გველი დასაბამი, რომელიც არის ეშმაკი და სატანა, შეკრა იგი ათასი წლით. და ჩააგდო იგი უფსკრულში და დახშა კარი, და დაიბეჭდა იგი, რათა ვეღარ აცდუნებდეს ხალხებს“(გამოცხ. 20:1-3).

მითოლოგიაში გველეშაპი პრეკოსმიური არსებაა, რომელიც ელოდება ჟამთა აღსასრულს, რომ ხმელეთი ნანგრევებად აქციოს და სამყარო დაუბრუნდეს შესაქმენდელ არარაობას. ამიტომაც იგი არის არა მხოლოდ ბოროტების მომტანი, არამედ თვით ბოროტების პერსონიფიცირებული ფიგურა (კიკნაძე 2016:228).

თავის დასასრულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგიოგრაფიულ მწერლობაში წარმოდგენილი სამოთხის მოტივის ერთგვარ პარადიგმას ვხვდებით ქართულ მითოლოგიაში და ეს არის ცისა და მიწის კავშირი, ცხოველისთვის თავისი პირვანდელი ფუნქციის აღდგენა, ღვთის ან რომელიმე წმინდანის მიერ, მართალია, იგი დროებითია, მაგრამ ამის მიუხედავად დედამიწაზე მაინც მყარდება ჰარმონია. ასევე, არაერთი მითოლოგიური გადმოცემით მტკიცდება, რომ ისევე როგორც აგიოგრაფიულ ლიტერატურაში, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებშიც ბერები და წმინდანები გარდაქმნიან ჩვეულებრივ პროფანულ სივრცეს „კვრივად“, საკრალურ სივრცედ.

სამოთხის ბინარულ ოპოზიციას სასულიერო ლიტერატურასა და მითოლოგიაში ჯოჯოხეთი წარმოადგენს. წმინდა ბერების მიერ გარდაქმნილ სამოთხისებურ სივრცეს ხალხურ ტექსტებში უპირისპირდება დემონურ არსებათა სამოქმედო არეალი, რომელიც წარმოადგენს „სხვა“ სივრცეს და იგი ჯოჯოხეთის ნიშნებს ატარებს. ასეთი ადგილი სამოთხის ანტითეზას წარმოადგენს.

II თავი

სამოთხისებური სივრცე მითოლოგიურ გადმოცემებში

ქართულ მითოლოგიურ ტექსტებში ხშირად წარმოდგენილია საკრალური სივრცე, როგორც ბიბლიური სამოთხის ერთგვარი პარადიგმა. მართალია, ადამიანებმა სამოთხე მრავალი ათასწლეულის წლის წინ დაკარგეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხალხური ტექსტების მიხედვით, დედამიწის ზედაპირზე მაინც გვხვდება ისეთი ადგილები, სადაც სამოთხისებური ყოფის ფრაგმენტები ჯერ კიდევ არის შემორჩენილი, რომელიც სიწმინდისა და მარადიული გაზაფხულის ნიშნებს ატარებს.

ასეთი ადგილების ხსოვნა შემოინახეს, ერთი მხრივ, რჩეულმა ადამიანებმა, როგორებიც არიან ბერები და ხევისბრები, ხოლო, მეორე მხრივ, საკრალური ადგილები თვით ღვთის ნებით გამოჩნდა დედამიწაზე. გადმოცემები საკრალური სივრცის შესახებ უმეტესად გვხვდება საქართველოს მთიანეთში, რადგანაც, თუ გავიხსენებთ ბიბლიას ვნახავთ, რომ თვითონ ღმერთმა აირჩია მთა წმინდა ადგილად, პირველად, როცა ღმერთმა ადამი დაასახლა ედემის ბაღში, „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში“ (დაბად.II.15), ხოლო მეორედ, როცა ის გამოეცხადა მოსეს მთაზე და მისცა ათი მცნება.

მთასთან დაკავშირებით ზ. კიკნაძე წერს, რომ მთაწმინდა ძველი და ახალი აღთქმის რელიგიებში ამქვეყნიური სამოთხის ხატია, რადგანაც იქ შეიკრიბა სამოთხიდან განდევნილი ადამის შთამომავლობა, ამიტომაც ატარებს ის სამოთხისებურ ნიშნებს (კიკნაძე 20016: 116). მ. ელიადეც თვლის, რომ მთა ეს არის ადგილი, სადაც ცა და დედამიწა ერთმანეთს ხვდება და ის სამყაროს ცენტრში მდებარეობს (ელიადე 2017: 31).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სწორედ მთაში უნდა ვეძებოთ გამორჩეული, სამოთხისებური ადგილები, მაგრამ აქ უნდა განვმარტოთ, რათა ბუნდოვანი არ იყოს, თუ რას ვგულისხმობთ სამოთხისებურ ყოფასა და სამოთხისებურ ადგილში.

ჩვენი კვლევის წყაროს წარმოადგენს რელიგიურ - მითოლოგიური გადმოცემები და იქ მოხმობილი ტექსტები, ამიტომაც ჩვენ ამ მასალას ერთგვარი კლასიფიკაცია უნდა

მივცეთ, რათა ადვილი დასანახი აღმოჩნდეს, თუ რას ვგულისხმობთ სამოთხისებურ ადგილებში.

1. სამოთხისებური ადგილები, რომლებიც სიწმინდის დაკლების გამო დაიკარგა.
2. ჯვრის საიდულმო სამალავები.
3. საკრალური
4. საკრალური ადგილები, რომლის აღმოჩენაშიც რჩეული ადამიანები მონაწილეობენ

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ამ სივრცის მახასიათებელი ნიშნებში. რა ახასიათებს სამოთხისებურ, საკრალურ სივრცეს. ასეთ ადგილას ცოდვილს არ შეუძლია მიახლოება, იმ ადგილას აკრძალულია ქალის მისვლა. იქ ჯვრის მსახური მიდის გაწმენდილი ან განწმენდის მიზნით ფეხშიშველი. ასეთ გამორჩეულ ადგილას ანგელოზები იკრიბებიან.

2.1. **დაკარგული და საფარველდადებული საკრალური სივრცე**

საკრალურ სივრცეში მდებარეობს მირონმდინარე ხმალას ალვის ხე და ოქროსშიბიანი ლაშარის მუხა. მათზე საუბარი გვქონდა პირველ თავში, როგორც ცისა და მიწის დამაკავშრებელ წმინდა ხეზე, თუმცა ეს ადგილი, ისევე როგორც სამოთხე, დაიკარგა ადამიანის პატივმოყვარეობის გამო. ერთ-ერთი გადმოცემა გვამცნობს, რომ ხმალას ალვის ხის მოპირდაპირედ, არაგვის გადაღმა, გორზე, იდგა მაღალი ციხე, რომელსაც შურის ციხე ერქვა. შურის ციხესა და ალვის ხის წვერებზე ანგელოზებს გაბმული ჰქონდათ ოქროს შიბი, რომელზეც ისინი დადიოდნენ. ქისტებს და ლეკებს სურდათ ამ ციხის ხელში ჩაგდება, ალვის ხის მოჭრა და ოქროს შიბის წაღება, მაგრამ ვერ მოახერხეს. თუმცა ბიბლიიდან თუ ისტორიიდან ვიცით, რომ ყველაგან გამოერევა ხოლმე ერთი იუდა და მათაც იპოვნეს ასეთი ადამიანი, ერთი ღულელი კაცი, რომელმაც ასწავლა ქისტებს თუ როგორ უნდა მოეჭრათ ალვის ხე. ალვის ხეს ერთი თვისება ჰქონდა, მას რამდენჯერაც ცულს დაჰკრავდნენ, იმდენჯერ მთელდებოდა. ყოველგვარი სიწმინდის შელახვა შეიძლება უწმინდურობით და ეს ხეც კატის, როგორც უწმინდური ცხოველის წყალობით გააუწმინდურეს. ხეს აეხსნენ თუ არა ღვთისშვილები ისიც მაშინვე

წაიქცა და მის მოპირდაპირედ მდგარი შურის ციხეც დაინგრა, ხოლო შიბი წივილით წავიდა ცაში. ეს ადგილი გაუწმინდურდა, იქ აღარ დარჩა არც ერთი ნიშანი იმისა, რომ იქ ოდესმე ასეთი სამოთხისებური ყოფა იყო. ამის მიზეზი კი ის გახდა, რომ ალვის ხის ნაფოტი არაგვმა ჩაუტანა მეფეს და მეფემ ეს ხე ძირ-ფესვიანად მოათხრევინა, ესეც არ იკმარა და სამირონე ქვევრები, რომელიც ალვის ხის დარანში იყო, თან წააღებინა (ანდრეზები 2009: 15).

ხალხურმა სიტყვიერებამ შემოინახა ლექსი „შურის ციხე“, საიდანაც ვიგებთ, რომ შურის ციხეს, მიწის ქვეშ ჰქონდა წყაროზე ჩასასვლელი. ალვის ხეს კი, რომელიც მის მოპირდაპირედ იდგა, ცხრა კეცად ჰქონდა გრძელი შიბი, რომელზეც ისხდნენ ოქროსთმიანი ანგელოზები და წვრილი ხმით გალობდნენ. ციხის ასაგებად დასჭირდათ 20 წელი. ანდრეზისგან განსხვავებით ლექსი ზუსტად გადმოგვცემს, თუ რა რაოდენობის სასყიდელი მისცეს საიდუმლოს გამცემ კაცს. ლექსის მთქმელი ხალხის ცნობისმოყვარეობასაც აკმაყოფილებს და გვატყობინებს, თუ საიდან იცოდა ღულელმა კაცმა ციხის საიდუმლო. მთქმელის მთქმით, ამ კაცს თურმე ანგელოზები ეცხადებოდნენ (ხალხური პოეზია 1973: 200).

მეორე ოქროსშიბიანი ხე, რომელიც ცასა და მიწას აკავშირებდა, ჰქონდათ ფშავლებს და მას ლაშარის მუხას ეძახდნენ, ახლა მის ადგილას ლაშარის ჯვარია. გადმოცემების თანახმად, მუხის წვერზე ოქროს შიბი ეკიდა, რომელზეც ანგელოზები ადი-ჩამოდიოდნენ და ხეზე სხდებოდნენ, მაგრამ ამ სამოთხისებურმა ყოფამ დიდხანს ვერ გასტანა, რადგან ზურაბ არაგვის ერისთავმა მოინდომა ფშავ-ხევსურეთის დამორჩილება და თან იმ ოქროს შიბის ხელში ჩაგდებაც სურდა. რას არ მიმართა მან, როგორ არ დასაჯა ხალხი, რათა საიდუმლო გაეგო, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. თუმცა როგორც ხმალას ალვის ხის შემთქვევაში მოხდა, აქაც გამოჩნდა ერთი გამცემი კაცი, რომელმაც გასცა მუხის ხის მოჭრის საიდუმლო. ხმალას ალვის ხის ანალოგიურად ლაშარის მუხის მოჭრაც მხოლოდ წაბილწვით შეიძლებოდა. კატა დაკლეს და მისი სისხლი ხეს ასხურეს. ხე მოჭრეს თუ არა წვერზე დაკიდებულმა შიბმა გველივით წივილი დაიწყო და წივილითვე წავიდა ცაში, დაუბრნდა თავის პირვანდელ სამყოფელს (ანდრეზები 2009:161).

მაშასადამე, ამ ორი ანდრეზით ვიგებთ, როგორ შეუძლია ადამიანს მოსპოს საკრალური სივრცე.

კიდევ ერთი გამორჩეული ადგილი, რომელზეც ანდრეზები მოგვითხრობენ, არის ცროლის მთის სანება, სადაც ზამთარში დღეობაზე მისულ ხალხს არც სციოდათ და არც ზვავი ხვდებოდათ გზაში. ირგვლივ ტყე არ იყო, რომ ცეცხლი დაენთოთ, მაგრამ იქ ხორცი უცეცხლოთ დუღდა. სალოცავში მისაყვანი საკლავი თოვლზე ისე გაივლიდა, რომ ნაკვალევს არ ტოვებდა და თავისი ნებით ხალხს წინ მიუძღოდა. სხვაგან თუ ქარბუქი და სიცივე იყო, იქ თბილოდა. სალოცავში მისული ხალხის სანთლებსაც თავად ეკიდებოდა ცეცხლი, მაგრამ მას შემდეგ, რაც წესების დაცვა დაივიწყა ხალხმა, ხევისბერი, მკადრე, ჯვრის კაცი სიწმინდეს აღარ ინახავდნენ და იქ დაიწყეს სიარული, სადაც დედაკაცები გაივლიდნენ, ჯვარში წასვლამდე მარხვას არ ინახავდნენ და ქალთანაც იყვნენ, ცროლის სანებასაც ღვთისშვილები აეხსნენ. ამის შემდეგ არც ხორცი დუღდა თავისით, არც სანთელს ეკიდებოდა ცეცხლი, ქარბუქიც იყო და ხალხსაც იქ მისვლა უჭირდათ. დაიკარგა ის სამოთხისებური ყოფა, რაც ცროლის სანებაში იყო და ყველაფერი ადამიანების გამო, რომლებმაც ვერ შეძლეს სიწმინდის დაცვა (ანდრეზები 2009:79).

მეორე ასეთივე ადგილი, მდებარეობს ფშავში, ჭიჩოში. გადმოცემის თანახმად, იქ მდებარეობდა სალოცავი, რომლის სახელიც ხალხის მეხსიერებას შემორჩენილი არ აქვს, ამიტომ იმ ადგილს მთაწმინდას უწოდებენ. ეს ადგილიც ადამიანთა სიწმინდის დაკლების გამო დაიკარგა. ანდრეზის თანახმად, იქ ადამიანს მისვლა დღესაც ეკრძალება. მთაწმინდა მდებარეობდა ყველაზე მაღალ მწვერვალზე, სადაც თოვლი სულ იყო, მკათათვეშიც, ხოლო მარიამობის თვეში კი კიდევ ახალი თოვლი ემატებოდა იქაურობას. ამ მთაზე ცხოვრობდნენ ბერები, რომელთაც იქ აუშენებიათ სამლოცველო. ეკლესიის ფიცრები და ხეები სისხლივით წითელი ყოფილა. ეკლესიას ჰქონდა ერთი ქვევრი, რომელიც ზედაშისთვის იყო განკუთვნილი (ანდრეზები 2009:227). ანდრეზი, ასევე მოგვითხრობს დაულეველ პურზე, რომელიც ბერებს ჰქონიათ.

საკრალური ადგილები, რომელზეც მოხმობილი ორი ანდრეზი მოგვითხრობს, წარმოდგენილია ტაძრის სახით. ვიცით, რომ მთა წმინდაა და არაა გასაკვირი, რომ

ვხვდებით კიდეც კონკრეტული ადგილის სახელწოდებად მთაწმინდას, მაგრამ რატომ არის ის ადგილი ასეთი განსაკუთრებული, სადაც ტაძარი/სალოცავია აშენებული?

მ. ელიადე საკრალური „ცენტრის“ სიმბოლურ მნიშვნელობას შემდეგნაირად განმარტავს. წერს, რომ ტაძარი არის კოსმოსის სახება და მისკენ მიმავალი მომლოცველი სამყაროს ცენტრს უახლოვდება. სულ ბოლო ტერასაზე ასვლისას ის სხვა დონეზე გადაინაცვლებს, იგი გადალახავს პროფანულ სივრცეს და შეაღწევს „სუფთა ადგილას“ (ელიადე 2017: 35). სწორედ ეს „სუფთა ადგილია“, საკრალური სივრცე, „სხვა“ სამყარო, სადაც ადამიანი გადის ჩვეულებრივი ყოფიდან და გადადის ზებუნებრივ სამყაროში.

ხშირად ადამიანები ცოდვას ნებსით თუ უნებლიეთ ჩადიან, რადგან მათ არ იციან, როგორ უნდა ამაღლდნენ საკუთარ მიწიერ განცდებზე და შესაბამისად ისჯებიან კიდეც. ეს სასჯელი კი ხშირად საყოველთაოა, რადგან, ცოდვის ჩამდენი ადამიანების გარდა, სხვებიც ისჯებიან, ანუ ცოდვა სხვებზეც გადადის. ზუსტად ასეთ სიტუაციაზე მოგვითხრობს ანდრეზი „მყინვარი, ბერები და ქალი“, სადაც საუბარია სამოთხისებურ ყოფაზე, იდეალურ გარემოზე, როცა ბერები მზის შუქზე ხურჯინს გადაჰკიდებდნენ და ხურჯინიც ღვთის შეწევნით ივსებოდა პურითა და მადლით. მათ სალოცავში აკვანიც ჰქონდათ, რომელზეც მტერედები ისხდნენ. მტრედი ხომ სულიწმინდის მადლის გამომხატველი სიმბოლოა, ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ მტერედებს ბერებისთვის პურის სამი მარცვალი მიჰქონდათ და ბერებიც ამ მარცვლებით საზრდოობდნენ. ბერებისთვის წყალი ერთ ქალს მიჰქონდა, მაგრამ ეს ქალი ერთხელ ავად გახდა ბერებისკენ მიმავალ გზაზე და ის მწყემსმა შეიფარა. იმ ღამით ქალმა და მწყემსმა შესცოდეს და შემდეგ დღეს კალათამ წყალი ვეღარ დაიჭირა, რადგან ამ წაბილწვით დაიკარგა სიწმინდე და უმანკოება. ბერებიც იძულლებულნი გახდნენ მიეტოვებინათ იქაურობა (ანდრეზები 2009: 341). ასე დაიკარგა კიდევ ერთი სამოთხისებური სივრცე.

თუ ადამიანები შებილწავენ წმინდა ადგილს, მაშინ ის დაკარგავს საკრალუ-რობას, ანალოგიურად იმ სამოთხისა, რომელიც ერთხელ უკვე დაკარგა ადამ და ევას შეცოდების გამო. თითქოსდა ყველაფერი იმ პირველ საწყისს იმეორებს და ადამიანები ვერ უფრთხილდებიან მათზე მინდობილ სიწმინდეს. ხედენიშის ანდრეზის თანახმად,

თურმე ხედენიშში ღვინით წვიმდა და თეთრი პურით თოვდა, მაგრამ ადამიანები არ გაუფრთხილდნენ ღვთისგან ბოძებულ საჩუქარს და ეს საჩუქარიც დაიკარგა, რადგან ერთმა დედაკაცმა, ხედენიშობას ეს ადგილები ბავშვს წააბილწვინა, რის გამოც ეს ყოფა დაიკარგა და ბევრი ცდის მიუხედავად ის უკან ვეღარ დააბრუნა ხალხმა (ანდრეზები 2009: 343).

მითოსის თანახმად, საკრალური სივრცისა და სამოთხისებური ყოფის დაკარგვა შესაძლებელია არა მხოლოდ სიწმინდის დაკლების გამო, არამედ აკრძალვის დარღვევის შედეგად. მაგალითად, აკრძალვის დარღვევის შედეგად დაიკარგა თამარის სამოთხე, რომელსაც მითოლოგია იცნობს, როგორც „მარადიული გაზაფხულის მითოსს“.

ტექსტის მიხედვით, თამარმა დაატყვევა ზამთარ-ზაფხულის გამჩენი შუქურ-ვარსკვლავი, ამიტომაც იალბუზის მთაზე თოვლი არ მოდიოდა, შეჩერებული იყო დრო-ჟამის მსვლელობა. თამარს იალბუზზე, სხვა ვარიანტით ბრუტ-საბრძელას მთაზე, სასახლე ჰქონდა აშენებული. სასახლეს თორმეტი ოთახი ჰქონდა. შუქურ ვარსკვლავი კი სასახლის ერთ-ერთ ოთახში ჰყავდა ჯაჭვებით დაბმული. თამარის სასახლის თორმეტივე ოთახი სულ გარეული ნადირის ძვლებითა და ძვირფასი ხალიჩებით იყო მორთული. სასახლეს გარშემო დიდი გალავანი ერტყა. გალავანში ერთი დიდი თორმეტოთახიანი კოშკი იყო, ერთიც სხვა სასახლე. გალავანს შუა მშვენიერი ბალახი იზრდებოდა, სადაც თამარ მეფეს გარეული თხა, კანჯარი და ირმის ჯოგი ჰყავდა გაშვებული. ერთხელ თამარ მეფე, სხვაგან წავიდა. სხვადასხვა ვარიანტის მიხედვით გამდელმა/ მოსამსახურე გოგომ იმ ოთახის კარი გააღო სადაც შუქურვარსკვლავი იყო დამწყვდეული, ან ცხენად ქცეული შუქურვარსკვლავი წყლის დასალევად წაიყვანა და შუქურვარსკვლავი გაიქცა. განთავისუფლებულმა შუქურვარსკვლავმა კი ასტეხა ქარი, თოვლ-ბუქი და იდეალური ყოფაც დაიკარგა (სიხარულიძე 1961: 254).

მართალია, ადამიანებმა ცოდვით დაცემის გამო დაკარგეს სამოთხე და სამოთხისებური ადგილები, მაგრამ, ზ. კიკნაძის აზრით, ეს ადგილები არ გამქრალან, მართალია, ფიზიკური თვალით შეუძლებელია მათი დანახვა, მაგრამ ეს ადგილები მაინც ცოცხლობენ მკადრეთა და რჩეულ პირთა ხილვებსა და იდუმალ გამოცდი-

ლებაში, რადგან მას საფარველი აქვს დადებული (კიკნაძე 2016:117). წმინდა ადგილების დაკარგვა-გაუჩინარება ადამიანთა ცოდვის გამო ბიბლიურ პარადიგმას წარმოადგენს, როცა ადამმა და ევამ, თავიანთი შეცოდების გამო დაკარგეს სამოთხე და ადამიანებიც ამას თავიანთი ქმედებებით გამუდმებით იმეორებენ.

2.2. საიდუმლო სამალავები

განსხვავებულ სივრცეს წარმოადგენს ყველა ის ადგილი, რომელსაც ღვთის განგებით საფარველი ადევს, რათა კაცის თვალმა ვერ ნახოს და ვერ წაბილწოს ის თავისი „ფეხის ნალით“. ასეთ ადგილებში ხშირად შენახულია თას-განძეულობა და მას თავისი მცველი ჰყავს, თუ ასეთი ადგილი ნახა კაცმა, ის აუცილებლად დაისჯება. თუმცა, ამ ქვეთავში არ შევეხებით თას-განძეულობას. ჩვენ გვაინტერესებს ისეთი ადგილები, რომლებიც ადრე ცხადი იყო და იქ ხალხი მიდიოდა, თუმცა შემდეგ საფარველი დაედო.

ხევსურული ანდრეზის მიხედვით, ერთ-ერთი ისეთი ადგილი არის ცროლის სანება, რომელსაც სიწმინდის დაკლების შემდეგ საფარველი დაედო, რათა იქაურობა და იქ არსებული სიწმინდეები: დარბასი, საქვაბეები, თას-განძეულობა ხალხს არ შეებილწა. საფარველის გამო არავინ იცოდა, სად იყო ეს ტაძარი და ამის გამო იქ ვერავინ მიდიოდა, ამასთანავე მოსულმა ზვავმა ჩაიტანა სანების კარის ფიცარი. იქ მოხვედრილი კაცი ვერ მიხვდებოდა, თუ სად იმყოფებოდა. ერთხელ ერთ გზააბნეულ მონადირეს - გუროელ კანანათ მანგიას - ნადიროისას შემოაღამდა, ისე შევიდა სამების დარბასში ისე რომ ვერც მიხვდა, მაშინ მას დაესიზმრა თეთრცხენიანი კაცი, რომელსაც ხელში მათრახი ეჭირა. თეთრწვერიანმა კაცმა მანგიას მათრახი წაჰკრა და უსაყვედურა იქ შესვლის გამო. სამაგიეროდ მანგიამ იმის გამო, რაც მან ნახა, ჯვარს საზღაური გადაუხადა ოთხრქა ვერძის შეწირვით. იქ ყოფნისას მონადირემ იხილა სკამებით, საცეცხლურით, საკიდლით გაწყობილი დარბაზი, რომელიც გამართული იყო სპილენძის ქვაბ-ტაბლებით. დარბაზს სხვა კარიც ჰქონდა, სადაც მანგია შესულა და იქ კიდევ უნახავს ქვაბ-საკიდელი, დიდი სალუდე ქვაბი, შეშები, ლათბა, ტომრის კედ-პირსაკრავები. იმ ღამით მანგიას არ შესცივნია, პირქით დარბაზის იატაკზე თბილად იწვა და ოფლიც

მოსდიოდა. იქიდან წამოსულმა კი შემდეგ ხევისბერთან ერთად ვეღარ მიაგნო იმ დარბაზს, რადგანაც მას ღვთისშვილებისგან ისევ საფარველი დაედო, რათა ადამიანებს ვეღარ ენახათ ის (ანდრეზები 2009: 80).

ასევე, ერთმა ხევსურმა კაცმა, ალიათ უშიშამ, შემთხვევით, როდესაც მიწას ხნავდა ნასოფლარ ადგილას, სახნისი გამოსდო რაღაცას, რომელმაც ჟღარუნი დაიწყო და უეცრად მის წინ გამოჩნდა ქვაბი ოქრო-ვერცხლით სავსე, რომელზეც წითელი ოქროს ხბო იწვა და თვალებს აბრიალებდა. ამის ნახვის შემდეგ ალიათ უშიშამ გონება დაკარგა. გონს მოსული სულ სხვა ადგილას იწვა. მან ამ ადგილის შესახებ არავის გაუმხილა თავისი შვილის გარდა, რომელმაც ასევე არავის უთხრა. ასე დარჩა საიდუმლოდ ეს წმინდა ადგილი (ანდრეზები 2009:150). რეალურად ალიათ უშიშას მიერ ნანახი ხბო არ არსებობს, ეს მოჩვენებაა, რომლითაც განძი თავს იცავს ადამინებისგან.

დედამიწაზე და სამოთხეში ერთნარად მოედინება მდინარეები და წყაროები, მაგრამ იმ მრავალ წყაროთა შორის, რომელიც ჩვენს სამყაროშია, შეიძლება იყოს გამორჩეული წყარო, რომელსაც უკვდავების წყალი შეიძლება ჩამოსდიოდეს, სწორედ ასეთ წყაროზე მოგვითხრობს გადმოცემა „უკვდავების წყარო“, რომელიც თურმე ფშავის სოფელ გომეწარში მდებარეობდა. ის თავისი ბუნებით სკრალური და წმინდა იყო, რადგან შვიდ წელიწადში ერთხელ გომეწარში, მაღაწლის მთის ძირას გაიდებოდა ოქროს ღარი, ზედ გადმოვიდოდა უკვდავების წყალი და რამდენიმე წამის შემდეგ კვლავ გაქრებოდა, მაგრამ საიდუმლო ყოველთვის დაფარული არ არის და ამ სანახაობითვის ერთ ქალს შეუსწრია თვალი, რომელსაც მოუნდომებია ამ წყლის დალევა და დალია კიდეც. ამის გამო ის დაისაჯა. სასჯელი კი ის იყო, რომ ღრმად მოხუცებულ ასაკშიც კი აღარ კვდებოდა. არავინ იცის სადაა ახლა ის წყარო, რადგან მას ღვთის საფარველი იცავს, რათა სხვამაც არ დალიოს (ანდრეზები 2009:216).

აზერბაიჯანული „ქოროღლის“ ეპოსში გვხვდება ჩვეულებრივი ყოფისგან განსხვავებული სივრცე, სადაც ალი ქიში გადის ინიციაციას. ის ადგილი სამოთხის ნიშნებითაა აღბეჭდილი და ედემის ბაღს მოგვაგონებს. ეპოსში ვკითხულობთ: როვშანმა დიდი წვალებით მიაღწია მიუვალი კლდის წვერს. მის თვალწინ კი გადაიშალა შემდეგი პეიჟაზი: კლდის თავზე ყვავილოვანი და ბალახოვანი-მდელოვანი წალკლოტია.

წალკოტის შუაში ერთი ბებერი ხე დგას, ხის ქვეშ კი ორი წყარო გამოდის, ყოშაბულაღი წეროს თვალივით კრიალებს, ცრემლივით მოლიკლიკებს და გარემოს რძის ტბად აქცევს. შუაღამეს კი, აღმოსავლეთით ერთი და დასავლეთითაც ერთი ვარსკვლავი ამოკამკამდა. დაიძრნენ ეს ვარსკვლავები ერთმანეთისკენ და ზედ შუა ცაზე შეიჯახნენ. ვარსკვლავების შეჯახებაზე ყოშაბულაღი ამოდუღდა და თეთრი ქაფი კაცის სიმაღლეზე ამოვიდა. ამ ქაფს შეეძლო ადამიანის განკურნება და ასევე, იმ ქაფში განბანილს ქაფი ძალ-ღონეს შეჰმატებს, ლექსისა და სიმღერის ნიჭს მიჰმადლებს, ამ ქაფში განბანილი ადამიანის კივილს ვერავინ გაუძლებს და მისი მომრევი ვერავინ იქნება ქვეყანაზე (ქოროღლი 2003:23-24). აზერბაიჯანული ეპოსის მიხედვით, ყოშაბულაღის მთაზე გადის ინიციაციას როვშანი, რის შემდეგაც ის ეპოსის მთავარ გმირად ქოროღლად გარდაისახება (მამისიმედიშვილი 2017: 130).

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საფარველი არის საშუალება, რითიც წმინდა ადგილი თავს იცავს უწმინდურებისგან, თუმცა არსებობენ გამორჩეული ადამიანები, რომლებიც ღირსნი ხდებიან ამ საიდუმლოს ნახვისა, რათა მათ თავიანთ შთამომავლობას გადასცენ ცოდნა ასეთი ადგილების არსებობის შესახებ.

2.3. **საკრალურის დაარსება**

არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ იმისა, რომ შეიძლება ჩვეულებრივი ადგილი, სადაც ადამიანები ცხოვრობენ იქცეს განსაკუთრებულ სივრცედ, სადაც თვითონ ღვთისშვილი მოინდომებს თავისი მიწიერი საბრძანისის დაარსებას. ჰიეროფანია საკრალური, ღვთაებრივი ნიშანია და ჯვარი რა ადგილას დაარსდება არ არის დამოკიდებული ადამიანის ნებაზე, სწორედ ამ დროს ხდება ადგილის კოსმიზირება. ასეთი ადგილები სამოთხისებურ ადგილებად უნდა მოვიაზროთ, რადგან, პირველ რიგში, ჯვარი უწმინდურ ადგილას არ დაარსდება, ამასთან, ვიცით, ჯვრისჩენის დროს იფანი ამოდის კერიაში და ოჯახს აუწყებს, რომ ეს ადგილი უკვე არა ჩვეულებრივი საცხოვრისია, არამედ წმინდა, ჯვრის ადგილსამყოფელად გადაქცეულა. ჯვარი კერიას

ირჩევს, რადგან კერია ყველაზე წმინდა ადგილია სახლში, რომლის ირგვლივაც იკრიბება ოჯახი.

ანდრეზი „იფანი კერიაში“ მოგვითხრობს, რომ შუაცეცხლში ამოსულა ხე, ეს უცნაური მოვლენა იყო. ერთი შეხედვით, ვერავინ ხვდება რომ ეს ადგილი ჯვარმა მიისაკუთრა, ამიტომაც ის ხე მოჭრეს, მაგრამ ხე მეორედაც ამოვიდა, მეორედაც მოჭრეს, უკვე მესამედ ამოსულს თან ვერცხლის შიბი ამოჰყვა, რომელიც ამ ხეზე იყო დახვეული. ამის ნახვის შემდეგ ოჯახმა ადგილი დაუთმო ჯვარს და ასე დაარსდა იქ ხახმატის წმინდა გიორგი (ანდრეზები 2009:27).

მსგავს ისტორიას მოგვითხრობს ანდრეზი „შუბნური ჯვრის დაარსება“. გადმოცემის მიხედვით, ჯვარმა დაარსება მოინდომა ნერგის ანგელოზის საარსოში, სადაც სამი ძმა ცხოვრობდა. მათ კერიაში იფანი ამოვიდა. პირველად მოჭრეს ეს იფანი, შემდეგ მეორედაც ამოვიდა და ისევ მოჭრეს, ხოლო მესამედ უკვე მას გველი ამოჰყოლია, ამის შემდეგ ძმებს სახლი დაუტოვებიათ, მაგრამ გზიდან მობრუნებულა მესამე ძმა და ცეცხლი წაუკიდია სახლისთვის, თუმცა იფანი არ დამწვარა. მესამე ძმა კი სასტიკად დაისაჯა (ანდრეზები 2009:62).

იფნის ამოსვლით დაარსდა როშკის მთავარანგელოზიც, რომელიც გაზაფხულზე ამოსულა კერიაში, ორჯერ მოჭრის შემდეგ, მესამედ ამოსულს გველი ამოჰყოლია, ამის შემდეგ ოჯახი აიყარა (ანდრეზები 2009:93).

„გიორგი წყაროსგორულის დაარსების“ ანდრეზი მოგვითხრობს, რომ იმ ადგილას, სადაც ჯვარი დაარსდა, პირველად მისვლისას ერთი სახლი მოსწონებია და მკითხავის პირით შეუთვლია პატრონებისთვის სახლი დაეთმოთ მისთვის, მაგრამ მეკომური არ დასთანხმდა. ამაზე გიორგი გაჯავრდა და იფანი ამოვიდა მათ კერიაში, ეს იფნის ხე, ორჯერ მოჭრეს. შემდეგ კერიაში საჭმელი დაუკიდიათ მოსამზადებლად, ამ დროს გველი ჩამოსულა საკიდლიდან, ჩაძვრა ქვაბში და შიგ მოიხარშა. ყველა დაიხოცა. გიორგი იქ დაარსდა და გიორგისვე დავალებით ეს ადგილი საქვაბედ და დარბასად გადააკეთეს. ჯვარს ადგილებიც თვითონ დაუჭერია, სადაც კარგი მამულები იყო (ანდრეზები 2009:115).

ოფანი კერიაში, მეტად გავრცელებული სიუჟეტია ქართულ ჯვარ-ხატთა დაარსების შესახებ. ოფნის ამოსვლა კერიაში, შეიძლება ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით გავიგოთ როგორც ოჯახის დასჯის ერთ-ერთი საშუალება.

საკრალური ადგილების აღმოჩენაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ ცხოველებს. ქართული მითოლოგია არაერთ გადმოცემას იცნობს, რომლის მიხედვითაც არერთი სალოცავი თუ კვრივი ადგილის აღმოჩენა ცხოველს უკავშირდება. მაგალითად, ღალანგურის დაარსება მიეწერება ხარს. ერთხელ მწყემსებმა ნახეს შიბზე ჩამოსული ხატი, როგორც კაცის სურათი ისე იდგა, ხელში ხმალი ჰქონდა. ამის ნახვის შემდეგ მწყემსებმა იმ ადგილას სოფლის ხალხი მიიყვანეს და ნახეს, რომ იმ ადგილას ხარი იყო, ხატი კი ამ ხარს რქების შუაში ეჯდა. როდესაც ხარი მივიდა ხატისთვის განკუთვნილ ადგილას, ხატი ხარის რქებიდან აფრინდა და ნაშალ მიწაში დაიმალა. შიბიც გაფრინდა და დაიკარგა. ამის შემდეგ ეს ადგილი გახდა წმინდა. ხატის სამყოფელი და ხალხმაც დაიწყო იქ მსახურება (ანდრეზები 2009:54).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არაერთი ოსური მითოლოგიური ტექსტი მოგვითხრობს ძუარების დაარსებაზე, რომლის აღმოჩენაშიც მონაწილეობდა ხარი. ასე დაარსდა მაგალითად რექომი ძუარი. ერთხელ ვასთირჯმა გადაწყვიტა სამლოცველოს აგება ისეთი ხისგან, რომელიც არასდრს დალპებოდა. ასეთი ხის მოსატანად მან თავისი ხარები გაუშვა (მამისიმედიშვილი 2015: 88).

ცხოველის სახელს უკავშირდება გერგეტის სამების დაარსება, როცა სამმა მეფემ: ქართლის, კახეთისა და იმერეთს ვერ გადაწყვიტეს, სად აეშენებინათ სამების ტაძარი, მაშინ მცხეთაში ერთმა ბერიკაცმა ურჩია, დაეკლათ ხარი და მისი ბეჭი სოფლის ბოლოს დაეგდოთ. მოფრინდებოდა ყორანი და წაიღებდა ამ ბეჭს, სადაც ყორანი ხარის ბეჭს გამოხრავდა იქ უნდა აეშენებინათ სწორედ ტაძარი (ანდრეზები 2009: 342).

მტრედის სახელთანაა დაკავშრებეული „ახალჯვრის დაარსება დანოში“. დანოელებს არ ჰქონდათ ჯვარი, ამიტომაც მათ დაიჭირეს მტრედი და თქვეს, გაშვბისას, სადაც ის დაჯდებოდა იქ დაეარსებინათ ჯვარი (ანდრეზები 2009: 313). ასევე, მტრედის სახელს უკავშირდება „დიდგორის ჯვრის დაარსება“. ანდრეზის თანახმად, მტრედი აჰყვა ერთ კაცს, როცა ის საძელის უღელტეხილზე მივიდა, მტრედმა სამჯერ შემოჰკრა

ფრთები ერთმანეთს და ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლის ალი წავიდა გორაზე, როშკის სამხრეთით, თავბერაულის სიმაგრეში და იქ მისვლისთანავე ცეცხლის ალი ჩაქრა, ამის შემდეგ იქ დაარსდა დიდგორის ჯვარი (ანდრეზები2009:93). ანდრეზი „გუდანის ჯვრის დაარსება შატილის მხარეს“ მოგვითხრობს, რომ ისიც მტრედის სახით მიფრინდა კისტინის მთაში (ანდრეზები 2009:99).

საკრალურ, ღვთაებრივ ადგილად უნდა გავიაზროთ ყველა კვრივი ადგილი, სადაც არ შეიძლება ადამიანის ფეხის დადგმა, რადგან ის წმინდაა. ასეთი ადგილების რომლის აღმოჩენაშიც ცხოველები მონაწილეობენ. მაგალითად, ანდრეზი „ფუძის ანგელოზის დაარსება“ მოგვითხრობს, რომ ერთ კაცს თურმე ძროხა დაუკარგავს, დიდი ძებნის შედეგად მიაგნო ერთ ადგილას, სადაც ძროხას ხბო მოეგო. ხბოს პატრონმა სცადა ხბო აეყვანა ხელში, მაგრამ ადგიიდან ვერ დაძრა, მაშინ წავიდა და სოფლელებს უამბო ეს ამბავი, მაშინ ხალხიც წავიდა იმ ადგილას და როცა ვერც მათ დასძრეს ხბო ადგილიდან, მაშინ მოიფიქრეს ფუძს ანგელოზს შევედრებოდნენ. ასეც მოიქცნენ. ამის შემდეგ ხბო თავისუფლად გამოიყვანეს, მაშინ მიხვდნენ რომ ეს ადგილი ფუძის ანგელოზს ეკუთვნოდა და დაიწყო ხალხმა იქ ლოცვა (ანდრეზები 2009: 27). მსგავს ისტორიას მოგვითხრობს ანდრეზი „ პირიმზე - ფუძის ანგელოზი” , ის ადგილი სადაც ფუძის ანგელოზმა ბინა დაიდო ადრე თურმე დევებს ეჭირათ, მაგრამ ხალხმა არ იცოდა თუ ის მინდორი ფუძის ანგელოზმა დაიკავა. ამ მინდორზე ძროხას ხბო მოეგო, მაგრამ ეს ხბო სახლში ვერ მიჰყავდათ. ძროხა მივიდოდა მინდორზე და იქ აწოვებდა ხოლმე რძეს თავის ხბოს. შემდეგ ერთმა მოხუცებულმა კაცმა ხალხს უთხრა, რომ ეს ხბო ფუძის ანგელოზისთვის დაეყენებინათ. ასეც მოქიცნენ და ამის შემდეგ ხბო წამოიყვანეს. იმ ადგილს კი უწოდეს ფუძის ანგელოზი და გაჩნდა იქ პირიმზე-ფუძის ანგელოზის სალოცავი (ანდრეზები 2009: 284).

როგორც ვიცით, კვრივ ადგილზე გავლა აკრძალულია, მაგრამ ღამე სიარულისას შეიძლება ადამიანმა იქ თავისდაუნებურად გაიარო, ეს რომ არ მოხდეს მას თვითონ ხატი მიანიშნებს რომ იმ წმინდა ადგილას იმყოფება, ამაზე მოგვითხრობს ანდრეზები „ხატის მგზავრობა“ და „ხატის გადავლა“. ერთი ანდრეზი მოგვითხრობს, რომ ხატი კვრივის ადგილას რომ მივიდა მაშინ იქ ორ ნაიწლად გაიყო: „ცეცხლმავ კვრივისას სწორად

გადაირავ. იმ ხვთიშვილმავ კვრივსავ ბოლო მაუარავ, ზედ არ გადაირავ. როგორც მათრახსა გაჰკეცავ, ეგეთა ბაია წამოვიდავ და ისევ ცეცხლს შაუერთდავ“ (ანდრეზები 2009: 29). მეორე ანდრეზი კი მოგვიხრობს, რომ მაღალი მთიდან, სადაც სალოცავი იყო, იქიდან შუქი წამოვიდა, დაჰკრა ხატის ტერიტორიას და სწრაფადვე უკან გაბრუნდა. შუქი იყო თოვლივით თეთრი და კაშკაშა, რომელიც ცისარტყელასავით გაკრთა თეთრი და წითელი ერთმანეთში ქამრებივით და გაჭრა (ანდრეზები 2009:32).

მართალია, კვრივ ადგილზე გავლა და შესვლა არ შეიძლება, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობს, როდესაც თვითონ ხატი რთავს ნებას ადამიანს იქ გაიაროს. სწორედ ამაზე მოგვითხრობს ანდრეზი „საჯანგეს თავშეფარებული ქისტები“, გადმოცემის თანახმად, ხევსურებს თავს დაესხნენ ქისტები, მაგრამ ხევსურები მტერს გამოუდგნენ და ქისტებმა თავი შეაფარეს საჯანგეს ტყეში, სადაც სანების ჯვრის ნიში იყო და იქ ხევსურები არ შედიოდნენ. ქისტებიც გადარჩნენ (ანდრეზები 2009: 77).

როცა ადამიანი შეეფარება კვრივ ადგილს, ის იქ თავს დაცულად გრძნობს, რადგანაც მას იქ ვერაფერი შეეხება და ის მთლიანად მინდობილია ხატს. ქისტები სწორედ ამიტომაც შევიდნენ სხვა სივრცეში. ამგვარ მოტივს იცნობს ოსური ფოლკლორიც. გადმოცემა „ხეთაგის ტყის სასწაული“ მოგვითხრობს სწორედ მსგავს ამბავს, როდესაც ჯვარი საფარველს ადებს გაჭირვებულ ადამიანს და იცავს მას სიკვდილისაგან. ტექსტის თანახმად გაქრისტიანებულ ხეთაგს, უფროსი ძმები მოსაკლავად მისდევდნენ და მან ვასთირჯის დახმარებით თავი ტყეს შეაფარა, სადაც წმინდანმა საფარველი დაადო ხეთაგს და ძმებმა ის ვეღარ მოკლეს (მამისიმედიშვილი 2015:93).

ქვეთავის დასასრულს შეიძლება დასკვნის სახით ვთქვათ, რომ წმინდა ადგილები, რომელთა ნახვა ადამიანებს თავისუფლად შეეძლოთ, ისინი ისევ და ისევ იმ მიზეზით დაიკარგა, საფარველი დაედო, რომ ადამიანებს თავიანთი ცოდვით არ წაეხდინათ და წმინდა ადგილი არ გაეუწმინდურებინათ. ანდრეზები მოგვითხრობენ ასევე, როგორ შეიძლება გარდაიქმნას ჩვეულებრივი საცხოვრებელი სივრცე საკრალურ სივრცედ.

2.4. საკრალური ადგილები, რომლის აღმოჩენაშიც რჩეული ადამიანები მონაწილეობენ

როგორც ირკვევა, სამოთხისებური ადგილების აღმოჩენაში ან კონკრეტული ადგილის სამოთხისებურად გარდაქმნაში მონაწილეობენ წმინდა მამები. მითოლოგიური გადმოცემები მოგვითხრობენ ჯვრის რჩეულ მკადრეებზე, რომლებმაც აღმოაჩინეს საკრალური ადგილები.

პირველი ასეთი ადგილი არის კოპალას სალოცავის დაარსება ლიქოკში, კარატისწვერზე, რომელიც აღმოაჩინა ორმა მწყემსა, ქალმა და ვაჟმა. ისინი ერთმანეთს მხოლოდ ზაფხულობით ხვდებოდნენ ხოლმე და მათ ერთმანეთთან და-ძმური სიყვარული აკავშირებდათ. ერთხელაც, როცა ისინი სამწყემსურში იყვნენ კარატისწვერზე, მათ მოესმათ წივილი და დაინახეს, რომ ზეციდან ჩამოვიდა ერთი თასი და ვერცხლის ჯაჭვი. თავიდან ბავშვები შეშინდნენ, მაგრამ შემდეგ მაინც გაბედეს მისვლა. თასი და ჯაჭვი კი განაგრძობდნენ წივილსა და ჟღარუნს. ქალმა და ვაჟმა ეს ნივთები გაანაწილეს. ქალს შეხვდა შიბი, ამიტომაც ის ქალურის საწყისია, ხოლო ვაჟს- თასი, მამაკაცური საწყისი. სახლში არავის გაუმხილეს მომხდარის შესახებ, მაგრამ განძმა მაინც არ დამალა თავი და დაიწყო წივილი. ქალს შიბი დამალული ჰქონდა პურიან კიდობანში, ვაჟს თასი კი- ჭერხოს კარების უკან. ნივთები წივილს არ წყვეტდნენ, ქალ-ვაჟი იძულებულნი გახდნენ მშობლებისთვის ეთქვათ მომხდარი ამბავი. მკითხავმა კი უთხრა, შიბი ორად გაეჭრათ და სადაც ჩამოვარდა იქ დაეფლათ მიწაში და ზედ კოშკი აეშენებინათ, ასევე თასიც უნდა დაემარხათ და მასზეც პატარა კოშკი აეგოთ. ასე დაარსდა სალოცავი, მაგრამ მოჭრილი შიბის ნაწილი, ქალმა წაიღო ბულალაურთას. მკითხავები და ხუცესები კი ხედავენ, რომ ყოველ მეშვიდე წელს კარატისჯვარის კოშკიდან ამოვა გველი და ბულალაურთაში ადგილის დედის კოშკში ჩადის. ამას ყველა ვერ ხედავს. ამას მხოლოდ გამორჩეული ადამიანები ხედავენ (ანდრეზები 2009:58). აქვე უნდა გავალოთ პარალელი ჩრდილოეთ ოსეთში ქურთათის ხეობაში- ძივღისის ძუარის დაარსებასთან. ტექსტის მიხედვით, ქურთათის ხეობაში, შუა ზაფხულში, თოვლი მოსულა, მხოლოდ ერთ ადგილას არ მიიკარა მიწამ თოვლი. იმ ადგილას ბალახი

მწვანედ ბიბინებდა. ბალახზე იყო ორი ჯაჭვს-საკიდელი, რომლებსაც ორთქლი ასდიოდათ. ხალხმა კი ამ ადგილას, ამის ნახვის შემდეგ, სალოცავი ააშენეს (მამისიმედიშვილი 2015: 84).

გამორჩეულ ადამიანებს ასევე სიზმარში ეჩვენებათ გამორჩეული ადგილები. არაა აუცილებელი სამოთხისებური ყოფისთვის მხოლოდ ადგილის ჩვენება, სამოთხისებურ ყოფაზე მიგვითითებს წმინდანთა კრებულის ხილვა, რადგან საიქიოში ყველა წმინდანი ერთადაა შეკრებილი. ერთხელ ერთმა ხევსურმა სიზმარში ნახა, ვიცით რომ, ქართულ რწმენა-წარმოდგენებში ადამინებს საიქიოს მოხილვა შეუძლიათ სიზმარში, ქმოდის გორზე შეკრებილი უცხო ხალხი, სულ შვიდი კაცი და ისინი ხვთისშვილები აღმოჩნდნენ (ანდრეზები 2009:205).

მფარველი წმინდანის „ყუდრო კარზე“ შესვლა მხოლოდ ჯვრის რჩეულს შეუძლია. ანდრეზი „საღვთო ეკლესია“ მოგვითხრობს, რომ მხოლოდ ერთ დეკანოზს შეუძლია მისვლა და სხვა არავის. ეს ეკლესია კლდეშია და იქ ვერავინ მივა, დეკანოზის გარდა, რადგან ხატმა ასე ინება (ანდრეზები 2009: 252). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატთა მიწიერ საბრძანისში შესვლა უმეტესად მხოლოდ ჯვრის რჩეულებს შეუძლიათ საგანგებო განწმენდის შემდეგ.

ბეთლები არის ქრისტიანებისთვის ერთ-ერთი ყველაზე წმინდა ადგილი, რომელიც უკავშირდება ქრისტეს დაბადებასა და წმინდა დავით წინასწარმეტყველს, ამიტომაც საინტერესოა, რომ საქართველოში ბეთლემის სახელწოდებით გვხვდება უბანი თბილისში, სოფელი სენაკის რაიონში და გამოქვაბული ყაზბეგის რაიონში.

მყინვარწვერის ბეთლემზე უძველესი ჩანაწერი ვახუშტი ბაგრატიონს ეკუთვნის, რომელიც წერს: „მყინვარის კლდესა შინა არიან ქუაბნი გამოკუეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქუაბიდან, და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკუანსა მუნ და აბრაჰამის კარავსა, მდგომსა უსუეტოდ, უსაბლოდ, და სხუათაცა საკვირველთა. არამედ მე ვდუმებ“ (ქართლის ცხოვრება 1973: 357). ვახუშტი ბაგრატიონი დუმს, რადგან არ შეიძლებოდა ბეთლემის საკრალური სივრცის საიდუმლოს გათქმა.

ხალხური გადმოცემები კი მოგვითხრობენ ბეთლემის გამოქვაბულის ოქროს აკვანზე, ოქროს მტრედებზე, უსვეტოდ მდგარ აბრაამის კარავზე (ანდრეზები 2009: 339). სწორედ ეს ბეთლემი მოინახულა მღვდელმა იოსებ მოხევემ, რომლის სათნოების და სიწმინდის ამბავიც განთქმული იყო მთელს ქვეყანაში, მან ღვთის ნებით მოინახულა კაცთაგან შეუვალი ადგილი და ნახა კარავი და აკვანი აბრაამის. მან მეფე ერეკლეს იქიდან წამოუღო ნაჭერი აბრაამის კარავის (ანდრეზი 2009: 339).

ბეთლემი გარდა იოსებ მოხევისა მოიხილა, ასევე გერგეტის უდაბნოში განთქმულმა მონადირემ და ღვთისმოყვარე ბერმა, მამუკამ. მას ძილში გამოეცხადა მზესავით ელვარე ჭაბუკი და უთხრა, რომ ის ბეთლების წმინდა გიორგი იყო და ის თავისი ღვთისმოსაობის გამო ღირსი გახადა, რომ მოეხილა მისი საცხოვრისი მყინვარზე. მამუკა, სანამ მყინვარისკენ გზას გაუდგებოდა, მანამდე ლოცულობდა, მარხულობდა და ყოველდღე რძეში იბანებოდა. როცა უკვე მყინვარისკენ გზას გაუდგა, თან წაიყოლა თავისი ძმისწული, ორი დღე იარეს. მესამე დღეს მიადგნენ დიდ უფსკრულს. მაშინ მამუკამ სცადა თოკით ჩასვლა, მაგრამ რომ ჩავიდა ძმისშვლს ხელიდან გაუვარდა თოკი და თვითონ ვეღარ შესძლო ჩასვლა. მამუკამ უთხრა, რომ ორი დღე მოეცადა მისთვის. მესამე დღეს უკან დაბრუნებულმა კი ასეთ რამეს მოჰყვა, რომ საყდარი ერთ უშველებელ, თივის ბულულასავით მომრგვალებულ, სულ მთლიანად ლუსკუმ ყინულის მთაზე იდგა. მთისძირიდან წვერამდე შიგ ყინულში გამოკვეთილი კიბე აუყვება. კიბე რომ ავიარე დავინახე მთის წვერი, რომელიც საგანგებოდ გადაჭრილს ჰგავდა. კალოსავით მრგვალი და ხელისგულივით მოსწორებული ვაკე ისე ლაპლაპებდა მზეზე, რომ გაყინული ტბა გეგონებოდა. იქიდან ჩანდა მთელი ცისკიდური, ზღვა და ხმელეთი. ყინულის სარკეში ჩახედვისას კი მამუკამ დაინახა ქვესკნელი. საყდარში ეკლესიის გუმბათი ვარსკვლავებისაა, იატაკი სულ თვალ-მარგალიტით არის მოჭედილი. შუაგულ იატაკზე ოქროს აკვანი დგას, ისიც პატიოსანი ქვებით მოოჭვილი, ზედ მტრედი აზის და არწევს. ხოლო საკურთხეველში ნანახი არ გასცა მამუკამ, მაგრამ ბოლოს გულმა ვერ მოუთმინა და უამბო ძმისწულს იქ ნანახიც, მაგრამ აკრძალვა რადგან დაარღვია, იგი დაისაჯა და დადუმდა (ანდრეზები 2009: 340).

ბეთლემი რომ გამორჩეული ადგილია, ამაზე მიანიშნებს სწორედ ისიც, რომ მან შეაღწია მწერლობაშიც. კერძოდ, ილია ჭავჭავაძის „განდეგილში“, რომელიც ბეთლემის შესახებ წერს:

„იმ ტაძრის მადლი მთიულთა შორის ყველგან განთქმულა

და ის ადგილი, ის არემარე ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა,

რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს, მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა“

(ჭავჭავაძე 2007: 217).

ასეთი ადგილები, როგორიც ბეთლემია, უმეტესად დაფარულია. ადამიანებმა ეს სიწმინდე თავიანთი ცოდვების გამო დაკარგეს. მათ დაკარგეს უფლება, რომ მისი ნაწილი გამხდარიყვნენ. რჩეულები ღირსნი ხდებიან ამ ადგილების მონახულებისა, რათა შემდომ მათ თავიანთ შთამომავლობას დაუტოვონ ცოდნა ასეთი ადგილების შესახებ.

III **თავი**

დემონურ არსებათა სამოქმედო სივრცე

ხალხის წარმოდგენით, სამოთხე და ჯოჯოხეთი ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. თუ არსებობს საკრალური სივრცე, მაშინ არსებობს მისი საპირისპირო - ჯოჯოხეთური სივრცე. ხალხურ ტექსტებში ჯოჯოხეთი არის ეშმაკების, ცოდვილ და დაწყევლილ არსებათა საცხოვრისი, მათი საარსებო სივრცე. ამიტომაც ჯოჯოხეთის განსახიერებად დედამიწაზე უნდა მივიჩნიოთ ის ადგილები, სადაც დემონური არსებები იკრიბებიან. რა ადგილი უკავია ადამიანთა სამოქმედო სივრცეში ტყეს, მინდორს, წისქვილს, მთას, ხიდს. დემონურ არსებათა შეკრების ადგილი ხომ არ არის წარმოსახვითი? რას გამოხატავს ხალხურ გადმოცემებში ქაჯ-ეშმაკთა შეკრება, როდის იკრიბებიან ისინი და მოეძებნებათ თუ არა მათ პარალელები არა მხოლოდ მეზობელ ხალხთა ფოლკლორში, არამედ უფრო დაშორებულ ხალხებთანაც.

3.1. ქაჯავეთი

პირველი ადგილი, რომელიც უნდა მივიჩნიოთ საკრალური სივრცის საპირისპიროდ, არის ქაჯებით დასახლებული ადგილი, ქაჯავეთი. წარმოდგენა რომ შეგვექმნას, როგორი არსებები არიან ქაჯები უნდა ვნახოთ, როგორი განსაზღვრება აქვთ მათ მითოლოგიურ ლექსიკონში.

მითოლოგიური ლექსიკონის თანახმად, ქაჯი ეს არის ავი სული, მავნე, რომელიც მსოფლიო ხალხებში ასოცირდება ყოველგვარ ბოროტულ საწყისთან, რომელიც ღმერთს უპირისპირდება. ქართულ ენაში იგი სინონიმია ეშმაკის. პირველი ადამიანი, რომელიც გაეშმაკდა იყო ლილითი, ადამის პირველი ცოლი უძველესი გადმოცემებისა და ბიბლიური პირველწყაროების მიხედვით, ლილითი ადამთან განშორების შემდეგ ცოლად გაჰყვა უზენაესს ეშმაკს და იქცა ბოროტ დემონად, ქაჯად. ცრუ რწმენებისა და სხვადასხვა რელიგიების მიხედვით ქაჯი ემორჩილება „ქაჯთა მთავარს“ და მას მარტო მოქმედება არ შეუძლია, ხოლო ქაჯავეთი ეს არის ქაჯთა ციხე-ქალაქი (გელოვანი 1983: 513).

ქაჯავეთი, როგორც ეშმაკის, დემონის სამყოფელი ადგილი, სივრცულ განზომილებაში ჯოჯოხეთის გამოვლინებას წარმოადგენს. ქაჯავეთი, ხალხური ტექსტების მიხედვით, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანის“ ქაჯეთი, მიღმა სამყაროში მდებარეობს. იქ სამოგზაუროდ აუცილებელია რაიმე მიზეზი არსებობდეს, რადგანაც ეპოსებიდან ჩვენ ვიცით, რომ მიღმა სამყაროს გმირები კონკრეტული მიზეზით სტუმრობენ. მაგალითად, საიქიოს, როგორც მიღმა სამყაროს გამხატულებას, გილგამეში სტუმრობს, რათა გაიგოს როგორაა ის მოწყობილი. ნართი გმირი სოსლანი საიქიოში მიდის, რადგან იქიდან წამოიღოს აზა მცენარის ფოთლები, რომელიც საცოლეს მოაპოვებინებს და ა.შ.

ყოველგვარ უწმინდურობას და ბოროტებას უპირისპირდება მხოლოდ წმინდა ადამიანი, ამიტომაც ქაჯავეთს ლაშქრავენ კიდეც ღვთისშვილები, თუმცა მათ თან ახლავთ ხორციელი ადამიანი, გამორჩეული პიროვნება, ჯვრის მკადრე - გახუა მეგრელაური. საინტერესოა, როგორ ხდებოდა ცოცხალი ადამიანის ქაჯებთან წაყვანა,

რადგანაც ქაჯები ადამიანთა წარმოდგენით უსხეულო არსებები არიან. სწორედ ამიტომაც ღვთისშვილები ადამიანს სულს ამოაცლიდნენ, სხეულს ქვიშაში/მიწაში დამარხავდნენ და ისე მიჰყავდათ ის ქაჯავეთში (ანდრეზები 2009: 38). კაცი, რომელიც ღვთისშვილებმა ქაჯავეთში წაიყვანეს იყო გახუა მეგრელაური, რომელმაც შემდეგ ქაჯავეთში ლაშქრობა აღწერა. მისი მონათხრობით, ქაჯავეთში მისვლისას ისინი თურმე ტყეში დამალულან და დაღამებას დალოდებიან. აქედან ვიგებთ, რომ ქაჯების სამყოფელიც ჩვენი ქვეყნის წყობაზეა მოწყობილი და რომ იქაც არის ტყეები და რომ იქ დრო-ჟამის ცვლილება ხდება.

ქაჯების იარაღი ღვთისშილთა წინააღმდეგ არის უწმინდური ცხოველი, კატა. ამიტომაც იქ მისულ ღვთისშვილებს ესვრიან კატის თავ-ფეხს. თუ ის მოხვდება ღვთიშვილს, მაშინ ის აუცილებლად დაზიანდება. ანდრეზის თანახმად, ღვთისშილს მოხვდა კატის თავ-ფეხი და მან ღვთისშვილს წააცალა ფეხი (ანდრეზები2009:41). ჩვენ ვნახეთ წინა თავში, რომ საკრალური სივრცისა და სიწმინდის დაკარგვა სწორედ კატის სისხლის მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

ქაჯავეთში ღვთისშვილები სხვადასხვა სახით შედიან. თუ სამოთხეში მტრედის სახით შედიან, ერთი გადმოცემის თანახმად, ქაჯებში მოხვედრა შეიძლება ბუზის სახით. სწორედ ბუზს სახით შეფრინდა ხახმატის ჯვარი ქაჯავეთში (ანდრეზები 2009:46). მეორე გადმოცემის თანახმად, ხახმატის ჯვარს ქაჯავეთის აღება გასჭირვებია, ამიტომაც ხან ირმის სახით წასულა, ხან ღრუბლის სახით, მაგრამ რამდენჯერაც მისულა არ შეუშვიათ, სულ ისარი დაუშენიათ. ბოლოს ცხენის ორმოში ჩამძვრალა და ისე შეჰპარვია ქაჯებს ციხეში (ანდრეზები 2009: 47). აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ რადგან ქაჯავეთი მიღმა სამყაროა, როგორც საიქიოში იქაც ადამიანი თავისი პირვანდელი სახით ვერ შევა, საჭიროა მან განიცადოს მეტამორფოზა.

ქაჯავეთში ღვთიშვილთა ლაშქრობის სხვადასხვა გადმოცემები არსებობს, ამ გადმოცემებიდან ვიგებთ ჩვენ როგორ არის ქაჯთა სამეფო მოწყობილი და როგორ შეიძლება მათი განადგურება. მაგალითად ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, წმინდა გიორგი მარტო წასულა ქაჯებში, მხოლოდ ერთი ხორციელი კაცი გაუყოლებია თან, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისი სული წაიყვანა. გიორგი მისულა ქაჯავეთში სამჭედლოში,

სადაც მჭედლის სინა მოეწონა. აიღო გიორგიმ ის და დაუწყო გრდემლის დარტყმა. სინა თუ გატყდებოდა, მაშინ მთელი ქაჯეთი ამოწყდებოდა(ანდრეზები 2009: 48). ამ ანდრეზიდან ვიგებთ, რომ ისევე როგორც ადამიანთა საცხოვრისს აქვს თავისი რელიგიური ცენტრი სალოცავის სახით, ქაჯავეთში ქაჯაველებსაც აქვთ თავიანთი ცენტრი სამჭედლოს სახით.

მაშასადამე, ქაჯავეთის განადგურება მხოლოდ წმინდანებს შეუძლიათ და თუ იქ ადამიანი მივა, მხოლოდ მის სულს შეუძლია შესვლა. ხორციელად იქ შესვლა შეუძლებელია. ერთი თუშური გადმოცემის თანახმად, ქაჯეთში მოხვედრა შეიძლება ქაჯის ქალის დახმარებით. ანდრეზი „თუში ქაჯეთში“, მოგვითხრობს რომ ერთ თუშ კაცს გზაზე შეხვდა ძალიან ლამაზი ქალი, რომელიც ერთი შეხედვით მოეწონა. ქალი გვერდით ჩავლისას მას დაეჯახა და შემდეგ თუშს აღარაფერი ახსოვდა, რომ გამოიღვიძა უკვე ქაჯეთში იყო. მას ეგონა იქ რამდენიმე დღე დარჩა, თუმცა აღმოჩნდა რომ მისი დაკარგვიდან სამი წელი გასულიყო (ანდრეზები 2009: 91).

მაშასადამე, ქაჯავეთში, როგორც „სხვა“ სამყაროში დრო-ჟამის ცვლილება ხდება ნელა. იქ ერთი დღე ერთ წელს უდრის, მსგავსად ქართული ზღაპრისა „უკვდავების მაძიებელი ჭაბუკისა“. ფშაველების წარმოდგენით, ქაჯავეთი არის ის ადგილი, სადაც ავსულები ცხოვრობენ, ამასთან ეს ავსულები არიან ბრძენნი, მაგრამ ბოროტნი. მათი ქყვეყანა მდებარეობს უდაბურ, კლდოვან ადგილას, უსიერ ტყეში. იქ ყველა ვერ მოხვდება. ქაჯავეთში მისვლა შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც აქვს ძალა, სიბრძნე და საჭირო გამოცდილება, ამიტომაც იქ მხოლოდ ღვთისშვილები მიდიან, მაგრამ ადამიანსაც შეეძლო ქაჯავეთში ჩასვლა და ეს ადამიანი იყო თორღვა (ანდრეზები 2009: 220).

კლდოვანი/ მიუვალი ადგილი ადამიანისათვის არის გარე სამყარო, სადაც ადამიანის წარმოდგენით ბოროტი ძალები ცხოვრობენ და ისინი საფრთხეს უქმნიან ადამინებს, მაშინ როცა „შინა“ წარმოადგენს მოწესრიგებულ სამყაროს (მამისიმედიშვილი 2017: 32). ამიტომაცაა რომ ხალხს, ქაჯების, კუდიანების, დემონების საცხოვრებელ ადგილად წარმოუდგენიათ მიუვალი და საშიში ადგილები.

ანდრეზების თანახმად, ქაჯავეთელ ქალებს ქსოვა ისე შეეძლოთ, რომ მათი წაღმა-უკუღმა ნაქსოვი არ ჩანდა. ობობას ქსელივით ქსოვდნენ, უჩინარს, ამიტომაც ვინც მათ ნაქსოვს მოისხამდა უჩნარი გახდებოდა. მას არც ტყვია მიეკარებოდა, არც ისარი. ასეთი ნაქსოვი მოსასხამი მზეზე ლივლივებდა როგორც გველის პერანგი. ასეთი მოსასხამს ქაჯები მხოლოდ ნაწილიან ადამიანებს აძლევდნენ (ანდრეზები 2009: 221).

როგორ არის ქაჯების ქვეყანა მოწყობილი? ეშმაკები უკუღმა ლაპარაკობენ და ყველაფერს უკუღმა აკეთებენ. მაგალითად, ერთმა რომ თქვას სახლი დაანგრიეო, მეორე მის შენებას დაიწყებს. მათი ადგილსამყოფელი კლდეებში, გამოქვაბულებშია. ისინი, ასევე ცხოვრობენ ძველ ნასახლარებში, მიტოვებულ სოფლებში. მათი ქალები ადამიანს ლამაზი გარეგნობით ეჩვენებიან, მაგრამ მათ კოჭი მოქცეული აქვთ. ღამე მათ ტერიტორიაზე გავლილ კაცს აეკიდებიან და თავის სახელს მისძახიან, ამიტომაც ისინი ადამიანებს აგიჟებენ. ქაჯები ღამ-ღამობით იკრიბებიან მინდორში ან ტყის შუაგულში და ცეცხლი აქვთ გაჩაღებული (ანდრეზები2009: 221).

თ. ოჩიაურს წიგნში „მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, აქვს თავი „თქმულება ქაჯავეთის დალაშქვრაზე“, საიდანაც ვიგებთ, რომ ქაჯებს ქაჯავეთში ჰქონდათ საფეხვნო და რომ ისინი ცნობილი იყვნენ მჭედლობით და რომ ქაჯავეთში ბევრი სამჭედლო იყო. ჭედვა რომ უშუალოდ მათი საქმიანობა იყო ამის დასადასტურებლად მას მოჰყავს ციტატები ლექსიდან:

„ჯაჭვმა თქვა სამანქანურმა

ქაჯებმ ამასხეს თითია“

(ოჩიაური 1967: 83).

მაშასადამე, განხილული მასალიდან, ვიგებთ თუ როგორაა მოწყობილი ეშმაკთა საცხოვრისი და როგორ შეიძლება დავამარცხოთ და გავანადგუროთ ასეთი ადგილი. ეს შესაძლებელია ისევ და ისევ ღვთის მეშვეობით. ამიტომაც იქ მიდიან ღვთისშვილები, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ღვთისშილები ყველაფერს არ ანადგურებენ ქაჯეთის ქვეყანაში და იქიდან მოჰყავთ ქაჯის ქალები, საქონელი და ნივთები, რომლებიც საფუძვლად დაედო მათ საკრალურ ყოფას: თასი, ზარი და სხვ.

ჩვენ როცა ქაჯებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ მოვიხმოთ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რადგანაც იქ ერთ-ერთი მთავარი სამოქმედო ადგილი არის ქაჯების ქვეყანა და ქაჯეთის ციხე, სადაც ნესტან-დარეჯანი ჰყავთ დატყვევებული. მნიშვ-ნელოვანია ის ეპიზოდები, სადავ ფატმანი ქაჯებს და ქაჯეთს აღწერს, რადგანაც ავთანდილის ისინი წარმოედგინა როგორც უხრცონი, ხოლო ფატმანმა დაუხასიათა ქაჯები და უთხრა რომ, მათ ქაჯები იმიტომ ერქვათ, რომ ისინი ერთად ცხოვრობდნენ, იყვნენ გრძნეულები და ადამიანების მავნებლები. ქაჯებს ყველანაირი ჯადოქრობის ჩადენა შეეძლიათ. მაგალითად, მტერს თვალებს დაუბრმავებენ, საშინელ ქარს აღძრავენ, ნავს ზღვაზე დაამხობენ, წყალს დააშრობენ. მათ შეეძლოთ დღის დაბნელება და ღამის დღედ ქცევა (ვეფხისტყაოსანი: 1256-1258).

მნიშვნელოვანია დავადგინოთ, თუ რატომ ლაშქრავენ ღვთიშვილები ქაჯავეთს, რატომ სტუმრობენ გმირები საიქიოს. მაგალითად, ოსური ნართების გმირი სოსლანი სტუმრობს საიქიოს, რათა მოიპოვოს აზა მცენარის ფოთლები, გილგამეშიც ჩადის საიქიოში, რათა ნახოს ენქიდუ. ვიცით, რომ საიქიოს იმიტომ სტუმრობენ გმირები, რომ იქიდან წამოიღონ გარკვეული ცოდნა, რადგან იქ ინახება კაცობრიობის ცოდნა და გამოცდილება. გარდაცვალებისას ადამიანს თან მიჰყვება მისი ცხოვრებისეული გამოცდილება, ამასთანავე მიცვალებულებმა იციან ცოცხლებში რა ხდება და ვის რა ბედი მოელის, მაგრამ რა მიზნით სტუმრობენ ღვთიშვილები ქაჯავეთს? წმინდა გიორგის ქაჯავეთში ლაშქრობაზე ხალხური ლექსიცაა, რომელიც მოგვითხრობს რომ, თურმე ღვთისმშობელმა გიორგის ჰკითხა, რატომ მიდიოდა ქაჯებში

„ქაჯავეთ რად იარები,

გიორგივ, მგელთა ფერაო?“

ხოლო გიორგიმ უპასუხა, რომ ქაჯებს მისი ვალი აქვთ და იმ ვალის მოსათხოვნად მიდიოდა მათთან (ხალხური პოეზია 1972: 116).

თუ ანდრეზებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ღვთიშვილებს ქაჯავეთიდან მიჰყავთ საქონელი და ქაჯის ქალები. ანდრეზების თანახმად, წმინდა გიორგი ანადგურებს სამჭედლოებს და ამ სამჭედლოდამ მოაქვს მას ჯაჭვი. რას უნდა ნიშნავდეს ამ ჯაჭვის წამოღება? თ. ოჩიაურის აზრით, ღვთისშილები იმიტომ სტუმრობდნენ

ქაჯავეთს, რომ იქიდან წამოეღოთ საკრალური ნივთები და საიდუმლო ცოდნა, მათ შორის მჭედლობის საიდუმლო (ოჩიაური 1967:86).

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ხალხურ ტექსტებში დემონურ არსებათა სივრცე მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი, რადგან, როგორც წესი, ავი სულები ცდილობენ ადამიანებს ავნონ, მაგრამ მათ სამყოფელში მოიპოვება ისეთი ნივთები, რომლებიც ადამიანებს სარგებლობას მოუტანს. თუნდაც ქაჯების უჩინარი ნაქსოვი მოსასხამი, რომელშიც ადამიანს ხმალი ვერაფერს დააკლდებდა. თუმცა, ხალხური ტექსტების ლოგიკით, ასეთი ადგილი უნდა დაილაშქროს, იქ დატყვევებული უნდა გათავისუფლდეს და იქიდან წამოღებული ცოდნა და განძი ადამიანთა კეთილდღეობას მოხმარდეს.

3.2. **ნაძრახი ადგილები**

ნაძრახ ადგილს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში „რიოში“ ჰქვია. რიოში არის იგივე უწმინდური, ბინძური, საკრალურის საპირისპირო სივრცე. ნაძრახი ადგილები სოფელსა და მის შემოგარენში ჰქვია ისეთ სივრცეს, რომელთა ახლოს გავლას ადამიანი ერიდება. თვითონ სიტყვა ნაძრახი ნიშნავს სახელგატეხილს. ხალხური წარმოდგენების მიხედვით, ნაძრახ ადგილებში ავი სულები იკრიბებიან. ასეთი ადგილებად კი უნდა მივიჩნიოთ: წისქვილი და მისი შემოგარენი, რადგან წისქვილი ეს არის უცხოსა და შინას გარდამავალი სივრცე. ნაძრახ ადგილებად ხალხურ ტრადიციაში მიჩნეულია აგრეთვე ხიდი, ტყე და კაკლის ხე.

3.2.1. **წიქვილი**

ხალხური ტექსტების მიხედვით, ადამიანთა საცხოვრებელი სივრცის მახლობლად ბოროტი სულების თავშეყრის ადგილად და საკრალურის საპირისპირო სივრცედ მოიაზრება წისქვილი და მისი შემოგარენი. წისქვილი, როგორც წესი, მდებარეობს სოფლის, ადამიანთა საცხოვრებელი სივრციდან მოშორებით, ტყის პირას. ამიტომაც ხალხის წარმოდგენაში იგი არის უცნაური, შიშის მომგვრელი ადგილი, სადაც უმიზეზოდ არავინ გაივლის და შიგნითაც არავინ შეიხედავს. ამას რა კავშირი უნდა ჰქონდეს კუდიანებთან? გადმოცემების მიხედვით, სოფელში მცხოვრები კუდიანი ქალები შებინდებისას სოფლის გარეთ გადიან, წისქვილის სიახლოვეს მგლებად იქცევიან და ფარას ანადგურებენ. ა. ნადარაიას აზრით, მგელი და ტურა კუდიანებისთვის განკუთვნილი ცხოველები არიან და რომ დასავლეთ საქართველოში კუდიანობას ტურაობას ეძახიან (ნადარაია 1980:187). იმას რომ, კუდიანები მგლად იქცეოდნენ ადასტურებს თუშური გადმოცემა „კუდიანი დედაკაცი“, მთქმელის თქმით ერთმა დედაკაცმა ტანსაცმელი სულ გაიხადა, მიწაზე გაგორდა და მგლად იქცა (ანდრეზები 2009: 332).

ადამიანის მაქციობის თემა, მეტად გავრცელებულია მსოფლიო ხალხთა ფოლკლორში. შეგვიძლია პარალელი გავავლოთ, იაპონურ მითოლოგიათან, რომლის თანახმადაც, ბაკემონო - დემონი, იცვლის თავის სახეს და იღებს ცხოველის სახეს, მაგალითად კატის სახეს (http://www.faena.com/aleph/articles/ghosts-and-demons-of-japanese-folklore/).

ხ. მამისიმედიშვილი წიგნში „საკრალური ისტორიები“, როდესაც განიხილავს კუდიანებს წერს, რომ მგლადქცეული კუდიანი იტაცებდა ცხვარს და შემდეგ ისევ ადამიანის სახეს იღებდა. ისინი მაქციობდნენ სოფლის განაპირას, წისქვილის სიახლოვეს, რაგდანაც იქ ერთი სახის საგანი მეორე სახისად გადაიქცევა. წისქვილის ადგილმდებარეობამ მისტიკური სახე მიიღო და ღამეული თავგადასავლებისატის შესაფერისი გარემო შექმნა(მამისიმედიშვილი 2017: 201), ასევეს სხვა სტატიაში ხ. მამისიმედიშვილი წერს, რომ წისქვილი, მწყემსი, ცხვარი, კუდიანი, მგელი -

დემონოლოგიური თქმულებების მნიშვნელოვანი ელემენტებია. წისქვილის სიახლოვეს მიწა თითქოს მაგიურ ძალას იძენს, რომელსაც ადამიანს სხვა სახეობის არსებად გადაქცევა შეუძლია (მამისიმედიშვილი 2018)

წისქვილში რომ უცნაური ამბები ხდება, ამას ადასტურებს არაერთი ფოლკლორული გადმოცემა. სწორედ ამიტომაც ადამიანებს წისქვილი წარმოუდგენიათ დემონოლოგიური არსებების შეკრების ადგილად[1]. სწორედ ამიტომ ხალხი წისქვილს და მის მიმდებარე ტერიტორიას მიიჩნევს ნაძრახ ადგილად. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაში დაგვარწმუნებს 2017 წლის საჩხერეში ჩატარებული ფოლკლორული ექსპედიციის მასალები.

ფოლკლორულ მასალებში ერთ-ერთი მთქმელი იხსენებდა ბაბუის მოყოლილ ამბავს, რომ წისქვილიდან გამოსულს, წისქვილთან ახლოს დახვდა ანთებული ცეცხლი, რომლის გარშემოც ჭინკები შეგროვილიყვნენ და ტაშს უკრავდნენო (თსუფა №31141).

მთქმელი ნუკრი ლობჟანიძე იხსენებს, რომ წისქვილთან ღამით გავლას მთელი სოფელი ერიდებოდა, რადგანაც იცოდნენ რომ ჭინკები ღამით წისქვილთან იყრიდნენ თავს, თანაც მთქმელის თქმით, წისქვილში მოკლეს ბაბუამისის ძმა. ამის გარდა წისქვილს კიდევ ბევრი ცუდი რამ უკავშირდება (თსუფა №31142).

ა. ნადარაია, როცა განიხილავდა დემონოლოგიურ საკითხებს საქართველოში, ერთგან წერდა, რომ კუდიანი სხვას კუდიანად გადააქცევდა წისქვილში, თმის მოფუჩქნით (ნადარაია 1980:186).

წისქვილზე ასეთი წარმოდგენა გავრცელებულია არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც. მაგალითად, ანდრეზი, „ეშმაკის გუდა“, მოგვითხრობს რომ ერთი დედაკაცი წისქვილში წასულა და ის ადგილი სულ ეშმაკებით ყოფილა სავსე (ანდრეზები 2009: 332). ასევე, ანდრეზი „კუდიანი დედაკაცი“ მოწმობს იმას, რომ კუდიანების შეკრების ადგილი შეიძლება წისქვილი იყოს და რომ დედაკაცები წისქვილთან ახლოს, მიწაზე გაგორებით მგლად

[1] 2016 წელს ხორხის ხეობაში ფოკლორული ექსპედიციის დროს, ტყის პირას ექსპედიციის მონაწილეებმა მოვინახულეთ წისქვილი, რომელიც მიტოვებული ჩანდა. იქ ვნახეთ მგლის მიერ მოტაცებული ცხვრის ჩონჩხი.

იქცევიან, რადგანაც, მთქმელის თქმით, მან ეს დაინახა და ისიც დაინახა, ცხვარი როგორ მოჰპარა, შემდეგ ადამიანდ გადაქცეული წისქვილის მხრიდან როგორ გამოვიდა (ანდრეზები 2009: 333).

წისქვილი რომ ეშმაკების შეკრების ადგილია, მოგვითხრობს ანდრეზი „შეთე და ეშმაკი". ერთხელ ქუმელაურთელი შეთე გულუხაიძე, ხოშანის ჭალაში, წისქვილში ყოფილა. ცეცხლის პირს მჯდარა. ამ დროს შესულა იქ ერთი ქალი, რომელიც სხვასაც ეპატიჟებოდა , მოდი, შეთეს რა კარგი ცეცხლი უნთია გავთბეთო, მაგრამ შეთემ შეხედ ქალს და დაუნახა რომ ფეხები უკუღმა ება (ანდრეზები 2009: 334).

ანდრეზი „ეშმაკის ფერხული" მოგვითხრობს, რომ გვიან ღამით წისქვილიდან გამოსულ ალუდაიძე ირიდის უნახავს ეშმაკებს ცეცხლი უნთიათ და ერულა ჩაუბამთ, გარშემო უვლიან ცეკვა-თამაშით (ანდრეზები 2009: 335).

ზემოთ მოხმობილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ხალხის ცნობიერებაში წისქვილმა მისტიკური ადგილის თვისება შეიძინა, სადაც შეიძლება ერთი სახეობის საგნის სხვა სახეობის საგნად (ხორბლის ფქვილად) გარდაქმნა. მეწისქვილეც ამ ტიპის თქმულებებში დემონური თვისებებით აღიჭურვა.

3.2.2. ხიდი

ხიდი, როგორც ნაძრახი ადგილი ისე უნდა გავიაზროთ, რადგან კუდიანთ წუხრას შესახებ არსებული გადმოცემები, რომელიც ჩაწერილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მოგვითხრობენ იმის შესახებ, რომ ამ დღეს ეშმაკები განიხილავენ ადამიანის ბედს და თუ ადამიანებს სურთ გაიგონ, რა მოელით, მაშინ ისინი უნდა წავიდნენ ხიდზე. მაგალითად, ერთ-ერთი ანდრეზის მიხედვით, ამ დღეს ხიდზე მიდიან, რათა მოუსმინონ ეშმაკებს, რადგანაც ისინი ამ დღეს განიხილავენ ადამიანის ბედს, ვის რა მოუვა, ვის ვისზე გაათხოვებენ და ვის ვინ მოუკვდება. კუდიანების მოსასმენად წასულ კაცს ისინი მოაჩვენებენ გველს, ეშმაკს, ხიდზე მწოლარეს უზარმაზარ წყალს გადაატარებენ, ქვის ლოდებს დააგორებენ. ისინი იკრიბებიან აჩხოტის ველზე, სადაც კუდიანების სულები

ცოცხზე გადამჯდარი მიდიან. იქიდან დაბრუნებული სულები, თუ თავიანთ სხეულებს უძრავად ნახავდნენ, ისევ შიგნით ბრუნდებოდნენ (ანდრეზები 2009:133).

ხიდი რომ დემონურ არსებებთანაა კავშირი ამას ადასტურებს ოსური ნართების ეპოსის პერსონაჟი სირდონი, ნართების ჭირად დაბადებული, ცბიერი და შორსმჭვრეტელი კაცი, რომელმაც იცოდა ყველაფერი, რა იყო და რა მოხდებოდა, ცხოვრობდა ხიდისყურთან და მისი სახლის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა (ნართები 1977:103).

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარში მიმავალი ხევისბერი ხიდზე, როგორც უწმინდურ ადგილზე არ გაივლიდა. ის ხიდს უეჭველად გვერდს აუქცევდა, რაც უნდა ყინვა ყოფილიყო, პირდაპირ მდინარეში გაივლიდა, რათა ხიდზე, როგორც „რიოშ“ ადგილზე არ გაუწმინდურებულიყო.

ხიდის გარდა, უწმინდურ ადგილად ითვლებოდა ორი გზის შესაყარი. დ. ხიზანიშვილის ცნობით, ფშავლები წილს უყრიან ადამიანს, რათა გაიგონონ ეშმაკების მისნობა, ამისათვის ის უნდა წავიდეს ორი გზის შესაყარზე, მაგრამ თან არ უნდა წაიღონ იარაღი, რადგანაც ის ღვთისგან ნაკურთია და ეშმაკებს მისი ეშინიათ. მისნად წასულ ადამიანებს შორის ერთ-ერთი უნდა იყოს პირმშო, რადგან უიმისოდ ვერაფერს გაიგებენ მისნები (ხიზანიშვილი2018:102).

ხიდი ერთ ნაპირს მეორე ნაპირთან აერთებს, რომელსაც კომუნიკაციისთვის, ხალხის აზრით, სხვადასხვა ტიპის არსებები იყენებდნენ. აქედან გამომდინარე, ხიდი ეს არის კიდევ ერთი ადგილი, იმ მრავალ ადგილთა შორის, რომელიც დემონურ და უწმინდურ ნიშნებს ატარებს.

3.2.3. **კაკლის ხე**

რატომ შეიძლება კაკლის ხე და მისი შემოგარენი იყოს ნაძრახი ადგილი, როდესაც ხალხში გავრცელებული წარმოდგენებით მას სამკურნალო თვისებებიც მიეწერება? როცა ბავშვს აქვს ყივანახველა, ის მიჰყავთ კაკალთან. დედამიწის ზედაპირის მაღლა

ამოწეული მისი ფესვის ქვეშ ავადმყოფ ბავშვს გაატარებენ და ბავშვიც იკურნება. ამას ადასტურებს არაერთი მასალა ფოლკლორის არქივიდან.

მთქმელი ელზა გორგაძის, 1965 წელს დაბადებული, თქმით მისი დეიდაშვილის შვილს სჭირდა ყივანახველა და ექიმებმა ვერ უშველეს, ამიტომაც ბავშვი გააძვრინეს კაკლის ქვეშ, რის შემდეგაც მას ამ დაავადებამ გაუარა და აღარც შეხვედრია (საკუთარი არქივიდან).

ნ. აბაკელიას აზრით, მრავალი ხალხის, მათ შორის ქართველების ცნობიერებაშიც, ადამიანის სიცოცხლის ციკლი ხშირად ხის სიმბოლიკასთან არის დაკავშირებული, ამიტომაც საქართველოში იყო წეს-ჩვეულება, რომელიც მე-20 საუკუნეშიც კი დასტურდებოდა, რომლის მიხედვითაც, ახალშობილების სახელზე რგავდნენ ხეს და ეს ხე იყო კაკალი, რომელსაც შვილის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობის გამო რგავდნენ დასავლეთ საქართველოში ე.წ. სახვამლო კაკალს ეზოში. ავტორის დასკვნით, კაკლის ხეს დასავლეთ საქართველოში ჰქონდა საკრალური დატვირთვა, რომელსაც სხვადასხვა სნეულებისგან განკურნება შეეძლო, მათ შორის ხველის თავიდან აცილება, „ბატონების“ სახელით ცნობილი სხვადასხვა სახადების მშვიდობით გასტუმრება (აბაკელია 2010).

თუმცა მეორეს მხრივ, აღმოსავლეთ საქართველოში იყო განსხვავებული ტრადიცია. როგორც გივი მდივანმა მიამბო, მას სოფელ ტყვიავში მცხოვრები დიდი ბებიისგან მოუსმენია, რომ კაკლის ხის ქვეშ გავლა არ შეიძლებოდა, რადგანაც იქ ეშმაკები იკრიბებოდნენ, თუმცა ამასთან დაკავშირებით რაიმე სიუჟეტი ვერ გაიხსენა, სამაგიეროდ თამრიკო ვარძიგულოვს, 79 წლისას, სოფელ მუხრანიდან ახსოვდა, რომ კაკლის ქვეშ ეშმაკები იკრიბებიანო. მისი თქმით „მეზობლის ბავშვს, პირველ კალსში რომ ვიყავით იმ კაკლის ქვეშ უნდა გამოევლო და მოელანდა რაღაცეები და იმ წელიწადს იმ ბავშვმა სკოლაში ვეღარ იარა, რო შეეშინდა ენა ჩაუვარდა. ფუღურო იყო იმ კაკალში, ისეთი ფუღურო იყო, კაცი რო ჩამჯდარიყო მოტრიალდებოდა“.

კაკლის ხესთან დაკავშირებით, ოდნავ განსხვავებულ ისტორიას იხსენებს ინდირა ვალიშვილი, 1968 წელს დაბადებული. მისი თქმით, ბავშვობაში ერთხელ მამამისი სადღაც ყოფილა წასული, დაჰგვიანებია და დასვენება გადაუწყვეტია, კაკლის ქვეშ

დაუძინია და იქიდან სახლში რომ მისულა, მის პატარა ბავშვს, შორენას, დაუწყია ტირილი და მაშინვე კანზე გასჩენია ისეთი წყლულები, თითქოს ადამიანები დამწვარ ხელებს ადებდნენ, ბავში გარდაცვლილა. ამიტომ ბებიამისი სულ ამბობდა, რომ კაკლის ქვეშ ბალახიც კი არ ხარობსო (საკუთარი არქივიდან).

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ ის სივრცე, რომელიც კაკლის ხეს ეკავა, ნაძრახ ადგილად იყო მიჩნეული.

3.3. ტაბაკონის მთა და აჩხოტის მინდორი დემონოლოგიურ გადმოცემებში

ხალხური ტექსტების მიხედვით, ქაჯების მსგავსად, სხვა სახის ავსულებსა და დემონურ არსებებსაც უყვართ შეკრება, დღესასწაულის მოწყობა და მარულაში ჩაბმა.

გადმოცემების თანახმად, ისინი იკრიბებიან ერთ კონკრეტულ დღეს, კონკრეტულ სივრცეში. თუ სად, როგორ და რა მიზნით იკრიბებიან დემონური არსებები, განვიხილოთ, ერთი მხრივ, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში ჩაწერილი დემონოლოგიური გადმოცემები და, მეორე მხრივ კი, ხევსურული, ფშაური, თუშური და სვანური გადმოცემები.

სამეგრელოში ჩაწერილ მითოლოგიურ გადმოცემებში გვხვდება არაერთი დემონური არსება: როგორიცაა: ოჩოკოჩი, ტყის მეფე, ჭინკა, მიწის კაცი, ჟამი, წყლის დედა, ეშმაკი, მაზაკვალი ანუ კუდიანი და ა. შ (სახოკია 1956:7). აქედან ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ მაზაკვალზე ანუ კუდიანზე. თ. სახოკია „ეთნოგრაფიულ ნაწერებში“ წერს, რომ მეგრელების წარმოდგენით კუდიანი, რომელიც აუცილებლად ქალია, ცდილობს გაანადგუროს სიკეთე, ბედნიერება, სილამაზე და ა.შ. მას უყვარს თავისი მსხვერპლის გულის ჭამა. კუდიანი ადამიანის გულს ჭამს მაშინ, როცა ყველას სძინავს. კუდიანები იქცევიან კატებად. ისინი სხვადასხვა ბალახებისგან აკეთებენ მალამოს, რომელსაც იღლიაში ამოისვამენ და მაშინვე გადაიქცევიან ჰაერზე უმსუბუქესად და დაიწყებენ ფრენას. კუდიანების გადაადგილების საშუალებაა მგელი (სახოკია 1956:19).

მეგრული გადმოცემების მიხედვით, მზაკვრებს ჰყავთ უფროსი, რომელსაც როკაპი ჰქვია და რომელიც კუდიანებს აძლევს რჩევებს, აწინაურებს ან ჩამოაქვეითებს მათ. როკაპი არის ბებერი დედაკაცი, გრძელ და შავკბილებიან ჩამოფხავებულ თითებზე გრძელი ფრჩხილები აქვს. ის სულ ერთ ადგილას ზის უძრავად და გარს მსხახურები ახვევია, რომლებიც ატყობინებენ, რა ხდება მისი სამფლობელოს ირგვლივ. მას სასახლე ტაბაკონის მთაზე აქვს (ხალხური სიტყვიერება 1991: 388).

საინტერესოა, რომ იოანე ღვთისმეტყველი, გამოცხადებაში წერს ასეთ რამეს: „ და წამიყვანა მე სულით უდაბნოში, და ვიხილე ქალი, რომელიც ზედ აჯდა წითელ მხეცს, რომელსაც, გმობის სახელით სავსეს, შვიდი თავი ჰქონდა და ათი რქა. ხოლო ქალს ემოსა პორფირი და ძოწეული, ოქროთი, პატიოსანი ქვიტა და მარგალიტით შემკული, და ხელთ ეპყრა ბარძიმი, სავსე სიბილწითა და მისი სიძვის უწმინდურებით“ (გამოცხად. 17: 2). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ როკაპი არის ერთგვარი აპოკალიფსური დედაკაცი, რომლის შესახებ გადმოცემები ჩამოყალიბდა, როგორც უძველესი ტრადიციების, ისე ქრისტიანული რელიგიის გავლენით.

მეგრული ტექსტების მიხედვით, კუდიანების უფროსს აქვს საშინელი გარეგნობა, რომელიც ცოდვის დაღს წარმოადგენს. ამავე ტექსტის მიხედვით, ვიგებთ, რომ კუდიანების შეკრების დღეს ჰქვია ჭეჭეთობა ანუ მზაკვრების დღესასწაული, რომელიც ემთხვევა ელიაობის წინა ღამეს (ივლისში), ან სამეგრელოს სხვასახვა სოფელში მარიამობის წინაღამეს. მზაკვრები მიდიან ტაბაკონის მთაზე ან ცოცხზე ამხედრებულები, ან საწნახელში ჩამსხარნი (ხალხური სიტყვიერება 1991: 389).

გადმოცემების მიხედვით, ტაბაკონის მთაზე კუდიანებს დანთებული აქვთ დიდი კოცონი, რომელზეც ჰკიდია დიდი წყლით სავსე ქვაბი და მასში იხარშება ყველა იმ ადამიანის გული, რომლებიც კუდიანებმა მოკლეს. როკაპთან კუდიანებს მიაქვთ ძღვენი. მისი მინისტრი ძღვენის მიტანისას როკაპს გარეთ გამოშვერილ კბილზე უკაკუნებს. მას შემდეგ რაც როკაპს კუდიანები მიართმევენ ძღვენს და მოახსენებენ ვინ რა ჩაიდინა, ისინი მართავენ ნადიმს, რომელსაც როკაპი თავმჯდომარეობს. სუფრაზე ისისნი ღვინის ნაცვლად სვამენ ადამიანის სისხლს, ხორცის მაგივრად - ადამინაის გულის მწვადს. მღერიან, ცეკვავენ და მართავენ ორგიებს (ხალხური სიტყვიერება 1991: 392).

ა. ნადარაია თავის წიგნში წარმოგვიდგენს გურიაში გავრცელებულ შეხედულებებს. გურულების წარმოდგენით კუდიანების ღამე ძვ.სტილით 1 ენკენისთვეს იყო და ის ემთხვეოდა მცხეთობას. კუდიანების შეკრებას გურულები უწოდებენ ***დადეგობას***. ისინი იკრიბებიან ერთგვარ ვირტუალურ სამყაროში -ჭაჭავეთში. გურულების წარმოდგენითაც კუდიანების უფროსს როკაპი ჰქვია და მისი საცხოვრებელი ადგილი მიუვალი კლდეებია. ეს ქვეყანა ჭაჭავეთი ზღვისპირას მდებარეობს. ნადარაიას ჩანაწერებიდან ვიგებთ , რომ ***დადეგობას*** კუდიანებს შეკრების კონკრეტული ადგილი არ გააჩნიათ და ისინი იმ ადგილას შეიკრიბებიან, სადაც მათ როკაპი დაიბარებს. თავად როკაპი კი ცხოვრობს გამოქვაბულში და მას იქ ცეცხლი არ უნთია, რადგანაც ავსულებს ცეცხლის ეშინიათ (ნადარაია 1980:185-187).

თუ შევადარებთ თ. სახოკიასა და ა. ნადარაიას ჩანაწერებს, დავინახავთ ურთიერთსაპირისპირო აზრს. სახოკიას თქმით, კუდიანებს ცეცხლი უნთიათ ტაბაკონის მთაზე, ხოლო ნადარაიას თქმით, ავსულებს ეშინიათ ცეცხლის, ამიტომაც ისინი სახლებში შუა ღამისას, შედიან, როცა ბუხარი ჩამქრალია.

ჯ. ნოღაიდელის ცნობით, როგორც გურიაში, ასევე აჭარაში კუდიანების შეკრების დღეს დადეგი ჰქვია და ის პირველ სექტემბერს იმართება. მათ მეთაურს კი რომპაპი ჰქვია, იგი მიუვალ კლდეებში ცხოვრობს, ან მთებშია მიჯაჭვული და დადეგის ღამეს ყველა მავნე სული მასთან იკრიბება (ნოღაიდელი 1971:136).

გ. ელიავა წიგნში „აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა“ განიხილავს ტაბაკონის გორას და წერს, რომ გიორგობის თვეში, მთის გაშლილ თხემზე ეშმაკები ცეკვა - ლხინს მართავენ. ამ დღეს ამოდის მთავარი ეშმაკი როკაპი ქალის სახით, რომელიც ზის მგელზე. იგი ჭაში ცხოვრობს. იქ მიდიან მგელზე შემჯდარი ეშმაკი კაცები და ქალები, რომლებსაც საწნახლები ჰკიდიათ, ამასთანავე თან მიაქვთ მოჯადოებულ ადამიანთა გულები, ნაწლავები, თმები, ტანსაცმელი და ყრიან ცეცხლისმფრქვეველ ჭაში და მის ირგვლივ იწყებენ ცეკვასა და თამაშს, მართავენ ტაბაკონობას (ელიავა 1977:117).

ზემოთ მოყვანილი გადმოცემების მიხედვით, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორ გამოიყურება კუდიანების უფროსი, როგორია მათი დღესასწაული, რას აკეთებენ და როდის მიდიან იქ. ერთი შეხედვით, გაურკვეველი რჩება, თუ სად ცხოვრობს

როკაპი, მაგრამ ტექსტების უმრავლესობა მის საბრძანისად ტაბაკონის მთას წარმოგვიდგენს, რომელზეც ავსულთა უფროსი არის მიჯაჭვული.

ხევსურული გადმოცემების თანახმად, კუდიანების შეკრების დღეს „კუდიანთ წუხრა“ ეწოდება და ის გაზაფხულზე იმართება. ამ დღეს ყველაფერს, თივას, ცხვარს, საქონელს და ა.შ. ჯვარი უნდა გადასახო, ასევე ამ დროს უნდა თქვა : „ჯვარიმც გწერავავ, ჯვარდაუწერიმც ნურა დასჩებითავ“ (ანდრეზები 2009:133).

ანდრეზების თანახმად, კუდიანები ერთმანეთთან ფიცით არიან შეკრულები. სანამ შეკრებაზე წავლენ ზურგზე რაღაცას ისვამენ და ისე მიდიან აჩხოტის მინდორზე (ანდრეზები 2009:134). თუ ადამიანი დარჩება პირჯვარგადაუწერი, მაშინ ანდრეზის თანახმად, მას თხასავით დააბღავლებენ და საქონლის ხის ბეჭს გაუკეთებენ, ან ღვიძლს ამოუღებენ და მის ნაცვლად თხის ღვიძლს ჩაუდებენ (ანდრეზები 2009: 140).

ფშაველთა წარმოდგენით, კუდიანები შეიძლება იყვნენ ქალებიც და კაცებიც (ანდრეზები 2009: 230). სხვა მხრივ, იქაც ისეთივე რწმენა-წარმოდგენები აქვთ კუდიანებზე, როგორიც ხევსურებს. დ. ხიზანაშვილი წიგნში „ფშავეთი და ფშაველები“ წერს, რომ „კუდიანთ წუხრას“ ფშაველები, ისევე როგორც სხვები, ვნების კვირის ოთხშაბათს უწოდებენ. ისინი შეკრების დროს დიდ ნადიმსა და სიმღერა-თამაშობებს მართავენ. კუდიანები ღამით ეშმაკებთან წასასვლელად შემდეგნაირად ემზადებიან: საცეცხლურქვეშ, მიწაში ინახავენ რაღაც მოჯადოებულ წამალს, რომელიც ეშმაკებმა მისცეს მათ. ოთხშაბათს დაღამებისას, როცა ადამიანებს უკვე სძინავთ, კუდიანები ამ წამალს წაისვამენ და გადასხდებიან ცოცხებზე და გაფრინდებიან. ფშაველების წარმოდგენით, ჩვეულებრივ ადამიანსაც შეუძლია გაერიოს კუდიანების შეკრებაში, თუ ისიც წაისვამს მათ მოჯადოებულ წამალს, ისიც კუდიანად გადაიქცევა და კუდიანებიც ვერ გაარჩევენ. ფშაველები, კუდიანობა ღამეს გათენებამდე ოჯახში, ერთ-ერთი, დედაკაცი ადგება უმძრახად, ბამბის რამდენიმე ფთილას ჩამოართავს. დაუვლის ოჯახის წევრებს ლოგინში და ყველას სათითაოდ შეაბამს მარჯვენა ხელის მაჯაზე დართულ ბამბის ძაფს, შემდეგ ჯამში ჩაასხამს წყალს, ჩაყრის ნაკვერჩხალეს და ასეთ წყალს ასხურებს ყველაფერს, ასე ისინი ეშმაკებს იცილებენ თავიდან (ხიზანიშვილი 2018: 99-104).

თუშთა წარმოდგენით, კუდიანები იკრიბებოდნენ დართლოს წინ, კლდეებში. იქ მისასვლელად კუდიანები ისვამდნენ ერბოს და ისე მიდიოდნენ დორაისხეველთან, თავიანთ უფროსთან (ანდრეზები 2009: 333).

ალ.ოჩიაური „ქართული ხალხური დღეობების კალენდარში“ კუდიანთ წუხრის შესახებ წერს, რომ ის იმართება აღდგომის წინა „ხუთშაბათს“ აჩხოტის მინდორში, სადაც კუდიანი ქალები შავ კატებზე შემსხდრები მიქროდნენ (ოჩიაური 1988:136).

2018 წელს თეთრწყლების ფოლკლორულ ექსპედიციაში რუსიკო ფიცხელაურმა-არაბულმა კუდიანთ წუხრის შესახებ გვიამბო: იგი ტარდება აღდგომის წინა კვირას. არის დიდი ხუთშაბათი, კუდიანთ წუხრა, წითელ პარასკევი. ადრე თურმე აჩხოტის მინდორზე იმართებოდა, „თურმე იქ იკრიბებოდეს ისენი და ეს იციან რო სახლებს მერე დიდ შეშას დასწვენ რო ბოლი და ნაკვერჩხალ გაზდიოდეს, სახლის უკან დაგვარბოლებდეს მერე და გვაძახინებდეს: რო კუდიანებო თავისა შასვითა, თავისა შაჭამეთა, თავისა შაიოთხშაბათეთაო, ჩვენ გვიშველეთავ, ჯვარ დაგვწერთავ, ბარაქა დაათანეთა, ჩვენს ნაშრომსა ჩვენს სახლ-კარსაო და ავისრევდით იმ ჯოხს და გავჰკრავდით ხევებისკეს“ (თსუფა №31423).

ე. გაბლიანის თანახმად, სვანეთში კუდიანებს უწოდებენ ჰეერიას და სვანების წარმოდგენით, მას შეუძლია ადამიანების გულში ჩახედვა. ის მტრობს ლამაზ ქალებსა და კაცებს, აგრეთვე საქონელს (გაბლიანი 2018: 175).

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ზემოთ მოხმობილი მაგალითებიდან? პირველ რიგში, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მითოლოგიური გადმოცემები გვიხატავენ როკაპის გარეგნობას და კუდიანების შეკრების დროს რა ხდება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გადმოცემები ორიენტირებულია ავი სულებისაგან თავის დაცვის საშუალებებზე, მაგრამ ეს გადმოცემები ერთმანეთს ავსებენ და მთლიანობაში გვექმნება წარმოდგენა კუდიანების შეკრებაზე. კუდიანების შეკრების ადგილი უმეტესად არის ან ტაბაკონის მთა, ან აჩხოტის ველი. რატომ არის ეს ასე? რატომ არის დასავლეთ საქართველოს გადმოცემებში კუდიანთა შესაკრებელი წარმოდგენილი მთაზე?

მ. ელიადე მთასთან დაკავშირებით, წერს რომ მრავალ ხალხში მთა წარმოდგენილია მსოფლიოს ცენტრად და ხშირად მასზე ჯოჯოხეთია წარმოდგენილი. ჯოჯოხეთი, დედამიწის ცენტრი და ზეცის „კარიბჭე“ ერთ ღერძზეა განლაგებული და სწოლედ ამ ღერძით ხორციელდება ერთი კოსმოსური რეგიონიდან მეორეში გადასვლა (ელიადე 2017: 32). იმას რომ მთა ავი სულების შეკრების ადგილია, ამტკიცებს იაპონური მითოლოგიაც. იაპონური მითლოგიის თანახმად ქალაქ კიოტოს ჩრდილოეთით მდებარეობს მთა ჰიეი (**Hiei** -比叡山 *Hiei-zan*), რომელიც, შინტოს რელიგიის თანახმად, მიჩნეულია დემონების საცხოვრისად (https://en.wikipedia.org/wiki/Mount_Hiei).

მაშინ, რატომ არ არის ხევსურულ, თუშურ და ფშაურ გადმოცემებში კუდიანების შეკრების ადგილი მთა და რატომ არის აჩხოტის ველი? ვფიქრობ, ამის მიზეზი არის ის გარემოება, რომ მთა მათთვის არის წმინდა ადგილი, სადაც ბინას იდებენ სალოცავები. მთაზეა წარმოდგენილი სამოთხისებური ადგილები, ის მათთვის საკრალურია, ამიტომაც მათ ცნობიერებაში კუდიანები უნდა შეიკრიბონ მათგან შორს, სადღაც მინდორზე. ამგვარივე რწმენა-წარმოდგენა აქვთ კავკასიის ხალხებს, რომელთა მიხედვითაც კუდიანები, დემონები იკრიბებიან ან მთაზე, ან ველზე. ეს რწმენა-წარმოდგენები, აღწერა ხ. მამისიმედიშვილმა წიგნში „საკრალური ისტორიები“.

იმას, რომ კუდიანების ერთ კონკრეტულ ადგილას იკრიბებიან გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ხალხში. ყველაზე ცნობილია „ვალპურგის ღამე“, რომელიც იმართება პირველ მაისს და გერმანული ხალხური რწმენით ამ დროს ჰარცის მთის უმაღლეს მზვერვალზე, ბროკენზე, იკრიბებიან კუდიანები და ჯადოქრები, რომლებიც იქ მართავენ დღესასწაულს (ttps://ka.wikipedia.org/wiki/ვალპურგის_ღამე).

აქვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ იაპონურ მითოლოგიაში, დემონური არსებებს უფრო მეტი სიმძაფრე აქვთ შეძენილი, სწორედ ამიტომაც, ერთ-ერთი იაპონური ლეგენდის თანახმად, ყოველ წელს, იოკაი და ონი, დემონური არსებები, ზაფხულის ღამის პერიოდებში, განსაკუთრებით აგვისტოში, გამოდიან ქუჩებში და მართავენ მსვლელობას, ვინც მათ შეხვდებათ გზაზე, იოკაი მას წაიყვანს, თუ მას არ აქვს დამცავი შელოცვა, რომელზეც წერია: „*KA-TA-SHI-HA-YA, E-KA-SE-NI-KU-RI-NI, TA-ME-RU-SA-KE, TE-E-HI, A-SHI-E-HI, WA-RE-SHI-KO-NI-KE-RI*" (カタシハヤ, エカセニクリニ,

タメルサケ，テエヒ，アシエヒ，ワレシコニケリ）“. შესაძლებელია იოკაები სახლშიც მიადგნენ ადამიანებს. დემონური არსებები ქრებიან გამთენიისას (ttps://en.wikipedia.org/wiki/Hyakki_Yagyō).

ამასთან დაკავშრებით პარალელი სვანური წარმოდგენისა, რომლის თანახმადაც კუდიანებისგან თავის დაცვის საშუალებაა თათრების მიერ გაკეთებული რაღაც ნალოც ტყავში გახვეული ქაღალდი, რომელსაც ეძახიან „დუა“-ს. ადამიანები ამას გულზე ატარებენ, მის საწინააღმდეგოდ არსებობს კიდევ შელოცვა (გაბლიანი : 175).

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ დემონოლოგიურ გადმოცემებს საინტერესო პარალელი აღმოჩნდა იაპონურ თქმულებებთან, რომელიც აქამდე იაპონური ფოლკლორის არცოდნე ადამიანისთვის ცნობილი არ იყო. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საერთო მოტივები შეიძლება შორეული აღმოსავლეთის ხალხების ფოლკლორშიც აღმოვაჩინოთ.

IV თავი

საიქიოს რეპრეზენტაცია ხალხურ ტექსტებში

4.1. სამოთხის მითოსური სახე ქართულ პოეზიაში

სამოთხე - ადგილი, რომელში მოხვედრაც ყველა მორწმუნე ქრისტიანს სურს გარდაცვალების შემდეგ. იგი დაიკარგა აკრძალვის დარღვევის შედეგად და მხოლოდ მას შემდეგ დაიბრუნა კაცობრიობამ, რაც იესო ქრისტე ჯვარს ეცვა. ხალხურ მეხსიერებაში სამოთხისებური ყოფა შემორჩენილია ლექსების სახით. ლექსები აღწერენ იმ სიტუაციებს, რაც სამოთხეში ხდება. ხშირად ეს სიუჟეტები იმდენად სულისშემძვრელია, რომ მისი წაკითხვისას ცრემლიც კი მოადგება ადამიანს, რადგან, ხალხური ტექსტების მიხედვით, არც სამოთხეში არიან გარდაცვლილი ადამიანები მთლიანად ბედნიერი. პირველი კითხვა, ალბათ, რაც გაგვიჩნდება იქნება ის, თუ ბეწვის ხიდის გავლის შემდეგ სად ხვდებიან მართლები და როგორ ცხოვრობენ. „სულეთის ლექსის“ მოხედვით, ვინც სამზეოს დააკლდება, ერთ ადგილას იკრიბება, როგორც ახალგაზრდა, ასევე მოხუცი, როგორც დედაკაცი, ასევე მამაკაცი, განსხვავება მათ შორის მხოლოდ ისაა, რომ ახალგაზრდები სანთელ-კელაპტრებს ანთებენ, სუფრას შლიან და სუფრასთან უფროსებს პატიჟებენ, თვითონ კი გამუდმებით ფეხზე დგანან და გალობენ. გაგვიჩნდება კითხვა, ამ დროს ქალები სად არიან? ისინი ახალგაზრდა ვაჟების მიერ ანთებული სანთლის შუქზე სხდებიან. მართალია სამოთხეში არიან, მაგრამ საერთოდაც არ არის მხიარულად ის ცოლ-ქმარი, რომლებიც თავიანთ საყვარელ ადამიანებს დაშორდნენ:

„ახლად გაყრილნი ცოლ-ქმარნი სულეთში გაჩვენდნიანო.
არცა აქვთ თვალთა სინათლე, არც ბაგედ იშლებიანო,
მათ მხილველ ბერნი-მოხუცნი მათ ცოდვით იწვებიანო.“

(ხალხური პოეზია 1973:63)

მათზე უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან ის ბავშვები, რომელთაც წუთისოფელი ნაადრევად დატოვეს. ისინი გამუდმებით დაეძებენ დედებს, მშივრები დადიან იქ და დედის ძუძუს გახსენებაზე ისღა დარჩენიათ, რომ მხოლოდ თითები წოვონ. გამვლელ-

გამომვლელებს კი მუხლებზე ეკიდებიან ძახილით: „ დედაო, პური გვშიანო,“ მაგრამ ისინი

„ ხელსა ჰკვრენ გადააგდებენ, ჩვენ განა დედებ გვქვიანო?!“

(ხალხური პოეზია 1973: 64)

მაგრამ კიდევ უარეს დღეში არიან ისინი, ვინც უკვე შედარებით წამოზრდილებმა დატოვეს სამზეო, რადგანაც მათი დედები გამუდმებით ტირიან, ეს კი საიქიოში მყოფ მათ შვილებს ცუდად უბრუნდებათ, რადგანაც დედის ცრემლი სამოთხეში წვიმად მისდით შვილებს, ამიტომაც სანამ დედები ტირილს და მათზე გლოვას არ შეწყვეტენ, ისინი ვერასოდეს გაიშრობენ ტანისამოსს.

ვისაც მშობლები ჯერ კიდევ ცოცხალი ჰყავთ და სხვადასხვა მიზეზის გამო მათზე ადრე დატოვეს სააქაო, ისინი ჩუმ-ჩუმად, სხვებმა რომ არ დაინახონ, ისე ტირიან. ლექსი იმასაც გადმოგვცემს, თუ რა მდგომარეობაში არიან იქ მოხუცები.

„ სულეთში ბერნი-მოხუცნი ყავარჯნებს ეძებდიანო,

ყოველ ბედნიერ დღეებში საკლავებს მოელიანო.

ვისაც მომხსენი არა ჰყავთ, პირუკუღმ დასხდებიანო.“

(ხალხური პოეზია 1973:64)

არავინ იცის, რა წესები არსებობს სულეთში, ვის როგორ ასამართლებენ, ან ვინ როგორ უნდა მოიქცეს იქ, ან საერთოდ რა ხდება, როგორც ლექსი „სულეთი“ მოგვითხრობს:

„სულეთს ჯარი ჯნავს ცალა-რქა, ბარაქა მესტუმრეთია.“

(ხალხური პოეზია 1973: 64)

ზემოთ ვახსენეთ, რომ ცოდვიან-მართალთ განარჩევენ, მაგრამ ვინ განარჩევს ვინ სად უნდა წავიდეს, ან ბეწვის ხიდის შემდეგ რა ხდება? ამაზე მოგვითხრობს ლექსი „სულეთი“. მას შემდეგ რაც ბეწვის ხიდს გადაატარებს მგებრი სულს, იგი აღმოჩნდება სულთქმის ციხესთან, რომლის წვერიც ცამდეა აზიდული, მასში სხედან მოსამართლეები, ბჭეები, რომლებიც გამუდმებით სიმართლეს ამბობენ, მათ ხელში უჭირავთ მაკრატლები და შეუძლიათ ბეწვის ხიდი გაჭრან.

„ შავეთში სულთქმის ციხე დგას, წვერ ცამდე მიმდინარია“

(ხალხური პოეზია 1973:64)

ამ ციხეში მსხდომნი ბჭეები, როდესად დაინახავენ მართალ ადამიანს, რომელმაც ობოლი ბავშვები არ მიატოვა და დაზარდა, მას მაშინვე ცხენს შეაგებებენ, ხოლო დედ-მამის დამფასებელს: „ია და ვარდი ფენია“ (ხალხური პოეზია 1973:66).

მართალია ცოდვილი და მართალი ადამიანები განცალკევებით არიან, მაგრამ როდესაც ზეცაში ზარებს დარეკენ, მაშინ ყველანი ერთად იკრიბებიან და იწყება მათი სამსჯავრო. ბჭენი მხოლოდ თითო სიტყვას იტყვიან, მათ შორის კი მღვდელი ხუცობს. სამოთხეში დიდი მინდორია, ამ მინდორზე, როდესაც ნისლი ჩამოწვება, იმას ნიშნავს, რომ ცხენ-მხედარნი მივიდნენ იქ, რათა მწყურვალ ცხენებს წყალი დაალევინონ. ამის გარდა სულეთში ვეშა წყარო გამოდის, რომელიც უმამისახლო ადამიანების ცრემლებია. ისინი მათ საყვედრურობენ:

„ რად შეეცოდვე მიწათა? სამზეოს რაც შვერ, ჩვენია“

(ხალხური პოეზია 1973:67)

სხვა გადმოცემით, სულთქმის ციხის ნაცვლად სულეთში სამი ხე დგას, რომელთა წვერიც ცაშია ასული. მათი ძირებიდან კი წყარო გამოდის, რომელშიც დგას ვერცხლის თასი და თუ იმ თასს აიღებს რომელიმე იქ მყოფი, მისთვის ეს მადლი იქნება. ამ წყაროსთან მოდიან მხედრები.

„ ბევრი მოდგება ცხენ-ჯორი, ძუა-ფაფარი კრულია,

იმაზედ მჯდომი მხედარი, პირს ლახტი დადებულია. „

(ხალხური პოეზია 1973: 68)

მხედრების შემდეგ წყროსთან ქალები მიდიან, რომელთაც უკან მიჰყვებიან დედ-მამის მაძებარი ყმაწვილები. სულეთში ყველაფერს თავისი ფასი აქვს და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს,

„ სულეთში მატყლი, მარილი, თეთრი ხარისა ფასია,

თამბაქოი და ბიჭონი ერისა მარგებელია“

(ხალხური პოეზია 1973:68)

კაი ყმებს, რომლებიც ბრძოლის დროს, ან სიბერეში გარდაიცვლებოდნენ, თან აყოლებდნენ თავისსავე იარაღს, მაგრამ საკითხავია, გამოიყენებს კი ის იქ ამ იარაღს? ამ

კითხვაზე პასუხს კარგად სცემს ლექსის „ შავეთში“ ლირიკული გმირი, რომელმაც ეს იარაღი იქ ვერ გამოიყენა. არსებობს წესი, რომელიც უნდა დაიცვას შავეთში შესვლისას ვაჟკაცმა. შავეთის უფროსს სამჯერ უნდა დაუკრას თავი, ის კი გამოარჩევს ნარჩევ ყმებს და შეაჯიბრებს ახლად მისულს.

„ შავეთის მეუფროსესა სამჯერ დაუკარ თავია.

უკლეუბ გამაარჩია, სუ შიგ ნარჩევებ ყმანია.“

(ხალხური პოეზია 1973:68)

შავეთში ხალხი რიგებადაა დაწყობილი. შემაღლებულ ადგილას დგანან უფროსები, ხოლო ცოტა ქვემოთ ნარჩევი ყმების ჯარი. თუმცა სამოთხისებური ყოფა არც ისეთი კარგია, რადგანაც იქ სულიერის ჭაჭანება არაა, თან ვაჟს, როგორც საიქიოს მომხილველი ჰყვება, თურმე არ ჰქონდა ულვაში, ქალს მისი გიშრის თმა და იქ მყოფთაგანს არც ერთს არ აქვს თურმე თვალი. გარდა ამისა,

„ მოდგება ცხენი-დ მხედარი, სუ ძუა დანასკულია,

მაჰყვება წვრილი ყმაწვილი, სუ დედის მაძებარია.“

(ხალხური პოეზია 1973 : 69)

ვახსენეთ, რომ საიქიოში დგას სულთქმის ციხე, ან მის მაგივრად სამი ალვის ხე, მაგრამ კიდევ ერთი ლექსი გვამცნობს, რომ სულეთში დგას თეთრი ციხე, რომლის წვერიც ცაშია, მის ახლოს კი დგას ალვის ხე, რომელსაც ასევე წვერი ცაში აქვს აზიდული და მისგან გამოდის ვეშა წყარო. ამ წყაროდან წყლის დლევა კი ყველას არ შეუძლია. ამ წყალს მხოლოდ მადლიანები სვამენ, ცოდვილები კი მწყურვალები რჩებიან.

„ თეთრი ციხე დგა სულეთში, წვერი ცას მიმდინარია,

მაგანეთ (მოშორებით) ალვის ხეი დგას, ცაში მიუდის წვერია;

ბოლოზედ ვეშა წყარო დის, სასმელად გემნიერია;

მადლიანნ მავლენ, წყალსა სმენ. ცოდვიანნ მწყურვიელნია“

(ხალხური პოეზია 1973: 70)

სამოთხეში მდგარი სულთქმის ციხე ან სამი ხეან თეთრი ციხე ესხომ არ უნდა გავიაზროთ როგორც სამოთხის ცენტრი, რადგანაც ვიცით, რომ ცენტრი გვხვდება ყველგან. ქაჯავეთში ეს არის სამჭედლო, ადამიანთა საცხოვრისსში-კერია.

ყველაზე უკეთ, ალბათ, სამოთხისებურ ყოფას გადმოგვცემს ლექსი „ შავეთს რა გვიჭირს“. მისი ანალიზისას ცხადად დავინახავთ, რომ სამოთხისებური ყოფა, მართლაც სანატრელია და სულის საცხონებელი, რადგანაც მართალთ გამუდმებით სანთლის შუქი აქვთ და თეთრი ტირიფის სახლებში ცხოვრობენ, რომლებშიც საკმევლის საუცხოო სუნი დგას, ასევე შიგნით მოსასვენებელი სკამიც დგას, მაგრამ ერთი უცნაურობაა, კარებად სახლებს ცოდვა-მადლი აქვთ შებმული.

„ შავეთს რა გვიჭირს უკლოთა, წინ შუქი გვიდგა სანთლისა.

თეთრი ტირიფის სახლები შიგ კვამლი ბრუნავს საკმლისა.“

სკამ გვიდგა სასვენებელი, კარ გვიბავ ცოდვა-მადლისა“

(ხლხური პოეზია 1973 :70)

სახლში ყოველგვარი ფუფუნებაა. იქ საღვინეებია, რომლებიც სავსეა ნაკურთხი სასმლით, გარდა ამისა ოქროს ტაბაკიც უდგათ. სახლს გვერდით ჩამოუდის ვიცი წყარო, რომელსაც ქალები პირისაბანად იყენებენ. მათ საკუთარი ცხნებიც ჰყავთ, რომლებიც შეუწირავთ მათთვის და რომლებიც სახლის გვერდით უბიათ და თუ საიქიოს რომელიმე კუთხიდან დაიძახებენ ქუდზე კაცს, მაშინვე იქ გაემართებიან. მართალთ გვერდით უდგანან მოჯაბრეები, რომელთაც წინ იახსარი უდგას თავისი ლახტით.

„ გვერდს მიდგან მოჯაბრეები, აიხსარ უდგა ლახტითა.“

(ხალხური პოეზია 1973: 71)

თუმცა მართალნი იქ მაინც ნატრულობენ მზის სინათლეს.(„თუ მკითხავთ, კიდეც გიამბობთ“)

„შაიყრებიან უკლონი, ნახვას ნატრობენ მზისასა:

მუჯლებს ვეღარა ჯმარობენ, ნატკივნებს ლოდებისასა,

ვერც თვალებს აჭრეევინებენ დათხრილებს გველებისასა“

(ანთოლოგია 2010:127)

შავეთში შვიდ რიგად არის ჯარი დაწყობილი. ცალ-ცალკე იმყოფება დარჩეული, კარგი ქალ-რძალი. თუმცა შავეთში მყოფნი მაინც ჩივიან, მათი საჩივარი არის ის რომ გველებმა შეაწუხეს ისინი და საფლავები გაუხეთქეს და წყალი ჩასდით. წყალმა კი ბევრ

ვაჟკაცს დაუშალა როსტომისნაირი მხარი და ბევრ ალს შვიდად დაწნული ნაწნავი. (შავათზედ ამოვიარე)

„ შავეთზედ ამოვიარე, შვიდ პიად ისხდა ჯარია,

სულ ცალკე დარჩეულიყო კარგი ქალი და რძალია“

(ხალხური პოეზია 1973: 72-73)

სამოთხეში შესვლა ყველას არ უხარია და ყველა წყნარად არ შედის იქ. შავეთში მიდიან ომის დროს უსამართლოდ დაღუპული გმირები, რომელთაც პროტესტის გრძნობა აქვთ, მაგალითად (ჩიღოს წახდენა მტრისაგან) სამოთხეში ერთდროულად შედის მთელი თემი, ჩიღოელთა თემი, რომლებიც იქ ჩივილიტ შევიდნენ იმის გამო, რომ თუშეთი არ მიეშველა მათ და მტრის ჯავრი აჭამა. იქ რა თქმა უნდა მათ ხვდებათ საკუთარი თემი და თემიც წყრომას გამოხატავს შემდეგი ფორმით:

„ ჩიღოელთ დიაც- ყმაწვილნი, ტირილით მოიდისაო,

ჩვენი წახდენის მიზეზით, სისხვაიმც გქონდეთ ღვთისაო!“

(ხალხური პოეზია: 251-252)

გარდა ჩიღოელებისა, სულეთში ჩივილით შედიან ღულელებიც (სულეთში ღულეთშვილები), რომლებიც ხევსურებზე ჩიოდნენ, რადგან ისინი არ მიეხმარნენ მათ, რისი შედეგიც სახეზეა. მედგარი ბრძოლის მიუხედავად მტერს მაინც ვერ აჯობეს.

„ სულეთში ღულეთშვილები ჩივილით შამადიოდა:

“მჯარ არ გვიჭირეს ჯევსურთა, მარტოთა არ გადიოდა”.

(ანთოლოგია 2010:125)

შესაძლოა არ ვიცით უმეტეს გმირებს რა ჰქვიათ და როგორ ხვდებიან მათ საიქიოში შესვლისას, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობს და ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისია გმირი ობოლა („ხუთშაბათ თენებაზედა“), რომელიც სამოთხეში მიდის და ციხის კარს აღებს, მას წინ ხვდება ამბიკა და მთელი ვაჟკაცთა რჩეული ჯარი. იქ მისულ გმირს შესძახეს, წინ ოქროს სკამი დაუდგედს, გვერდით კი საწდე. კელაპტარიც აუნთეს და იქ მყოფ ქალებს მიმართეს კარგად ეგლოვათ მოსული ვაჟკაცი. შემდეგ ჩამოთვლიან გმირის გვმირობებს, რადგანაც

„ ნაქნარსა ობოლაისას, ვერვინ იქმოდეს სხვანია.“

(ხალხური პოეზია:255-256)

მეორე გამონაკლისია წიქა (წყალში ჩავარდნა და სიკვდილი), რომელმაც ხელით შეაღო ციხის კარები, შესულმა კი იქ მყოფი სწორები გაიცნო და მათ გვერდით დადგა. ჩუამ სიმღერა დაიწყო, ჩალხიამ ბანი მისცა. შატილელმა ვაჟებმა კი სამზეოს გასასვლელი კარები გატეხეს.

„ სწორებმ გაიცნა ერთურცი, დასხდა ქორების ჯარია

სამგლოვიაროთ იმღერეს, ამოდ შამახკრეს ზარია.“

(შანიძე 1931: 217).

ობოლასა და წიქას საიქიოში შესვლას სულაც არ ჰგავს დავითის იქ მისვლას (დავით წიკლაური), რომელიც იქ ხმამაღლა კივილით შევიდა, მაგრამ ვაჟკაცს წინ კელაპტრის შუქი მაინც მიჰყვება. იქ მისულმა სულ დაანგრია ყველაფერი

„ სულეთ შავიდა დავითი, ჴმა-მაღლა კივილითაო,

გზას მიუნათებს მოყმესა წინ შუქი კელაპტრისაო,

ციხის სათავეს შამჴდარა, ტოშის ჴმა გამადისაო,

დალეწა ციხის კარ-კედი, ნამტვრევებ გარდადისაო.“

(შანიძე 191:219-220)

სიკვდილი გამუდმებით ცდილობს, რომ საიქიოში შეკრიბოს ნარჩევი ვაჟკაცებისგან ჯარი, რომელთაც „ წინით ჩხუტსს ჩამუდგამ, კოშკს ჩამურიგებ რვლისასა“(შანიძე 1931:213-214). სამოთხეზე კიდევ უფრო შთამბეჭდავად გადმოგვცემს ლექსი „საიქიოზედ ნანახი სიზმარი“, სადაც ლექსის ლირიკული გმირის ცნობით, მას სამოთხეში აჩვენეს ერთი საყდარი, რომელსაც ასი კარები ება. ოთხი მხრიდან დარეკილი ზარების ხმა კი ცაში ადიოდა. საყდარის ას კარებში იქ მყოფი სულები შედიოდნენ, ხოლო ანგელოზები ბულბულისებურად გალობდნენ. საყდარი მორთული იყო ოქროს ვარაყებით:

„ერთი საყდარი მიჩვენეს, კარები ება ასია,

ოთხგან დარეკეს ზარები, ხმა ადიოდა ცაშია,

ყოველი სული შევიდა, ერთი არ დარჩა კარშია,

ანგელოზები გალობდნენ ტურფათ ბულბულის ხმაშია,

ოქროს ვარაყით მორთულსა საყდარ ვინ დაზდო ფასია,

სულ დაამტვრიეს სამოთხე, გამამიყვანეს კარშია“.

(სახუმარო ლექსები 1880: 10)

სამოთხის შესახებ ხალხური რწმენა-წარმოდგენები ჩაიწერეს ვაჟა-ფშაველამ, ბ. ნიჟარაძემ, მ. ბალიაურმა და ნ. მაკალათიამ. მათი ცნობები სამეცნიერო სივრცეში ყველასათვის კარგად ცნობილია აღარ წარმოვადგენთ ამ ეთნოგრაფიულ მასალას. ალ. ხახანაშვილის აზრით, თუშების რმენა-წარმოდგენები სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ ჩამოყალიბდა ქრისტიანობის ზეგავლენით. საიქიოს ისინი უწოდებენ სულეთს. სულეთს მფლობელობს „ბატონი“, რომლის წინაშე არაფერი დაიმალება და საიქიოც ისე აქვთ აღწერილი, როგორც გვხვდება ხალხურ ლექსებში, რომლებიც ზემოთ უკვე განვიხილეთ (ხახანაშვილი 1888: N173, 177, 181, 185).

ინგილოების რწმენა-წარმოდგენით, სამოთხის კარზე კუპრის ტბა არის, ზედ ხიდია გადებული, რომელზეც ცოდვიანი ვერ გადავა, მართალი კი მარდად გადაივლის. იმის გამოსარკვევად, თუ ვინა არის მართალი და ვინ ცოდვილი, იქ მისულ ადამიანს სამოთხისა და ჯოჯოხეთის პატრონი მას წონის. მართლებს სამოთხეში ყანა უბიბინებთ, იქვე ძოვენ ყოჩებიც. სამოთხეში არის ბევრი ვენახი და ხილი. ყანა იმ ხორბლით ამოსდით, რომელიც გარდაცვალებისას თავთან დაუდგეს, ხოლო ყოჩები ის ყოჩებია, რომლებიც თავიანთ სიცოცხლეში დაუკლავთ ადამიანებს. სამოთხეში წლისა და ორი წლის ბავშვს საკმეველი არ ეკუთვნის. საიქოში არის ერთი რძის ტბა, რომლის შუაშიც თეთრად გადაფოთლილი ხე დგას. ზუსტად ამ ხეზე სხედან ეს ბავშვები. როცა მათ მოშივდებათ, მაშინ ხე ჩავა ტბაში, როცა ბავშვები რძის ჭამით გულს იჯერებენ, მაშინ ხე ისევ აიწევა (თაყაიშვილი 1913: 167).

რძის ტბასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ რძის ტბა გვხვდება ოსურ ცხენშეწირვის ტექსტებშიც, როდესაც მიცვალებული შედის საიქიოში, ბარასთირის სამეფოში, ის ნახულობს რძის ტბას. ამასთან დაკავშრებით ხ. მამისიმედიშვილი ფიქრობს, რომ სამოთხეში მზის მაგივრობას წევს რძისფერი ტბა, რომელიც მინდვრის შუაგულში მოჩანს და მის ირგვლივ კი ოქროსქოჩრიანი ბავშვები თამაშობენ (მამისიმედიშვილი 2015: 171).

ლექსი „სიზმრათ ვნახე ედემი“ მოგვითხრობს, თუ როგორაა მოწყობილი ედემი. სამოთხის მომხილველის თქმით, ის არის აღმოსავლეთის მთაში. მის ცაზე არის როგორც მზე და მთვარე, ასევე ვარსკვლავებიც. ბაღში დარგულია ათასნაირი ხილი. ამ ხილთაგან ზოგიც მწიფეა, ზოგიც მკვახე, ზოგიც ჯერ კიდევ ყვავის (შედარება, ზღაპრებში როდესაც მედე ზღაპრის გმირს ან საიქიოში გზავნის ან დავალებას აძლევს ის ნახულობს ზუსტად ასეთ ხეებს). სამოთხეს გარს ახვევია ათასნაირი ფრინველი. იქ არის ტაძარიც, რომელსაც ოქროს არაყი გადმოსდის. ედემში არის ერთი შენობა, რომლის კარშიც ორი გველი აბია. იმ შენობაში თორმეტი ოთახი არის. ის არც ხისგან არის გაკეთებული, არც ფიცრისგან. მას საძირკვლად ქვაც კი არ აქვს. თითო ოთახიდან, თითო წყარო გამოდის (ხალხური პოეზია 1973: 154).

ი. სურგულაძე წიგნში „მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში“, ერთ-ერთ თავს ჰქვია „წასულთა და დაბრუნებულთა ნაამბობი“. ამ თავში მას მოჰყავს საიქიოს აღწერის მაგალითი, რომელიც XIX საუკუნეში მწერალ დავით კლდიაშვილს ჩაუწერია. ამ ცნობის მიხედვით საიქიო არის მშვენიერი მწვალე ველი, სადაც მიცვალებულთა სულები, სპეტაკი, თეთრი ცხვრების სახით ძოვენ, ხოლო მწყემსად ანგელოზი უდგათ (სურგულაძე 2002: 406).

ამგვარად, მთიელთა წარმოდგენებში საიქიოს სულეთი, ან შავეთი ეწოდება, ხოლო წმინდა წერილში სამოთხე მოიხსენიება სხვადარა სიტყვებით როგორიცაა: ზეციური სასუფეველი, ზეცური მამის სახლი, ზეცური იერუსალიმი და ა.შ. სამოთხისებური ყოფა შეიძლება სანატრელია, რადგანაც იქ არის გაშლილი ტრიალი მინდორი, სადაც მუდამ გაშლილია ღვთის ტაბლა და მართალნი ტკბებიან ქრისტესთან ახლოს ყოფნით, ან სულ მუდამ მხიარულობენ, მართავენ დოღს ან სხვადასხვაგვარ შეჯიბრს, მაგრამ ისინი საბოლოოდ მაინც არ არიან ბედნიერი. გამუდმებით იტანჯებიან ბავშვები, ახლად გაყრილი ცოლ-ქმარი, ან უფროსებიც, რადგანაც მათ არ სურთ სიკვდილი და სამზეოში გასვლა სურთ.

იაპონური მითოლოგიის თანახმად, ტაკამაგაჰარა (高天原, "Plain of High Heaven"), ეს არის სამოთხის ადგილი, სადაც ბინადრობენ ღმერთები. იაპონური წარმოდგენით, ეს ადგილი დედამიწას უკავშირდება ხიდით *Ama-no-uki-hashi* (the "Floating Bridge of

Heaven"). შინტოს რელიგიაში, ამე - სამოთხე, არის მაღალი წმინდა სამყარო, კოტოამატსუკამის სახლი. შინტური რელიგიის თანახმად, შესაქმის დროს, ნათელი, სუფთა ელემენტები გაიფანტნენ, რათა გადაქცეულიყვნენ სამოთხედ (ame), ხოლო მძიმე ელემენტები გადაიქცნენ დედამიწად (tsuchi), ame იქცა ზეციური ღმერთების სახლად (https://en.wikipedia.org/wiki/Takamagahara).

4.2. ჯოჯოხეთის მითოლოგემა ქართულ ფოლკლორში

ჯოჯოხეთის მითოლოგემა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში როგორც ტექსტების ანალიზმა ცხადყო, ჩამოყალიბდა ქრისტიანული ლიტერატურის ზეგავლენით, რომელიც ზეპირი გზით ვრცელდებოდა. ასეთ ლიტერატურად შეიძლება დავასახელოთ აპოკრიფი „წმიდისა ღმრთისმშობლისაგან კაცთა ცოდვილთა სატანჯველთა ხილვაჲ“, ღვთისმშობელმა საიქიოში იხილა ცეცხლის მდინარე, რომელშიც იტანჯებოდნენ ადამიანები და მათ ცეცხლის მდინარე სხეულის სხვადასხვა ნაწილებამდე სწვდებოდათ. აპოკრიფი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ისჯებიან სხვადასხვა ცოდვის ჩამდენნი. მაგალითად, მევახშეებს ჯოჯოხეთში მატლები ჭამდნენ. იქვე იყო დედაკაციც ჩამოკიდებული ძუძუებით და მას მხეცები ჭამდნენ, პირიდან კი ცეცხლის ალი გადმოსდიოდა. ერთ ადგილას ნახა ცეცხლის ღრუბელი, რომელშიც ადამიანებს ცეცხლისფერი ვეშაპი ისე შემოხვეოდა და სწვავდა, როგორც ხმელ ლერწამს. იქ იტანჯებოდნენ ისინი, ვინც წირვა-ლოცვას აცდენდნენ. ჯოჯოხეთში იდგა ხე, რომელსაც რკინის ტოტები ჰქონდა და მასზე ეკიდნენ ადამიანები, ფრჩხილებიდან სისხლი მოსდიოდათ და ენა ცეცხლის ალით ჰქონდათ შეკრული, ისე რომ ვერც სიტყვას ამბობდნენ და ვერც ტიროდნენ. ერთ ადგილას ერთი კაცი ცეცხლში იდგა და სცემდა მას მხეცი და ა. შ (ყუბანეიშვილი 1946:15-19).

ჯოჯოხეთში მოხვედრა, რა თქმა უნდა, არავის სურს. ამიტომაც ადამიანებისთვის უკეთესია, თუ იგი არ იარსებებს. ამ სურვილის გამოძახილი უნდა დავინახოთ ხალხურ ლექსში „დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა“ , საიდანაც ვიგებთ, თურმე ქრისტე ღმერთს ცაში დაუდგამს საბერველი და გაუკეთებია რკინის კეტი ჯოჯოხეთის დასანგრევად.

ჯოჯოხეთის სამი კუთხის დანგრევის შემდეგ, მეოთხეზე გადასვლისას მას ეშმაკები წინ აღუდგნენ და ღმერთს მისი დანგრევის ნება არ მისცეს.

„დალოცვილმა ქრისტე ღმერთმა ცაში დადგა საბერველი,
გააკეთა რკინის კეტი, ჯოჯოხეთის სანგრეველი.
სამი კუთხე დაანგრია, მეოთხესაც მიჰყო ჴელი,
წამაუდგნენ ეშმაკები, ნება არ ასრულდეს შენი,
თუ მეოთხეც დაანგრიე, ლოცვა აღარ იყოს შენი!“

(ანთოლოგია 2010: 22-23).

ხალხური ლექსები ჯოჯოხეთურ ყოფას და ცოდვილთა დასჯას შემდეგნაირად აღგვიწერენ: როგორც უკვე ვახსენეთ, ბეწვის ხიდის შემდეგ სხედან მართლის მთქმელი ბჭენი, რომლებიც მართლებს სამოთხეში აგზავნიან, ცოდვილებს კი სჯიან (სულეთი), ის ადამიანები, რომლებმაც ტყუილ-უბრალოდ დასაჯეს ქალ-ვაჟნი, მათ ენის წვერს აჭრიან და თან ეუბნებიან: „-რაად ამბობდი მაგასა? ენა დაგიხვდა მტერია.“ ჯოჯოხეთში თურმე ცეცხლზე ქვაბები უდგათ, რომელთაგანაც ორთქლი გადმოდის და ვინც ხელით ცოდვას სჩადიოდა, მას ამ ხელს იქ უხარშავენ, შემდეგ კი აჭმევენ: „ნახე რა გემრიელია!“. დედებს, რომლებმაც ობოლი ბავშვები მიატოვეს, უბეში გველი უსვამენ და ჯოჯოხეთის იმ ადგილას არიან, სადაც მას ბნელი კარი აქვს.

„დედას ობლების დამყრელსა უბეს ჩაუსხეს გველნია,
ჯოჯოხეთისკე გაღმართეს, ჯოჯოხეთისჯარ ბნელია,
ეშმაკი გამააყოლეს, რომელიც უფრო ძნელია.“

(ხალხური პოეზია 1973:65)

სამანის ამრევს, ზურგზე გოდრით ჰკიდია კლდე და სულ ეს სიტყვები ესმის: „ რად შეეცოდე მიწასა? ნაწოვ-ნადაგი ჩვენია.“ საიქიოს კედლებს, როცა შუქი დაადგება ეს იმას ნიშნავ, რომ ეს არის უბედურთა ბედი, ხოლო როცა მინდორზე დადებულია ნისლი, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ნისლი არის ქვრივ-ობლების ცრემლი.

„ნისლი დაიდვა მინდვრებზე, ეგ ქვრივ-ობლების ცრემლია,
შუქი დაადგა კედლებსა, ეგ უბედურთა ბედია.“

(ხალხური პოეზია 1973:65)

ძმამ, რომელმაც ძმას უღალატა ჯოჯოხეთში, თან მისდევს მას ცეცხლი და გენია, ხოლო ქალს, რომელმაც ქმარს უღალატა და რომელიც ამავდროულად ორგული და ცუდი ენის პატრონია, იგი ჯოჯოხეთში სირცხვილისგან თავსაც ვერ სწევს ზემოთ (სულეთსა) (ხალხური პოეზია 1973:66). ხოლო ქალი, რომელიც ქმარს იწუნებს ჯოჯოხეთში "ბაზარგნის" ჯარს გაჰყვება. ვაჟი, რომელმაც ცოლს უღალატა უარესს შეხვდება. (ზეცას დარეკეს ზარები) (ხალხური პოეზია 1973:67). შვილი, რომელიც დედას ცუდად ექცევა და მამას გარეთ გააგდებს იმას რა მოუვა? ბედისწერა აუცილებლად წინ დახვდება და ერთი წლის სავალი გზა მისთვის ნარ-ეკლით მოიფინება, ზედ კი კუპრის ქვაბებ დადგამენ, რომელსაც გენია მოეკიდება და მასში ენას ჩაუდებენ. ვინც ნათლიდედას შესცოდავს, მას სამწვადეს გამოჭრიან, ენის წვერს გაუხვრეტენ და შიგ გაუყრიან დანის წვერს(ბეწვის ხიდზე).

„ნათლიდედის შემცოდველსა გამოსჭრიან სამწვადესა,

გაუხვრეტენ ენის წვერსა, შიგ უყრიან დანის წვერსა."

(ხალხური პოეზია 1973:71).

როგორ არის ჯოჯოხეთი მოწყობილი და სად მდებარეობს იგი, ამას ნათლად გადმოგვცემს ლექსი „გააჩინე ჯოჯოხეთი", სადაც მთქმელი მიმართავს ღმერთს და ეუბნება, რომ მან ჯოჯოხეთი გააჩინა მიწის შუაში და იგი წარმოუდგენია როგორც უფსკრული, რომლსაც არც კიბე აქვს და არც ძირი და ნაპირი. ის ისეთი ღრმაა, რომ იქიდან მტანჯველთა ხმა ზემოთ არ ამოდის(ხალხური პოეზია 1973:145).

მეორე ლექსი „ჯოჯოხეთის აშენება", აქ მთქმელი ჯოჯოხეთის გაჩენას ეშმაკს უკავშირებს. თითქოსდა ჯოჯოხეთი ეშმაკმა ააშენა. ის ძალიან ღრმაა და პირი ქვევრივით ვიწრო აქვს და იქ სხვადასხვა ცოდვს ჩამდენი სხვადასხვანაირად ისჯება. მაგალტად, მეწისქვილეს პირში სარეკი სჩრია, ფეიქარს-ყელზე ჰკიდია წნეხი, მჭედელს-თავში კვერს ურტყამენ, მღვდელს კი კუპრით აქვს გავსილი წვერი, სამშობლოს მოღალატეს კი პირში მღრღნელი უზის (ხალხური პოეზია 1973: 149-150).

სხვა გადმოცემით, ჯოჯოცეთი სამი დღის სავალზეა და მას კაკლის კარი ჰკიდია (ხალხური პოეზია 1973:152).

(რა იცის წუთისოფელმა) ჯოჯოხეთში შესვლა და იქ გზის გავლა არც ისე ადვილია, ცოდვიანს გზაზე ნარ-ეკალი უფენია, თან აქვე დგას კუპრის ქვევრებიც, რომელშიც დუღს და გადმოდს კუპრის ცეცხლი და რომელთაც შენთებული აქვთ გენია. ქვევრებს გარშემო ეშმაკები ჰყავთ მცველებად. ამ ქვევრებში არიან როგორც კაცის მკვლელებიც, ასევე ისინიც ვინც ნათლიას შეურაცხყოფას მიაყენებს. მამა, რომელიც შვილზე შესჩივლებს უფალს და მასზე ეტყვის, რომ ის ცოდვას სჩადის, მაშინ მას ხელს ჰკრავენ და ჩააგდებენ ჯოჯოხეთის ამ ქვევრებში, თან ეშმაკსაც გააყოლებენ და ეტყვიან:

„კარგა შეექე, ეშმაკო, მაგისი სული შენია; მალ-მალ ჩაასხი პირშია ნადუღი კუპრი ცხელია“. (ანთოლოგია 20010:126)

მოყმე, რომელსაც სააქაოში დიდი ქონება ჰქნდა და ჯოჯოხეთში მოხვდა, იქ მისულს თუმრე ჰკითხეს, იმ ქონებიდან რაც მან დააგროვა თან რა წაიღო? ვაჟი კი დანანებით იტყვის იმას, რომ მშივრებს პური არ აჭამა, რომ გაყინული არ გაათბო, რომ ამვლელ-ჩამვლელისთვის კარი არ გაუღია და ნეტა ეს მაინც ექნა, რომ იქნებ „ამთვენ ცოდვების მოქმედსა სულ იმით მაინც მამეგო.“ (ანთოლოგია 2010:124) (ნეტაინ სული მამეგო). ლექსი „საიქიოზედ ნანახი სიზმარი“ გვამცნობს, რომ ცოდვილი ადამიანების ნავთში არიან ჩამსხდარნი და ერთ ადგილას არიან შავ-შავი კაცები, რომელთაც თავზე ნავთი ასხიათ და დაკრეჭილი აქვთ კბილები, ხოლო ხელში უჭირავთ ლახტები.

„აქ დგას ცოდვილთა სული, ჩამჯდარ არს ნავთშია.“

(სახუმარო ლექსები 1880:10)

როგორც მ.ბალიაური და ნ.მაკალათია გადმოგვცემენ, ხევსურების წარმოდგენით ჯოჯოხეთი ბნელი ადგილია, ძალიან ცუდი სამყოფელი. იქ არც სინათლე აქვთ და არც გართობა-გახარება. იქ ცოდვიანების საწამებელია. მათ არც „ხთით შუქი ადგებათ“, არც სამზეოდან ნალოცი ტაბლა მიუდით. არც კვირაობით „ხთით ულუფა“ აქვთ გამწესებული, არ ედგმით ულუფა და ვერც მადლიან მკვდრებში გაერევიან. (მსე 1940:59)

სვანური მასალების მიხედვით, ჯოჯოხეთი მდებარეობს სამოთხიდან მოშორებით და ეს არის ერთი კუნჭული, სადაც განუწყვეტლივ წყვდიადია. აქ არის ასევე ფისის ტბაც. ეს არის სამყოფელი წაწყმედილი სულებისა. ისინი ვერ ხედავენ ვერც ქრისტეს, ვერც მის

ნათელსა და ტაბაკს. ისე ბნელა, რომ იქ ეერთი მეორეს ვერ არჩევს. ზოგიერთი სვანის აზრით, საკურთხი მათაც მისდით, მაგრამ ყველაფერი უშნო და უგემურია, რადგანაც ბნელშ უნდა მოიხმარონ. ზოგის აზრით, მათთვის დამზადებული საკურთხი ქრისტეს განკარგულებით იმ ცხონებულ სულებს ურიგდებათ, რომელთაც ამ ქვეყნად ჭირისუფალი არ ჰყავთ, რომ საკურთხი გაუმზადონ. სვანებს ისიც სწამთ, რომ, თუ ჭირისუფალი საკურთხს ხშირად გაუკეთებს წარწყმედილ, ანუ დაკრგულ სულს, მაშინ ამ უკანასკნელს ქრისტე შეუნდობს ცოდვებს და სამოთხეში გადაიყვანს. ასევე შეიძლება წარწყმედილი სული სამოთხეში გადავიდეს, თუ მართალნი შესთხოვენ მის იქ გადაყვანას ქრისტეს. ხოლო ფისის ტბაში არიან ისინი, ვინც მირონი გატეხა. (ნიჟარაძე 1962: 179) ჯოჯოხეთის სიბნელესთან დაკავშირებით თავის სტატიაში ტ.მახაურს მოჰყავს ერთი მაგალითი რომლის მიხედვითაც, ადამიანი თუ დიდ დანაშაულის ჩაიდენდა, ერთი წელი სიბნელეში უნდა მჯდარიყო. მას ამ ქვეყნად უნდა გამოეცადა ჯოჯოხეთი, რათა გაწმენდილიყო და იმ ქვეყნად მართალი წასულიყო (მახაური 2011:136)

ბ. ნიჟარაძის ცნობით, სვანებისთვის დიდი ცოდვა არის კაცის მოკვლა და სამან-სამძღვრის არევა. კაცის მკვლელი ისჯება იმით, რომ მოკლულის სული მუდამ უკან დასდევს მკვლელს. მკვლელი ცდილობს დაემალოს სადმე, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგანაც ეს ქრისტეს ბრძანებაა. სხვის ადგილების საზღვრების მიმთვისებელი, მომპარავი კი ასე ისჯება: ასეთ კაცს მუდამ ჰკიდია მიწით სავსე გოდორი და გაუჩერერებლივ დარბის. საზღვრის პატრონის გარდა, ყველა მიცვალებულის სული მიწით სავსე გოდორს ურტყამს ჯოხს. ამ ცოდვის ჩამდენმა მუდამ უნდა ირბინოს. თუმცა ამ სატანკველისაგან თავის დახსნაც შეიძლება , თუ მიცვალებულის სული ოჯახის წევრს გამოეცხადება და სთხოვს საზღვარი პირვანდელ მდგომარეობაშ დააბრუნოს. ცოდვებისთვის როგორიცაა: ქურდობა, მრუშობა, ცილის წამება, პირუტყვის ცემა - შიმშილი, უქმე დღეებში მუშაობა, უმწეო ადამიანის დაჩაგვრა და ა.შ. სასჯელი ასეთი ცოდვებისთვის მსუბუქია. ამ ცოდვების ჩამდენი კაცი საიქიოში იმით ისჯება, რომ ქრისტესთან ახლო მისვლა და იმის აუღებელ ტაბაკთან ჯდომა არ შეუძლია (ნიჟარაძე 1962: 180-182).

ინგილოების წარმოდგენით საიქიოში ლეკები შიშვლები არიან, რადგან შიშვლად იმარხებიან. მხოლოდ სასირცხვო ადგილები აქვთ დაფარულ. მათ არც სამელი აქვთ და არც სასმელი. შიმშილისგან გული მისდით, მართალია ქრისტიანებს სთხოვენ ყელ-გამოღებულები საჭმელს, მაგრამ საიქიოში წესად არ არის რაიმეს მიცემა. ამიტომაც ისისნი ქრისტიანებს საჭმელს ჰპარავენ. თუ დაიჭირეს, მაშინ ქრისტიანები შორს განდევნიან მათ. ცოდვილი დასაფლავების შემდეგ გაცოცხლდება, ან გაღორდება, ან გააფრდება (თაყაიშვილი1913:167-168).

გარდა ხალხური ლექსებისა და ეთნოგრაფიული ცნობებისა, ჩვენ განვიხილავთ ასევე ზღაპრებს: „უცნაური ძილი“, „ჟუჟუნა მეფე“.

ზღაპარი „ უცნაური ძილი“ მოგვითხრობს ერთ კაცზე, რომელსაც სასწაულად დაეძინა. არც მკვდარი იყო და არც ცოცხალი. დიდი ხნის შემდეგ როგორც იქნა გამოფხიზლდა და მოჰყვა მისი თავლით ნანახ საიქიოზე. იქ ის ანგელოზებმა აიტაცეს, მაგრამ ბეწვის ხიდთან მისულს მისი ცოდვების ავგაროზი გადმოუშალეს წინ. ეშმაკებმა და ანგელოზებმა დაიწყეს ანგარიში. ბეწვის ხიდისკენ რომ გაიხედა ზღაპრის გმირმა, დაინახა უფსკრული, რომელზეც ობობების ქსელი იყო გაბმული და რომლისგანაც გუნდა-გუნდად ამოდოდა კვამლი, ისმოდა აურზაური, კივილ-წივილი და ა.შ. შემდეგ გმირი ჰყვება ბეწვის ხიდზე შემდგარი, როგორ ჩავარდა ბეწვის ხიდიდან და აღმოჩნდა კუპრის ტბაში, სადაც ნაცნობი მეზობელი შეხვდა, რომელიც იდგა ხუცესის ტანზე. იმ ადამიანის ტანზე, რომელიც არიგებდა, როგორ უნდა ეცხოვრა (თაყაიშვილი 1909: 39-41).

ხოლო სხვა ზღაპარი „ჟუჟუნა მეფე“, მოგვითხრობს მეფეზე, რომელიც განცხრომით ცხოვრობდა, მაგრამ თუ ვინმე მასთან თხოვნთ მივიდოდა, არავის ეხმარებოდა. უკან უშვებდა მიზეზით ისედაც ბევრი საზრუნავი მაქვსო, მაგრამ მოვიდა მისი აღსასრლი და ყველამ ვინც სიცოცხლეში მის გვერდით იყო მიატოვა. ირგვლივ მხოლოდ სულთამხუთავი ეშმაკები დარჩა, რომლებმაც პირში ჩანგალი ჩაუყვეს და სული ამოაცალეს. როდესაც მისი სული ღმერთთან სამსჯავროზე მივიდა, მეფემ მოუყვა მას მთელი მისი ცხოვრების შესახებ. ღმერთმაც ჟუჟუნა მეფის სული სასწორზე შედო. სასწორის მეორე მხარეს ეშმაკებმა მისი ცოდვების ავგაროზი შედეს. ცოდვებმა სძლია

და მეფის სულიც წივილ-კივილით წავიდა ჯოჯოხეთისკენ, იქ ადუღებულ კუპრში ჩავარდა და გამოუთმელი ტანჯვით იტანჯებოდა (თაყაიშვილი 1909:141-143).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენები ჯოჯოხეთზე მეტად მრავალფეროვანია, რადგანაც ჯოჯოხეთი ცუდია და რატომ არის ჯოჯოხეთი ცუდი? იმტომ რომ იქ ეშმაკები ბინადრობენ და სადაც ეშმაკია იქ ბოროტებაა. უნდა იტქვას, რომ ჯოჯოხეთის ხალხურ წარმოდგენებში უფრო უკეთა აისახა რელიგიური წარმოდგენები, ვიდრე ეს სამოთხისებურ წარმოდგენებში მოხდა. ხალხმა ჯოჯოხეთზე წარმოდგენებისათვის, რელიგიური ცნობებიდან ბევრი ხალხური ლექსის სიუჟეტისათვის აიღეს ფაბულა, რომლებიც შემდეგ გადაასხვაფერეს, მაგრამ თუ ღრმად ჩავალთ ტექსტის ანალიზისას, მათ შორის მსგავსებას ადვილად შევნიშნავთ. აქვე, უნდა აღვნიშნოთ, რომ სიზმრათ ნანახი საიქიო ცოტათი განსხვავდება ჩვენ მიერ წარმოდგენილი მაგალითებისაგან. მაგალითად, ანდრეზების მიხედვით, საიქიოს მომხილველს ეკრძალება საიდუმლოს განთქმა. საიქიოში დაუშვებელია ქურდობა და ღალატი. ჭრელა მურღუევის თქმით, „კაცსა არცა რა უნდა მაჰპაროო, არ უნდა უღალატოო. უნდა იყო ისეო, თავის შრომითა, თავის წვალებითაო.“ ამის შემდეგ, როგორც წესი, საიქიოს მომხილველი ჰყვება ცოდვილი ადამიანების გასაჭირს. (ანდრეზები:2009:268).

კავკასიის ხალხთა ეპიკურ ტექსტებში მრავალფეროვანი სცენებით არის წარმოდგენილი საიქიო. ნაწარმოებების მიხედვთ, საიქიოში არაერთ გმირს უმოგზაურია. ასეთია ოსური ეპოსის სოსლანი, რომელმაც იმისთვის იმოგზაურა, რომ იქიდან აზა მცენარის ფოთლები ამოეტანა, ამასთან ერთან ნახა საიქიოს მოწყობა. მართალია ცოცხლები იქ ვერ შედიან, მაგრამ როცა ამინონმა(მეკარემ) კარები არ გაუღო ნებით, მან შეამტვრია. „ კარს იქით რომ მოხვდა, ხედავს მის შესახვედრად უამრავი ხალხი მოიწევს, სულ იარაღასხმულნი. იწევენ სოსლანზე, ემუქრებიან: - შავი დღე დაგიდგეს, სოსლან, ჩვენ ხომ შენ გეძებთ, ახლა სადღა წაგვიხვალ?!- მიიწევენ სოსლანზე,მაგრამ ვერ სწვდებიან, ხელსაც ვერავინ უწვდენს.“ (ნართები1977:72). სოსლანის საიქიოში მოგზაურობა და, ზოგადა, საიქიოს სცენები ოსურ ეპოსში

ქრისტიანული რელიგიის ძლიერ ზეგავლენას ამჟღავნებს. იქ მართალნი ნეტარებენ და ცოდვილნი ტიანჯებიან.

ინგუშური მითოსის მიხედვით, საიქიოში მიმოსვლის უნარს ფლობს ბათოყო შერთუყო. გადმოცემა მას მიაწერს მიცვალებულის სახელზე საკლავის დაკლავის ტრადიციას.

ბათოყო შერთუყომ ორხუსთოელები იხსნა სიღარიბისგან, ამიტომაც ის გახდა სახელოვანი. მას შეეძლო ნებისმიერ დროს გამგზავრებულიყო საიქიოში და დაბრუნებულიყო უკან. ინგუშური ნართული თქმულების მიხედვით, ნართ-ერხუსთოელებში ქელეხის გადახდის წესი ბოთოყო შერთუყომ საამკვიდრა.

ინგუშური ნართული თქმულების მიხედვით, ერთ-ერთ ორხუსთოელ გმირს გარდაეცვალა დედა. ორხუსთოელი ძლიერ მწუხარებაში ჩავარდა. ბათოყო შერთუყომ მას უთხრა: თუ გინდა, რომ შენი მწუხარება შეიმსუბუქო და დედაშენსაც დაეხმარო, მაშინ შენი პირუტყვებიდან დაკალი ერთ-ერთი და ის დედაშენს იმ ქვეყნად მიუვა. ორხუსთოელმა ვაჟკაცმა არ დაუჯერა ბათოყოს და იმის დასამტკიცებლად, რომ რასაც ბათოყო ამბობდა, სიმართლე იყო, ორხუსთოელი გაემგზავრა საიქიოში იმ ადამიანთან ერთად, რომელსაც გმირი ენდობოდა. იმ ქვეყნად ჩასულებმა ნახეს, რომ ბოთოყო სიმართლეს ამბობდა. ორხუსთოელი დარწმუნდა, რომ დედის სახელზე დაკლული პირუტყვი საიქიოში უკლებლივ მიუვიდოდა მიცვალებულს. ამის შემდეგ ჩეჩნებში დამკვიდრდა მიცვალებულის სახელზე პირუტყვის, საქონლის შეწირვის ტრადიცია (далгат 1972:296).

საინტერესოა, რომ იომი ან იომი-ნო-კუნი (**Yomi** / **Yomi-no-kuni** (黄泉, 黄泉の国, or 黄泉ノ国) იაპონურ მითოლოგიაში არის მკვდართა მიწა (სიბნელის მიწა). შინტურ მითოლოგიაში მას კოჟიკი (Kojiki) ეწოდება და ეს არის ადგილი, სადაც მიცვალებულები მიდიან გარდაცვალების შემდეგ. თუ ვინმე შეჭამს Yomi-ს ცენტრში, ის უკან, ცოცხლების მიწაზე ვეღარ დაბრუნდება. მიცვალებულთა სამეფო არ განიხილება როგორც სამოთხე, მაგრამ მას ვერ აღვწერთ როგორც ჯოჯოხეთს, რომელშიც იტანჯებიან ადამიანები თავიანთი ცოდვების გამო. ამ ადგილას მიცვალებულები არიან სამუდამო სიბნელეში,

რაც არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იცხოვრეს მათ სიცოცხლეში (https://en.wikipedia.org/wiki/Yomi).

მაშასადამე, ჯოჯოხეთი ქართულ ხალხურ პოეზიაში, წარმოდგენილია მეტად მრავალფეროვნად და ეს წარმოდგენები პარალელს პოვებენ, როგორც აპოკრიფ ტექსტებთან, ასვე კავკასიის ხალხში გავრცელებულ თქმულებებთანაც.

V თავი

„სხვა სამყარო“ ქართულ ხალხურ ჯადოსნურ ზღაპრებში

„სხვა სამყარო“ / „სხვა სამეფო“ უაღრესად თვალსაჩინოა ჯადოსნურ ზღაპრებში. იგი მეტად აქტუალური თემაა. ამ საკითხზე არაერთ მეცნიერს დაუწერია მონოგრაფია თუ სტატი. იმ მრავალრიცხოვან მეცნიერთა შორის, რომლებიც იკვლევენ ზღაპარში „სხვა ქავეყანას“, აღსანიშნია რუსი მეცნიერები ევგენი ტრუბეცკოი და ვლადიმირ პროპი, რომელთაც საკმაოდ ვრცელი გამოკვლევები მიუძღვნეს რუსული ჯადოსნურ ზღაპრებში „სხვა ქვეყნას“. ამ მიღმურ სამყაროს კი მოიხსენიებენ როგორც : „Иное“, „Небывалое“, „Тридесятое“ სახელმწიფოს ან „нового место“-ს სახელით. ტრუბეცკოიმ და პროპმა გამოიკვლიეს რა არის სხვა სამყარო, საიდან იწყება, როგორ არის მოწყობილი, რა საშუალებებით ხდება იქ მისვლა და მთავარი ამ ყველაფერს შორის, რტომ მიისწრაფვის გმირი „მიღმური“ სამყაროსაკენ.

ე. ტრუბეცკოის აზრით, „სხვა“ ქვეყანას ეძებს ყოველდღიური ცხოვრებით დაუკმაყოფილებელი გმირი. ვინ არის ზღაპარში ასეთი პერსონაჟი? ესენი არიან: ღატაკები, შევიწროვებულნი და ნაწყენი ადამიანები, ბოროტი დედინაცვლის სიძულვილის მსხვერპლნი, დის შურიანობის მსხვერპლნი, ძმებისა და საერთოდ ბოროტი ულმობელი ხალხის მსხვერპლნი (Трубецкой 1922: 4-5). თუ დავუკვირდებით ზღაპრებს, დავინახავთ, რომ ეს ეხება არა მხოლოდ რუსულ ზღარებს, არამედ ეს მოტივი უნივერსალურია. ამ თემაზე შექმნილია არაერთი ქართული ზღაპარი. მაგალითად, ზღაპარი „სიზმარა“, მოგვითხრობს გერისა და მისი დედინაცვლის დამოკიდებუ-ლებაზე, რომ დედინაცვალს არ უყვარს სხვისი შვილები, მას ცუდად ექცევა და პატარა რამის გამოც კი შეიძლება სახლიდან გააგდოს. თუნდაც იმ მიზეზით, რომ გერი დედინაცვალს არ აძლევს სიზმარს.

ზღაპარში ყველაფერი იწყება მაშინ, როცა გმირი გადის სახლიდან და მთავრდება მაშინ, როცა ის შინ ბრუნდება, მაგრამ სად მიდის ის? ე. ტრუბეცკოი წერს, რომ მათ, ზღაპრის გმირებმა, თვითონაც არ იციან სად მიდიან, თუმცა მათ სწორედ ეს იდუ-მალება იზიდავთ, ამიტომაც არ იციან სად მიდიან და ზოგჯერ ისიც არ იციან რას ეძებენ. აქედან

გამომდინარე „სხვა“ სამეფოს აქვს სხვადასხვა სახელები და იქ მისასვლელად საჭიროა ოცდაათი დღე და ოცდაათი ღამე, ან ირიბი გზით - სამი წელი, პირდაპირი გზით - სამი საათი, თუმცა პირდაპირ გზაზე სავალი არ არის. კითხვაზე - რა მანძილია ახალ სამეფომდე, ზღაპრის გმირს სამხრეთის ქარი პასუხობს, რომ ფეხით ოცდაათი წლის სავალია, ფრთებით - ათი წლის, ხოლო მისთვის ეს სამი დღის სავალი გზაა. და მაინც, სად არის ეს ქვეყანა? იგი მდებარეობს ქვეყნის დასასრულს, იქ სადაც წითელი მზე ამოდის ლურჯი ზღვიდან. ეს არის მზიანი წყლის ჰორიზონტის ხაზი, ზოლი, ქვეყანა სადაც ღამეს ათევს მზე. ახალ სამეფოში მისაღწევად კი გმირმა უნდა გადალახოს დაბრკოლებები, პირველ რიგში, ეს არის უსასრულო მანძილი, რომელიც აშორებს სინამდვილეს „ჯადოსნურ სამყაროსთან“ (Трубеукой 1922:15-17).

ე. ტრუბეცკოისთვის „სხვა“ სამყარო შეიმეცნება მხოლოდ მისკენ ლტოლვაში, თავად ფაქტში ზეაღსვლისა ყოველდღიურობიდან, რადგან ეს ზეაღსვლა შეუძლებელია შინაგანი გასხივოსნების გარეშე (ტრუბეცკოი 1991: 63).

ე. ტრუბეცკოის გამოკვლევა მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც მეცნიერი სხვამს კითხვებს და თვითონვე სცემს ამ კითხვებს პასუხს. ამ თავის, კვლევის, მთავარი კითხვა იყო, გაგვერკვია რა იწვევს მისწრაფებას „სხვა ქვეყნისაკენ“, რატომ უჩნდება გმირს სურვილი დატოვოს თავისი ყოველდღიური ყოფა და წავიდეს იქ საიდანაც ვერ დაბრუნდება. ამასთან დაკავშირებით, ე. ტრუბეცკოი წერს, რომ გმირში „სხა სამყაროსკენ“ სწრაფვას იწვევს ზიზღი იმ ყოველდღიური ცხოვრებისადმი, რომელშიც არც ნამდვილი სიკეთე არსებობს და არც ბოროტება. იგი გარბის ყალბი სამყაროსგან შორს. გმირი მიისწრაფვის რათა აღმოაჩინოს სინამდვილე. გაიგოს ცუდი და კარგი. ეზიაროს მწუხარებასა და სიხარულს. გმირს უმძიმს,, მისთვის აუტანელია ის ყოფა, რომელშიც იმყოფება. ეს წლების მანძილზე გროვდება და გმირი საბოლოოდ სახლიდან მიდის (ტრუბეცკოი 1961 : 60).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შევეცდებით წარმოვადგინოთ, როგორ არის ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში „სხვა სამყარო“ წარმოდგენილი. თუმცა, ამის კვლევაში, ასევე აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ ვ. პროპის „ზღაპრის მორფოლოგია“, კერძოდ მისი კვლევა მოქმედ პირთა ფუნქციებზე. მე-11 ფუნქციის მიხედვით, გმირი ტოვებს

სახლს, თუმცა ეს წასვლა სულ სხვანაირი წასვლაა და იგი არ ნიშნავს სახლის დროებით დატოვებას. იგი არ ნიშნავს გმირის გზას, მიუხედავად იმისა, მძებნელია იგი, თუ არა. ზოგიერთ ზღაპარში არ გვხვდება გმირის სივრცობრივი გადაადგილება და ყველა მოქმედება ერთ ადგილას ხდება, ზოგჯერ კი პირიქით, გაგზავნა ძლიერდება და მას გაქცევის ხასიათი ეძლევა (პროპი 1984: 82), ხოლო მეორე ფუნქცია, რომლის მიხედვითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, არის მე-15 ფუნქცია, რაც გულისხმობს შემდეგს: გმირს გადააფრენენ, გადაიყვანენ, მიიყვანენ იქ, სადაც საძებნელი საგანია, რადგან ჩვეულებრივ საძებნელი ობიექტი „მეორე", „სხვა" სამეფოშია, რომელიც შეიძლება მდებარეობდეს ან ძალიან შორს ჰორიზონტალურად, ანდა ძალიან ზევით ან ქვევით ვერტიკალურად.

1. ის მიფრინავს ჰაერში
2. იგი მიემგზავრება ხმელეთით ან წყლით
3. ის მიჰყავთ
4. მას უჩვენებენ გზას.
5. იგი იყენებს მიმოსვლის უძრავ საშუალებებს
6. მიდის სისხლიან ნაკვალევზე

(პროპი 1984: 92).

კვლევისათვის გამოვიყენებთ ქართული ხალხური ზღაპრების სამ სხვადასხვა გამოცემას. პირველი ეს იქნება ალექსანდრე ღლონტის, მეორე - თედო რაზიკაშვილისა და მესამე - ელენე ვირსალაძის რედაქტორობით გამოცემული ზღაპრები. სანამ ზღაპრების ანალიზზე გადავალთ, ჩვენ გვჭირდება გეგმა, რის მიხედვითაც უნდა აღმოვაჩინოთ ზღაპარში „სხვა" სამეფო, ამაში კი უნდა დავიხმაროთ ვ. პროპი, რომელმაც წიგნის „ჯადოსნური ზღაპრის ისტორიული ფესვები" მე-8 თავში, სხვადასხვა ხალხთა ჯადოსნური ზღაპრის ანალიზის საფუძველზე განხიხილა რას წარმოადგენები არსებობს სხვა სამყაროზე და სად მდებარეობს, საიდან იწყება ის.

მისი თქმით, „სხვა" ქვეყანას მართავს ამაყი და ძლიერი დედოფალი, სადაც ასევე ბინადრობენ ქვეწარმავლები (გველეშაპები). ამ სამეფოში კი ზღაპრის გმირი მიდის მოტაცებული მზეთუნახავის გამოსახსნელად, ან გამახაალგაზრდავებელი ვაშლისთვის,

ან უკვდავების წყლისთვის, რომელიც იძლევა მარადიულ ახალგაზრდობას და ჯანმრთელობას, ან უცნაური საგნებისთვის. ეს „სხვა“ სამყარო იწყება გაუვალი ტყით, ან ზღვით, ან ცეცხლმოდებული მდინარით, რომელზეც აუცილებლად ხიდია გადებული და რომლის ქვეშაც იმალება გველეშაპი, ან ეს არის ქვესკნელი, სადაც გმირი ან ვარდება, ან თავისი ფეხით ჩადის (Пропп 1946:260).

„სხვა სამყაროს“, როგორც დაფარულსა და მიღმიურს, სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ადამიანი სხვადასხვანაირად გაიაზრებს. მაგალითად, მონადირისთვის ის სხვანაირად იქნება წარმოდგენილი და მიწის მუშისთვის - სხვანაირად, რადგანაც ადამიანს იმ სამყაროში გადააქვს არა მხოლოდ თავისი ცხოვრების წესი, არამედ მას იქ გადააქვს თავისი ინტერესები და იდეალები (Пропп 1946: 266-276). ჯადოსნური ზღაპრების მიხედვით, მაინც სად უნდა ვეძებოთ და როგორია სხვა სამყარო?

უკვდავების ვაშლი

პირველი ასეთი ადგილი, სადაც „სხვა ქვეყანას“ ვხვდებით არის ის სივრცე, სადაც მოიპოვება უკვდავების ვაშლი.

ზღაპარი „მეჩონგურე“ მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ ზღაპრის გმირი, რომელსაც სურდა მეფის ასულის ცოლად შერთვა, წავიდა უკვდავების ვაშლის მოსატანად. მან ცხრა მთა გადაიარა და მიადგა ბაღს, რომელიც ისეთი მაღალი კედლით იყო შემოღობილი, რომ მასზე ჩიტიც კი ვერ გადაფრინდებოდა, ამასთან ბაღს შესასვლელიც კი არ ჰქონდა. მეჩონგურე ამ სანახაობამ ძალზედ დაანაღვლიანა და დაიწყო სიმღერა. მისმა ტკბილმა ხმამ ქვეყნიერება დაატკბო, ირგვლივ ყველაფერმა შეწყვიტა მოძრაობა. მაშინ სალი კლდის კედელიც გაიხსნა და გამოჩნდა ყვავილებით მოფენილი გზა, რომელმაც მეჩონგურე ბაღში მიიყვანა. იქ მან ნახა უკვდავების ვაშლის ხე, რომელსაც მცველად გველეშაპი ჰყავდა (ღლონტი 1975: 21). თუმცა, უფრო მძაფრად აღგვიწერს ამ ადგილს ზღაპარი „დღისით მკვდარი“, რომლის მთავარი პერსონაჟია სოვდაგრის უმცროსი ქალიშვილი, რომელმაც მოისურვა ნატვრის ამასრულებელი ვაშლი, რომელიც მხოლოდ ერთ ბაღში იდგა და ეს ბაღი მდებარეობდა

აღმოსავლეთისაკენ. ამ ბაღს ჰქონდა გველების ღობე, თვითონ ვაშლის ხეს კი მცველად ჰყავდა პირდაღებული ვეშაპები. შუადღეზე მზე რომ მაღლა აიწევდა და დაცხებოდა, გველებსა და ვეშაპებს ეძინებოდათ. იქ მისასვლელად ზღაპრის გმირს ერთი თვე დასჭირდა. იქ მისულს კი შემდეგი სანახაობა დახვდა: ბაღში იდგა ერთადერთი ვერცხლის ხე, რომელსაც ზურმუხტის ფოთლები ესხა, მსხვილ-მსხვილი ვაშლები ერთ მხარეს ლალის ფერი იყო, მეორე მხარეს - ალმასის. მაგრამ ვაშლის მოპარვა იქიდან არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა, რადგან ვაშლის მოკრეფვისთანავე მთელი გველეთი აიშალა, გველეშაპებიც წივილ-კივილითა და ყვირილით გამოეკიდნენ ზღაპრის გმირს. ამასთანავე, რაღაც უცნაური ხმა გაიძახოდა: „გადაყარე ვაშლები, თუ არა დაიღუპები!“ (ღლონტი 1975: 31).

ზღაპრების ანალიზმა აჩვენა, რომ ვაშლის ხეს შეიძლება ჩაენაცვლოს ბროწეული, როგორც ეს მოხდა ზღაპარში „გაუცინარი ხელმწიფე“, მაგრამ ეს ადგილი რაიმე განსაკუთრებული თვისებით არ გამოირჩევა. უბრალოდ ვაშლის ნაცვლად ბროწეულის ხე იდგა დევების საცხოვრისში (ღლონტი 1975: 121). მართალია, დევების საცხოვრისი ადამიანთა საცხოვრისისგან განსხვავებული სივრცეა, მაგრამ ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპრები აგებულია დევებთან ბრძოლის ეპიზოდებზე. დევისგან გამოსახსნელია საცოლე, დედა, ნატვრისთბალი და სხვ. ჩვენი კვლევის საგანს კი წარმოადგენს ის სივრცე, რომელიც ყოველთვის არ შეგვხვდება ზღაპარში. ხშირად ისე აღმოჩნდება ხოლმე, რომ ერთი განსხვავებული სივრცე, გმირს მეორე სივრცეში გადაიყვანს ხოლმე, რომელიც ასევე „სხვა“ სამყაროდ უნდა მივიჩნიოთ.

ტრიალი მინდორი

ტრიალი მინდორიც გამორჩეული სივრცეა, რომელიც შეიძლება ჩაანაცვლოს ტყემ, თუმცა ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში ტყე, როგორც „სხვა“ სამყაროს ნაწილი, არ გვხვდება. ზღაპრების მიხედვით, მინდორი განსაკუთრებული სივრცეა. ტექსტების მიხედვით, იქ დგას ტაძარი, რომელშიც მცხოვრები ზღაპრის გმირი აუცილებლად, დღისით მკვდარია და ღამით ცოცხლდება. ტაძარში სუფევს სამოთხისებური ყოფა,

რადგან იქ მცხოვრებ გმირს სუფრა აქვს გაშლილი და რამდენიც არ უნდა ჭამოს, პურ-ღვინოს არაფერი აკლდება. იქ სანთელიც კი თავისით ინთება (ღლონტი 1975:32).

თუმცა შეიძლება ტრიალ მინდორში მდგარი სახლი გამოხატავდეს „სხვა სამეფოს“. მაგალითად, ზღაპარში „ილანკუღა“, ტრიალ მინდორში მდგარი სახლი არის ეშმაკების საცხოვრებელი ადგილი. სახლში მშვენიერი ცეცხლი ანთია, სამი შამფური მწვადი თავისით იწვის. სახლის ერთ კუთხეში ტახტი იდგა, კედელზე ერთი ხმალი, ერთი ქუდი და ერთ ხელსახოცი ეკიდა (ღლონტი 1975: 93). აქ, როგორც ვხედავთ, ეშმაკების სახლში არის მოჩვენებითი მშვენიერება, ყველაფერი ეფემერულია.

ქაჯების საცხოვრებელ ადგილადაა მინდორში მდგარი სახლი წარმოდგენილი, ასევე ზღაპარში „ხელმწიფის მზეთუნახავი ქალისა“, რომლის გმირი მზეჭაბუკიც ქაჯებს ჰყავთ დატყვევებული, რათა მათ ემსახუროს. თუმცა ჩვენ ამ ზღაპარში ვხვდებით, ამ სივრცის განადგურების ფაქტს. გმირი აკეთებს თავისი თავის მსგავს გამოსახულებას ერთი კონა ჯარჯისგან, რომელსაც აგდებს საკირეში. ამას იგრძნობენ ქაჯები და გმირის საშველად ფიტულს თან ჩაჰყვებიან, თუმცა ისინიც ფიტულთან ერთად იწვეიან (ქართული ზღაპრები 1951: 259).

მზის სამეფო

მზის სამეფოში ზღაპრის გმირი ყველაზე ხშირად მიდის, რათა დღისით მკვდარი და ღამით ცოცხალი საქმრო გადაარჩინოს. იქ მისასვლელად ზღაპრის გმირს წლები სჭირდება. იმდენი ხანი უნდა იაროს სანამ მხლებლები არ დაეხოცება, თვითონ კი ტანსაცმელი არ დაეხევა და არ დაგლახაკდება. მზის სამეფოდან კი მოაქვს მზის პირის ნაბანი, რომელსაც შეუძლია მიცვალებულთა გაცოცხლება (ღლონტი 1975:35).

ზღაპარი „მზის ქალი“, მზის სამეფოს ადგილმდებარეობასა და მის აღწერილობას შემდეგნაირად გვაძლევს. ზღაპრის გმირმა, მზის ასულის ქმარმა, მრავალი ქვეყანა გაიარა, მანამ სანამ არ გაათავა სახმელეთო და არ მიადგა იმ ადგილს, სადაც მზე და მთვარე ერთად იყვნენ. მზის სამეფოს ბაღი მშვენიერი რამ იყო, იქ მდგარი ხეებიდან

ზოგი მწვანე იყო, ზოგი მაშნ ყვაოდა, ზოგი მაშნ იფოთლებოდა, ზოგს კი ფოთოლი ჩამოსდიოდა. ბაღში მგელი და ელია ერთად არიგებდნენ საჭმელს (ღლონტი 1975:110).

უნდა აღინიშნოს, რომ მზის სამეფოშ, შეიძლება არა საცოლე, ან საქმრო წავიდეს, არამედ ვაჟიც, რათა მამას დაეხმაროს. ამ სიუჟეტზეა აგებული ზღაპარი „ქვადქცეული ვაჟისა“. თუმცა ანსხვავებას ვხხდებით ამ ზღაპარში, სხვა ზღაპრებისგან. აქ გმირი მზის სამეფომდე მიღწევამდე, გადის ისეთ ადგილებს რომლებიც აღჭურვილია საიქიოს ელემენტებით. ასე მაგალითად, ვაჟი მინდორშ ნახულობს მეგუთნეებსმ, რომლებაც გუთნები, უღლებიც, ტაბაკებიც, აპეურებიც სულ რკინის აქვთ. ხოცავენ ცხრა უღელ ხარსა და კამეჩს მუშაობით, მაგრამ ერთი ხნულის გავლებას ერთ დღეს ანდომებენ. გასცდება მათ და ერთ მინდორშ შეხვდება მეცხვარეებს, რომლებსაც ისეთი ცხვრები ჰყავთ, რომ მატყლი მიწაზე დასთრევთ, ამის გამო ცხვრები სიცხით იხოცებიან. მატ გასცდა და ბევრი იარა თუ ცოტა, მიადგა ირემს, რომელსაც ცხვირი მიწაზე დაუდვია და რქა ცისთვის მიუბჯენია. ვაჟი ირმის რქებით ავიდა მზის სამეფოში (ქართული ხალხური ზღაპრები 1951:228).

უნდა ღვნიშნოთ, რომ ირემი თავისი რქებით განასახიერებს მზის სხივებს. მითოლოგიაში მკვლევართა მიერ შენიშნულია, მზისა და ირმის სიმბოლიკის სიღრმისეული იდენტობა. მაგალითად, ფარნავაზი სიზმარში ნახულობს, რომ მზის ცვრით იბანს პირს, ცხადში კი ირემს მიჰყავს გამოქვაბულში.

წყალი

ზღვის ნაპირი, როგორც ამ ქვეყნისა და იმ ქვეყნის გასაყი წარმოადგენს სხვა სამეფოს. ჯადოსნური ზღაპრის „ირმისას“ მიხედვით, მის ქვეშ ცხოვრობენ დევები (ღლონტი 1975:46). უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ეპიზოდი არაა უცხო ოსური ნართების ეპოსისასთვის. ზღვის სამეფოშ ცხოვრობენ დონბეთირები, სადაც ოსური ნართების ეპოსის გმირი ახსართაგი, მას შემდეგ მოხვდა, რაც დარაჯობდა ნართების ბაღში მდგარ ვაშლის ხეს, რომლის ყვავილიც ცისფრად ბრწყინავდა და მხოლოდ ერთ ცალ ნაყოფს ისხამდა. ბაღს ირგვლივ ირმის რქების მაღალი ღობე ერტყა. ამ ვაშლის ხის ნაყოფის

მოსაწყვეტად კი სამი ფრინველი მიფრინდა. ერთი ახსართაგმა დაჭრა ისრით, მის სისხლის კვალს გაჰყვა. კვალმა კი ზღვის პირას მიიყვანა (ნართები1977:6). ზღაპარში „ირმისა“, ირმისამაც ზღვის ნაპირზე მგომი ვაშლის ხიდან ვაშლები მოწყვიდა და მხოლოდ ამის შემდეგ ამოვიდა წყლიდან დევი, რომელსაც ირმისა შეებრძოლა.

ზღა ქართული ზღაპრისათვის არ უნდა იყოს დამახასიათებელ, რადგან ზღვა უცხო სტიქიაა. ის ანტაგონისტია - ქაოსის სიმბოლო, რომელიც უცხოა ქართუ-ლისათვის, თუმცა მაინც გვხვდება ქართულ ფოლკლორში. კერძოდ, თამარის მითოსთან, როდესაც თამარი ებრძვის ზღვას.

„ზღვასაც კადაჰკრა ჩიქილა,

გადააქანნა წყალნია,

შუა ზღვას ჩადგა სამანი,

არ გადმოსცილდეს ცვარია“

(ქართ.ხალხ.საისტ.სიტყ. 1961:206).

ზღვა გვხვდება, ასევე, ამირანის ეპოსში, ყამარის საცხოვრებელი ადგილი არის ზღვაში. მისი კოშკი ცასაა ჯაჭვით გამოკიდებული.

ზღაპარში „მიწა თავისას მოითხოვს“, უკვდავების მაძიებელი ბიჭი ბევრი სიარულის შემდეგ მიადგება ზღვის ნაპირს, რომელსაც სამი დღე უარა გარშემო. მესამე დღეს შორს ბრჭყვიალა სარკე დაინახა. ვაჟი მივიდა მასთან და აღმოაჩინა მინის სახლი. სახლს კარი არ ჰქონდა, თუმცა ერთან სახლს პატარა ხაზი ჰქონდა. ხაზთან მივიდა და აღმოჩნდა ზღაპრის გმირი სახლშ, სადაც ნახა ლამაზი ქალი, რომელიც შექმნის პირველ დღეს იყო გაჩენილი. ამ ქალთან წლები - წუთებივით გადიოდა. ვაჟი ვერც მიხვდა ისე დაჰყო მასთან ათასი წელი (ღლონტი 1975:81).

მეტად საინტერესო პარალელის გავლება შეგვიძლია იაპონურ მითოლოგიასთან. ხალხის რწმენა-წარმოდგენით წყლის ქვეშ არსებობს დრაკონის სასახლე - **Ryūgū-jō** (竜宮城, 龍宮城,). ლეგენდის თანახმად, სასახლე აშენებულია წითელი და თეთრი მარჯნისგან, ან მყარი კრისტალისგან. ზოგიერთი ლეგენდის თანახმად სასახლის ოთხი მხარე გამოხატავს წელიწადის სხადასხვა სეზონს. სასახლე მართლაც „სხვა ქვეყანას“ წარმოადგენს, რადგანაც ლეგენდის თანახმად სასახლეში გატარებული დღე

უტოლდება საუკუნეს, რომელიც გადის მის საზღვრებს გარეთ. ამ სასახლეში ცხოვრობენ რუჯინის ოჯახები და მოსამსახურეები, რომლებიც არიან ზღვის დინები (https://en.wikipedia.org/wiki/Ry%C5%ABg%C5%AB-j%C5%8D).

იაპონური ზღაპარი ოტოგი ბანაში, რომელიც საფუძვლად დაედო ანიმეს (ანიმაციურ ფილმს) *Urashima Tarō* , მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ პროტაგონისტი ურაშიმა ტარომ- **Urashima Tarō** (浦島 太郎), რომელიც პროფესიით მეთევზე, გადაარჩინა კუ და დააბრუნა უკან დრაკონის სასახლეში. ამის სანაცვლოდ იგი დაასაჩუქრეს და მისი მსახური და მეუღლე გახდა პრინცესა ოტოჰიმი. ურაშიმას ეგონა, ზღვის სამეფოში რამდენიმე დღე გაატრა და მოინდომა უკან, სოფელში დაბრუნება. უკან დაბრუნებულმა აღმოაჩინა, რომ მისი წასვლიდან 1000 წელი გასულა. ზღვის სამეფოდან წამოსვლისას, პრინცესა ოტოჰიმემ მას მისცაა ძვირფასეულობის ყუთი (tamatebako). როდესაც ურაშიმა ტარომ ეს ყუთი გახსნა, ის უეცრად გადაიქქცა მოხუც ადამიანად (https://en.wikipedia.org/wiki/Urashima_Tar%C5%8D). მოცემული ზღაპარი, ეხმიანება როგორც ქართულ ზღაპრებს, ასევე ნართების ეპოსსაც.

საიქიო

საიქიოში იმოგზაურა ზღაპრის „მზის ქალის“ გმირმა ხელმწიფის დავალებით. საინტერესოა, როგორ მიაღწია გმირმა საიქიოში. იქ მისასვლელად მან გააგორა ვაშლი და მიჰყვა მას. ვაშლმა იმდენი იგორა სანამ ერთ მინდორზე არ აღმოჩნდა. იქ გმირს შეხვდა ერთი ირემი, რომელსაც რქები ცას ჰქონდა აწვდენილი. შემდეგ ნახა კლდის შიგნით ება ერთი ხარი, რომელსაც არც საჭმელი ჰქონდა, არც სასმელი, მაგრამ მაინც მსუქანი იყო. გაიარა ცოდაოდენი მანძლი და ნახა, რომ მშვენიერ მინდორზე, სადაც ნიავის ქროლვაზე ბალახი ზღვასავით რელავდა, წყაროები ჩუხჩუხებდა იდგა ერტი ხარი, რომელიც ვერაფერს სვამდა და ჭამდა. იქვე ნახა მღვდელიც, რომელსაც ზურგზე საყდარი ეკიდა და ისე დადიოდა. ამის შემდეგ, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ნახა ცულის ტარზე ცოლ-ქმარი იწვა და ადგილიც ჰქონდათ დარჩენილი. მათ გაშორდა და ნახა ხარის ტყავზე მწოლარე ცოლ-ქმარი, რომლებიც ჩხუბობდნენ ადგილის გამო. ისინი

ხარის ტყავზე ვერ ეტეოდნენ. ასევე შეხვდა ერთი დედაკაცი, რომელიც კვერცხებისგან კოშკს აგებდა, მაგრამ მიწას ააცდენდა თუ არა მაშინვე ენგრეოდა და ისიც ხელახლა იწყებდა კოშკის შენებას. ნახა კიდევ ერთი დედაკაცი, რომელიც თონეში პურს აცხობდა, ჩააკრავდა ბამბასავიტ ტეთრ პურს და უკან ნეხვივით შავ პურს ირებდა. ნახა ერთი კაცი, რომელიც ხევზე ხიდად იყო გადებული (ღლონტი 1975:111). მსგავსი სიუჟეტები აქვს ზღაპარს „ნაბიჭვრიშვილისა“, რომლის გმირიც ასევე საიქიოში მოგზაურობს. სამოთხეში შესასვლელად მან უნდა გაიაროს ღრანტე ადგილი. იქ მისასვლელად რაშს ერთი ისეთი უნდა დაჰკრას, რომ სამი შოლტი ტყავი ასძვრეს და სამი პირი ტყავი მას ხელებიდან. ცხენი მხოლოდ ამის შემდეგ ავა სამოთხის კართან (ქართული ხალხური ზღაპრები 1951:248-250). ასეთივე სიუჟეტებს ვხვდებით, ნართების ეპოსში, როდესაც სოსლანი მოგზაურობს საიქიოში და ოსურ ცხენშეწირვის ტექსტებში. მაგალითად, ბეწვისხიდთან მისულ მხედარს ურჩევენ:

„ცხენს მათრახი გადაუჭირე

ისე ძლიერ, რომ ხელისგულზე ტყავი აგასკდეს,

ცხენს კი ბარძაყზე - ხორცი“

(ოსური ზეპირსიტყვიერება 2005:48).

საიქიოში ანუ ქვესკნელში მოგზაურობს ზღაპრის „იამ რა უთხრა ვარდსა, ვარდმა რა უთხრა იასა“ გმირი, რომელიც იქ მოსახვედრად მივიდა ერთ ხესთან. იქ კი ნახა რომ ფასკუნჯის შვილებს არწივი უპირებდა შეჭმას. მან ისინი არწივისგან იხსნა და მადლიერმა ფასკუნჯმაც ერთი დაიჭეჯა და მის ყვირილზე მიწა გაიხსნა და ვაჟი ქვესკნელში ჩააფრინა (ქართული ხალხური ზღაპრები 1951 : 109).

ქვესკნელში მოგზაურობს ზღაპრის „შავ თეიმურაზი, მზე თეიმურაზი და მთვარე თეიმურაზის“ გმირი, შავ თეიმურაზი, რომელიც იქ ძმებმა ჩატოვეს. ქვეკნელიდან ამოსვლის საშუალება არის თხა, თუმცა ზღაპრის გმირის წინ გამოდის სამი თხა: შავი, წითელი და თეთრი. შავ ტეიმურაზმა დაიჭირა შავი თხა, რომელმაც კიდევ უფრო ღრმად ჩააგდო ქვესკნელში. იქ მოხვედრილი გმირი, კი შეებრძოლა გველეშაპს, რომელსაც იქ მცხოვრები ხალხისთვის წყალი ჰქონდა დაკავენბული (ხალხური სიბრძნე 1963:91).

სამი სამეფო

ზღაპრების ერთ ნაწილში ვხვდებით სამ სამეფოს, რომელიც წარმოდგენილია სხვადახვა ლითონების სახით. ზღაპარი „ივანე ცისკრისა“, მოგვითხრობს, რომ ივანე ცისკარი მიდის დევებთან საბრძოლველად, მაგრამ გზაზე მას ხვდება სპილენძის სახლი, რომელიც სპილენძის დევის იყო. ამ სახლის გავლის შემდეგ ნახულობს ვერცხლის სახლს, რომელიც ვერცხლის დევის იყო. შემდეგ ნახულობს ოქროს სახლს (ხალხური სიბრძნე 1963:96). ამ ზღაპარზე უფრო მკაფიოდ და მძაფრად გადმოგვცემს სპილენძის, ვერცხლის და ოროს სახლების/ სამეფოების ამბავს ზღაპარი „ხელმწიფის მზეთუნახავი ქალისა“, რომელიც სახლიდან მიდის, რათა იპოვნოს მზეჭაბუკი. ხელმზიფის ასული პირველად თავის გზაზე შეხვდება რკინის ქალაქს, სადაც ყველაფერი რკინისაა. ადამიანებიც და წყაროებიც. ამ ქალაქიდან გასული გმირი ახლა მივა სხვა ქალაქში, რომელიც სპილენძისაა. იქაც ყველაფერი სპილენძისაა, ადამიანების, წყაროებიც. სპილენძის ქალაქიდან გამოსული მიადგება ახალ ქალაქს, რომელიც ვერცხლისაა. მასშიც ყველაფერი ვერცხლისაა. ვერცხლის ქალაქიდან გასული მივა ოქროს ქალაქში, სადაც, ასევე, ყველაფერი ოქროსაა(ქართული ხალხური ზღაპრები 1951:257). ამ ზღაპრებთან მიმართებით, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ბერძნული „ხუთი საუკუნის“ მითი, რომელიც მიხედვიტაც, პირველი ადამიანები ცხოვრობდნენ ოქროს საუკუნეში, მას მოჰყვა ვერცხლის საუკუნე, რომელიც უფრო უარესი იყო ვიდრე ოქროსი. მის შემდგომ იყო სპილენძის ხანა, რომელიც კიდევ უფრო მძიმე იყო. მეოთხე საუკუნე იყო ნახევრად ღმერთებისა და გმირების მოდგმის, ხოლო მეხუტე და ბოლო საუკუნე იყო რკინის საუკუნე, რომელიც ყველაზე საშინელი იყო(კიკნაძე 2008:42).

სხვადასხვა სივრცეები

ზღაპრებში გამოიყოფა სხვადასხვა სივრცეები, რომლებიც შეგვიძლია გავიაზროთ, როგორც „სხვა ქვეყანა“. ასე მაგალითად, „ფისასოს ზღაპარში“ ვხვდებით ისეთ ეპიზოდს, როდესაც მეფის სამი ქალიშვილის ხელის სათხოვნელად მიდიან: ბუ, მგელი და შავარდენი, თუმცა ისინი თავინთ სამეფოში, მას შემდეგ, რაც ადამიანთა საცხოვრისს

გასცდებიან, იქცევიან უმშვენიერეს ვაჟებად (ღლონტი 1975:59). ასეთივე სიტუაცია გვცვდება ზღაპარში „სამი და“, სადაც უმშვენიერესი ჭაბუკი გველეშაპის სახით ეცხადება ზღაპრის გმირს. სოფლიდან გასვლისას კი განიცდის მეტამორფოზას, იძრობს ტყავს და იქცევა უმშვენიერეს ჭაბუკად. მისი საცხოვრებელი სივრცე ქაჯეთია, სადაც ყველაფერი უკუღმა ესმით და ყველაფერს უკუღმა აკეთებენ. თუ თქვეს წყალი დააქციე, წყალი უნდა მიუტანო. თონე დაამტვრიე- უნდა გაახურო და ა.შ. (ღლონტი 1975: 25).

„სხვა“ სივრცედ, შეიძლება მოგვევლინოს ეშმაკთა საცხოვრებელი ადგილი, როგორც ეს ზღაპარში „ეშმაკის ლაგამია“. ძუნწი კაცი გადაარჩენს ეშმაკს, რომელიც ზღაპრის გმირს წაიყვანს თავის მშობლებთან. მის საცხოვრებელ სახლთან მისასვლელად კი გმირმა გადაიარა საშნელი კლდეები, თუმცა ტანჯვა-წამებით სიარული ღირდა, რადგანაც ეშმაკის საცხოვრებელი სულ ოქროთი და ვერცხლით სავსე ოთახებს წარმოადგენდა (ღლონტი 1975: 29). მსგავსადაა მოწყობილი არწივის საცხოვრებელი სივრცეც. „ზღაპარი მონადირისა და არწივისა“ მოგვითხრობს, რომ ერთმა მონადირემ გადაარჩინა არწივი, მას უწამლა და სამაგიეროდ არწივმა ის თავის მშობლებთან წაიყვანა. იქ მისაყვანად არწივმა იფრინა სულ ზევით და ზევით. გმირმა იქ მისასვლელად მსხვერპლად საკუთარი ხორციც კი გაიღო, რომელიც არწივს აჭამა. თუმცა არწივის სახლი სულ ოქრო-ვერცხლით სავსე იყო. ასვე იქ იყო თვალ-მარგალიტი და ჩასაცმელ-დასახური.

„სხვა სივრცე“ შეიძლება წარმოდგენილი იყოს კლდეზე. ისეთ კლდეზე, რომელსაც თავი თეთრი აქვს, შუაგული წითელი, ძირი კი შავი. იქ ცხოვრობს ქაჯის ქალი, რომელსაც იმხელა თმები აქვს, რომ მისი თმების სიგრძე კლდის ძირამდე ჩამოდის. მას თმაში ბომის ყავილები აბია (ღლონტი 1975 : 75).

ე. ტრუბეცკოის აზრით, ადამიანური ყოველდღიური ყოფის უღიმღამობა, სადაც „არ იპოვება არც ნამდვილი სიკეთე და არც ნამდვილი ბოროტება“, ადამიანში იწვევს „სხვა სამყაროს“ ნატვრას. ზ. კიკნაძე კი „ჯადოსნური ზღაპრის ესქატოლოგიაზე“ საუბრისას წერ: „ ძიება "სხვა სამეფოსი", წარმოადგენს სულიერი ცხოვრების უდიდეს ფასეულობას და აუცილებელ საფეხურს იმ კიბეზე, რომელსაც ხალხური შეგნება წარმართობიდან ქრისტიანობამდე აჰყავს“(კიკნაძე 2017).

„ახალი სამეფოს“ მისაღწევად ზღაპარში აუცილებელია საარაკო გმირობის ჩადენა. „სხვა სივრცეში“ მოგზაურობისას გმირი იძენს მისტიკურ გამოცდილებას. „სხვა სივრცისკენ“ სწრაფვა, სადაც მთავრდება ჩვეულებრივი ქვეყანა და იწყება სასწაულებრივი მზიური ქვეყანა, დამახასიათებელია როგორც ქართული ისე მსოფლიოს ხალხთა ჯადოსნური ზღაპრებისთვი

დასკვნა

ნაშრომის მიზანი იყო ფოლკლორულ ნაწარმოებებში ადამიანთა ჩვეულებრივი საცხოვრებელი არეალისგან განსხვავებული სივრცის განხილვა. ამასთან დაკავშირებით განვიხილეთ სხვადასხვა ჟანრის ტექსტები. უნდა ითქვას, რომ მითოლოგიური გადმოცემები გადმოგვცემენ ხსოვნას სრულიად განსხვავებული სივრცეების შესახებ, რომელიც პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: საკრალურ სივრცედ და მის საპირისპირო დემონურ არსებათა სამოქმედო სივრცედ, რომელიც გამოირჩევა ჯოჯოხეთური ელემენტებით.

ქართული ხალხური ლექსები გადმოგვცემენ ადამიანთა ყოფას გარდაცვალების შემდეგ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანი აგრძელებს ცხოვრებას „სხვა ქვეყანში“, რომელიც ორ სამეფოდ არის წარმოდგენილი. ერთგან არის ღვთის მეუფება, ხოლო მეორეგან - ეშმაკი ბატონობს. აღნიშნულ ტექსტებს საფუძვლად უდევთ რელიგიური წარმოდგენები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მთქმელი სიტუაციის გასამძაფრებლად და ხალხში შიშის დასამკვიდრებლად, უფრო აძლიერებს და ქმნის სასტიკ სცენებს ჯოჯოხეთზე, იმაზე, თუ როგორ დაისჯებიან გარდაცვალების შემდეგ ცოდვილნი.

ზღაპარში გმირის სამოქმედო სივრცე მრავალფეროვანია. მას შეუძლია მოგზაურობა მთელ სამყაროში. მისთვის დაბრკოლება არ არსებობს. რა თქმა უნდა, ზღაპრის სიუჟეტები კონტამინირებულია და რამდენიმე მოტივი, შერწყმულია ერთ ზღაპარში. ამიტომაც, განსხვავებული სივრცე, შეიძლება რამდენჯერმეც კი შეგვხვდეს ერთ ზღაპარში. ასე, მაგალითად, გმირი ჯერ მიდის უკვდავების ვაშლის მოსაკრეფად, შემდეგ ხვდება ტრიალ მინდორზე და ბოლოს მას უწევს ზესკნელში მოგზაურობა, მზის სამეფოში.

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ისეთი ეპიზოდების განხილვას, რომლებშიც დასტურდება სამოთხისა და ჯოჯოხეთის მოტივები, საკრალური და მისი საპირისპირო - უწმინდური სივრცე. ჩვენი მიზანი იყო, დაგვეხასიათებინა ასეთი ადგილები და გაგვევლო პარალელები შესაბამის

ფოლკლორულ-მითოსურ სიუჟეტებთან. ძველი ქართული ლიტერატურის ისეთ ძეგლებში, როგორიცა არის „წმინდა ნინოს ცხოვრება“, „დავით გარეჯელის ცხოვრება“, „შიო მღვიმელის ცხოვრება“, „შუშანიკის წამება“ და „ვეფხისტყაოსანი“, გვხვდება, როგორც ედემის ბაღის პარადიგმა, ასევე წმინდა ბერების მიერ პროფანული სივრცის კოსმიზირება. პირვანდელი ე. ი. „მას ჟამს“ დამყარებული იდეალური სამყაროს გამოძახილი და მისკენ ადამიანების ლტოლვა.

ნაშრომის მეორე თავში ქართული მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, განვიხილე საკრალური სივრცე. ამ თავში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული გადმოცემები, ანდრეზები გავაანალიზე. ტექსტებში გამოვყავი ისეთი ადგილები, რომლებიც სივრცობრივად განსხვავდება ადამიანთა ჩვეულებრივი საცხოვრისისგან. კვლევის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ადგილები ადამიანებისთვის თვალით უხილავია. ადამიანს თავისი დაცემული ბუნების გამო, არ შეუძლია სიწმინდეს მიუახლოვდეს. სივრცე ადამიანის „ფეხის ნალისგან“ თავს იცავს სხვადასხვა საშუალებებით. იქნება ეს საფარველის დადება, თუ მნახველისთვის ცეცხლოვანი ხბოს მოჩვენება. მაგრამ რომ არ დაიკარგოს ხალხში ასეთი ადგილების ხსოვნა, ღვთიშვილები გამოარჩევენ საყმოდან წმინდა ადამიანებს და მათ მოახილვინებენ საკრალურ სივრცეს, ზეციურ არსებათა საბრძანისს, სადაც სანთელი თავისთავად ინთება, უფლის აკვანს მტრედები არწევენ და ბერები ერთი პურის ამარა, ერთი დაულეველი პურით იზამთრებენ.

ნაშრომის მესამე თავი ეხება დემონურ არსებათა სამოქმედო სივრცეს. ასეთი ადგილების შესასწავლად კი გამოვიყენეთ როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზები, ასევე დასავლეთ საქართველოში გავრცელებული გადმოცემები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ქართული ფოლკლორის პარალელებს ვპოულობთ კავკასიის ხალხის რწმენა-წარმოდგენებთან, მაგრამ საინტერესოა, რომ „კუდიანთ წუხრას“ მსგავსი დღე, რომელიც ევროპაში ცნობილია ვალპურგის ღამის სახელწოდებით, არსებობს იაპონურ ფოლკლორშიც, მართალია, განსხვავებულად, მაგრამ იქ დემონურ არსებათა მოქმედება უფრო მასშტაბურ სახეს იძენს და კუდიანების მსვლელობა თითქმის ერთი კვირის განმავლობაში გრძელდება. მნიშვნელოვანია, რომ

ე. წ. ნაძრახ სივრცედ ხალხურ ტექსტებსა და რწმენა -წარმოდგენებში მიჩნეულია ასევე კაკლის ხე და მისი შემოგარენიც, რასაც ჩემ მიერ ქართლის სოფლებში ჩაწერილი ხალხური ტექსტებიც ადასტურებს.

ნაშრომის მეოთხე თავში განვიხილეთ საიქიოს თემა ხალხურ პოეზიაში, რომელიც ვრცლად წარმოგვიდგენს, თუ როგორ პატივს სცემენ უფროსებს იქ უმცროსებს, როგორ ხვდებიან იქ შესულ ვაჟკაცებს საიქიოში მცხოვრებნი და ა.შ. ხოლო ჯოჯოხეთის თემაზე არსებული ხალხური ტექსტები მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ როგორ ისჯებიან ამა თუ იმ ცოდვის ჩამდენი ადამიანები, რა ელით არა მხოლოდ დედ-მამის შეურაცხმყოფელ შვილებს, არამედ იმათაც, ვინც შვილები მიატოვეს, ძმასა და მირონს უღალატეს. ამქვეყნიური ცოდვის სიმძიმეს კი ცხადად გადმოგვცემს, როგორც ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები, ასევე ქართული ფოლკლორის სხვა ნიმუშებიც.

ნაშრომის მეხუთე თავში, განხილულია „სხვა სივრცე“ ქართული ჯადოსნური ზღაპრების მიხედვით, რადგან საყოფაცხოვრებო ზღაპრებში გმირის სამოქმედო არეალი მისი საცხოვრისია, განსხვავებით ჯადოსნური ზღაპრისა. ზღაპრების ანალიზმა გვაჩვენა, რომ გმირის სამოქმედო სივრცე ნამდვილად მოიცავს სამ სკნელს. როგორც ე. ტრუბეცკოი მიუთითებს, „ზღაპარში მოწმენი ვხვდებით გმირის ზეაღსვლისა ყოფითობიდან სასწაულებრივისკენ. მთავარი გმირის მიერ „სხვა სამეფოს“ ძიება წარმოადგენს სულიერი ცხოვრების უდიდეს ფასეულობას და აუცილებელ საფეხურს.“ ის ჩადის ქვესკნელში, ადის მზის სამეფოშიც და მოქმედეს შუასკნელის სივრცეში. ჯადოსნურ ზღაპარში „სხვა ქვეყანა“ შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც ქაჯების, ეშმაკების საცხოვრისის სახით, ისე ღვთაებრივი ბაღის ან ტრიალი მინდვრის სახით, სადაც მოიპოვება უკვდავების ვაშლი და ის სამოთხის ნიშნებს ატარებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაკელია 2010: ნ. აბაკელია, სტატია სიცოცხლის ციკლთან დაკავშირებული საკრალური ხის სიმბოლიკა ქართულ მითო-რიტუალურ სისტემაში, ჟურნალი „სემიოტიკა“, რედ. ც. ბარბაქაძე, თბ., 2010. https://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/04/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90- -%E1%83%A1%E1%83%AA%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AA/
2. აბულაძე 1963 : რედ. ი. აბულაძე, ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები წიგნიI (V-Xსს), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, თბ., 1963.
3. ანდრეზები 2009 : ზ. კიკნაძე, ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები), ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009
4. ანთოლოგია 2010 : ხალხური პოეზიის ანთოლოგია, შემდგენელი ზ.კიკნაძე და ტ.მახაური, „მემკვიდრეობა“, თბ., 2010.
5. ბიბლია : საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989.
6. გაბლიანი 2018 : ე. გაბლიანი, ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, II, თბ., 2018.
7. გელოვანი 1983 : ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1983
8. ელიავა 1977: გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, „მეცნიერება“ თბ., 1977
9. ელიადე 2017: მ. ელიადე, მარადიული დაბრუნების მითი, „ალეფი“, თბ., 2017

10. ვეფხისტყაოსანი 1957: შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, „სახელგამი“, თბ., 1957
11. თაყაიშვილი 1909: „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტომი I, რედ. ე.თაყაიშვილი. თბ., 1909
12. თაყაიშვილი 1913: „ძველი საქართველო“, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული, ტომი III, რედ. ე.თაყაიშვილი, თბ., 1913
13. თსუფა N 26034: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი
14. თსუფაN 26048: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი
15. თსუფა N 31141: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი
16. თსუფა N 31142: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი
17. თსუფა N 31 423: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი
18. კიკნაძე 2004: ზ. კიკნაძე, მითოლოგია VIII კლასელთათვის, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბ., 2004
19. კიკნაძე 2007: ზ. კიკნაძე, ქართული ფოლკლორი, თსუ უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2007.
20. კიკნაძე 2016 I ტ: ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, Iტომი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2016.
21. კიკნაძე 2016 II ტ: ზ. კიკნაძე, ქართული მითოლოგია, II ტომი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2016.
22. კიკნაძე 2017 : ზ. კიკნაძე, სტატია „ჯადოსნური ზღაპრის ესქატოლოგია“, საიტი გეოროიალი, თბ., 2017
23. http://www.georoyal.ge/?MTID=5&TID=46&id=3392
24. მამისიმედიშვილი 2015: ხ. მამისმედიშვილი, ოსური ფოლკლორი, თსუ გამომცემლობა, თბ., 2015
25. მამისიმედიშვილი 2017: ხ. მამისიმედიშვილი, საკრალური ისტორიები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2017
26. მამისიმედიშვილი 2018: ხ. მამისიმედიშვილი, სტატია „წისქვილისა და მეწისქვილის მითოლოგემა ზეპირსიტყვიერებასა და მხატვრულ ლიტერატურაში“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი, თბ., 2018 http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/12/123

27. მახაური 2011: ტ. მახაური, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წიგნი III, "უნივერსალი", თბ.,2011
28. ნადარაია 1980: მ. ნადარაია, დემონოლოგიის საკითხავისათვის საქართველოშო, მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, რედ. გ. ჯანგლაბაძე, „მეცნიერება", თბ., 1980
29. ნართები 1977: ნართები, თარგმნა მერი ცხოვრებოვამ, გამომცემლობა „ირისთონი", ცხინვალი, 1977
30. ნიჟარაძე 1962: ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილი I, თსუ-ის გამომცემლობა, თბ.,1962
31. ნოღაიდელი 1971: ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, წიგნი I, ბათუმი, 1971
32. ოჩიაური 1967: თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, „მეცნიერება", თბ., 1967
33. ოჩიაური 1988: ა. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობების კალენდარი. ხევსურეთი (არხოტის თემი), „მეცნიერება", თბ., 1988
34. ორბელიანი 1991 : სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, „მერანი", თბ., 1991
35. ოსური ზეპირსიტყვიერება 2005 : ოსური ზეპირსიტყვიერება, თარგმნეს მერი ცხოვრებოვამ და ნაირა ბეპიევამ, „კავკასიური სახლი", თბ.,2005.
36. პროპი1984: ვ. პროპი, ზღაპრის მორფოლოგია. გამომცემლობა „მეცნიერება". თბ., 1984
37. სახოკია1956: თ.სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები,სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., 1956
38. სახუმარო ლექსები 1880: სახუმარო ლექსები; სიმღერები და სიზმრათ ნანახი საიქიო, სტამბა ა.მელიქ-შახნაზაროვისა, თბ., 1880

39. სირაძე 1982: რ. სირაძე, სახისმეტყველება (საუბრები ესთეტიკაზე), პირველი გამოცემა, „ნაკადული“, თბ., 1982
40. სირაძე 1987: რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, „ნაკადული“, თბ., 1987
41. სირაძე 2000 : რ. სირაძე, ქართული კულტურის საფუძვლები, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2000.
42. სურგულაძე 2002: ირ. სურგულაძე, მითოსი, კულტი,რიტუალი საქართველოში, თბ., 2002.
43. ტრუბეცკოი 1991 : ე. ტრუბეცკოი, თარგმანი ზ. კიკნაძისა, ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“ N8, გამომცემლობა „სამშობლო“, თბ., 1991
44. ქართლის ცხოვრება 1973: ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1973.
45. ქართული პროზა 1981: წიგნი I, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1981
46. ქართ. ხალხ. საისტ. სიტყვ.1961 : შემდგენელი ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტომი I, თბ., 1961
47. ქართ. ხალხ. საისტ. სიტყვ.1964: შემდგენელი ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტომიII, თბ., 1964
48. ქართული ხალხური ზღაპრები 1951: რედ. თ. რაზიკაშვილი, ქართული ხალხური ზღაპრები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1951
49. ქოროღლი 2003: ქოროღლი, აზერბაიჯანული ხალხური ეპოსი, აზერბაიჯანულიდან ქართულ ენაზე თარგმნა ზეზვა მედულაშვილმა, გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, თბ., 2003
50. ქურდოვანიძე 20011: თ. ქურდოვანიძე, ქართული ფოლკლორის პოეტიკა, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბ., 2011
51. ღლონტი 1975: ალ. ღლონტი, ქართული ზღაპრები, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1975

52. ყუბანეიშვილო 1946 : სოლ. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია Iტ, სტალისნის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1946
53. შანიძე 1931: ა.შანიძე, ქართული ხალხური პოეზია I, ხევსურული, სახელმწიფო გამომცემლობა, თბ.,1931
54. ჩიქოვანი 1947: მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1947
55. ჩოლოყაშვილი 2004: რ. ჩოლოყაშვილი, უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოსში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ., 2004
56. ჭავჭავაძე 2007: ი. ჭავჭავაძე, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2007
57. ხალხური პოეზია 1972: ქართული ხალხური პოეზია, I, „მეცნიერება“, თბ., 1972
58. ხალხური პოეზია1973: ქართული ხალხური პოეზია, II, „მეცნიერება“, თბ., 1973
59. ხახანაშვილი 1888: ალ. ხახანაშვილი, გაზეთი „ივერია“, N173, 177, 181, 185, თბ., 1888
60. ხალხური სიბრძნე 1963: რედ. ე. ვირსალაძე, ხალხური სიბრძნე, I ტ, გამომცემლობა „ნაკადული“, თბ., 1963
61. ხალხური სიტყვიერება 1991 : მეგრული ტექსტები, ტ.II, ტექსტები შეაგროვეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1991
62. ხიზანაშვილი 2018: დ. ხიზანაშვილი, ფშავეთი და ფშაველები, შემკრებელი ტ.მახაური, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბ., 2018
63. Далгат 1972: У.Б.Далгат, Героический Эпос Чеченцев и Ингушей, „Наука“, Москва, 1972
64. Пропп 1946 : В. Я. Пропп, Исторические Корни Волшебной Сказки, Ленинград, 1946
65. Трубецкой 1922: Е. Трубецкой, Иное царство и его искатели в русской сказке, Москва, 1922

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Master's programme: Georgian Literature

Salome Sukhiashvili

„The Other World" in Georgian Folklore

The work is represented to obtain the dagree of MA of Georgian Literature

Supervisor: **Khvtiso Mamisimedishvili**,

Doctor of Philology,

TSU Associated Professor

Tbilisi

2019